ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა
Akhali-Taoba

შაბათი–კვირა

14 — 15 მაისი, 2011 №113 (5494) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+ „სერვანტესი“
8 ლარი
16 მაისიდან 30 მაისამდე






## რა მოხდება 26 მაისს

გვ.5

ოპოზიციას შეიარაღებული დაპირისპირება არ აწყობს

## ხეთაგურს ოპერაციის გასაკეთებლად ფული რუსებმა გადაურიცხეს

გვ.3

სააკაშვილის დიდ ბაბუას სტალინი ლობირებდა



## მიკვირს, როგორ მოვიდა საქართველო დღემდე!



ქვეყანა დღეს სულიერი აღმავლობის ეტაპზეა

გვ.7



გვ.6

## დიდი მოქეიფე არა ვარ

რა ასაკიდან აქვს ირაკლი ქავთარა ეს ლოყაზე შრამი

## 3090
### sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## რატომ იწყებენ ადვოკატები შიმშილობის აქციას

გვ.4



ხელისუფლება თუ გონს არ მოეგო, ოპოზიციას შევუერთდებით!

## მე უკვე გამარჯვებული ვარ!

გვ.8

ვის მიიჩნევს ნატალია ვეფხვაძე თავის კონკურენტად



ISSN 1987-9385
9 771987 938006

## კვირის ქრონიკა







გვ.2

# არის თუ არა ბურჯანაძე ყველაზე სუფთა პოლიტიკოსი

ამ კვირაში ოპოზიციამ ერთმანეთი დააწიოკა. ქართული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სოზარ სუბარმა ირაკლი ალასანიას სერიოზული ბრალდება წაუყენა. მან ის დროს გაიხსენა, როცა ყველა ერთად ალიანსი საქართველოსთვის იყვნენ.



ამ ალიანსის ლიდერის რანგში მყოფი ირაკლი ალასანია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს შეხვდა. ოფიციალური ვერსიით ისინი ერთმანეთს შემთხვევით შეხვდნენ.

სუბარის თქმით, ეს არ იყო შემთხვევითი შეხვედრა. თურმე ალიანსი საქართველოსთვის ლავროვისგან დაფინანსებას და კიდევ სხვა რაღაცეებს ელოდა. ამ ინფორმაციას დიდი ჟრიამული მოჰყვა.

რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელთან ალასანიას შეხვედრაზე კომენტარი პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ გააკეთა, რომელიც რუსეთის პირველ პირებს შემთხვევით და საიდუმლოდ არ ხვდება ხოლმე. ის აცხადებს, რომ საქართველოში მოღვაწე სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ყველაზე სუფთა პოლიტიკოსია.

მისი განცხადებით, ლავროვთან შემთხვევით შეხვედრა გამორიცხულია.

— ეს არ იყო შემთხვევით შეხვედრა მიუნხენის სასტუმროში. ლავროვს შემთხვევით დერეფანში არ ხვდებიან და 45 წუთი არ ელაპარაკებიან, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ და დასძინა, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ მალავენ ქართველი პოლიტიკოსები რუს კოლეგებთან შეხვედრის ფაქტებს.

მისი თქმით, ის ხვდებოდა და კვლავაც შეხვდება რუს კოლეგებს, თუმცა სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ამას არ მალავდა და არც მომავალში აპირებს დამალოს.

— მე ხალხს არაფერს ვუმალავ. ყველაფერს, რასაც მე ვაკეთებ, ამის შესახებ ხალხს აქვს ინფორმაცია. მე ვხვდებოდი და კვლავაც შევხვდები რუსეთის ლიდერებს და ხალხს ეს ეცოდინება, — განაცხადა ბურჯანაძემ.

შორენა მარსაგიშვილი

# საქართველოში არის ყველაფერი ის, რასაც რუსები ნატრობენ

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, ქვეყანას სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასამმაგება და გახუთმაგება შეუძლია. ამჟამად საქართველოში სოფლის მეურნეობა ძალიან ჩამორჩენილია. ამიტომ, პროგრესის შეჩერება დაუშვებელია.

როგორც პრეზიდენტმა ეროვნულ ბიზნესდაჯილდოება „მერკური 2011“—ზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ის, ვინც ცდილობს გააჩეროს მიწების დამუშავება და შეაფერხოს ეკონომიკური მიმოსვლა, ეწინააღმდეგება საქართველოს პროგრესს.

— მიწები ერთსა და იმავე ხალხს ჰქონდა ხელში ჩაგდებული - ყოფილ პროკურორებს, ყოფილ გამგებლებს, რაიკომის ყოფილ მდივნებს. არადა, მიწებს დამუშავება უნდა - საქართველომ უნდა გამოკვებოს საკუთარი თავი. მათ, ვინც მიწები კორუფციული გზით ჩაიგდო ხელში, მოუწევთ მათი დათმობა იმ ხალხისათვის, ვინც აპირებს ამ ფართობების დამუშავებას და ამით საქართველოს გამოკვებას, — განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ საქართველოს უდიდესი პოტენციალი აქვს ტურიზმის მიმართულებითაც.

— მაშინ, როცა საქართველოში ეს მთავრობა მოვიდა, 125 ათასი ტურისტი იყო. შარშან 2 მილიონი სტუმარი გვყავდა, წელს 3 მილიონი გვეყოლება, მომავალ წელს კი - 4 მილიონი, ხოლო შემდეგ წელს, იმედია - 5 მილიონიც. თუ საქართველოში ტურიზმი ამ ტემპით განვითარდება, შეიძლება, 5 მილიონი ტურისტი 2015 წელზე ადრეც გვყავდეს. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებაა, რადგან ეს არის მთლიანად დასაქმებაზე გათვლილი სექტორი - თანაც გრძელვადიან დასაქმებაზე. მშენებლობები, ინფრასტრუქტურა, ყველაფერი დანარჩენი არის მოკლევადიანი პროექტები, ტურიზმი კი არის დასაქმების გრძელვადიანი წყარო, — განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ რეალურად, საქართველო უნდა გახდეს ენერგეტიკული ტერმინალი - ენერგეტიკული ცენტრი, ასევე ინფრასტრუქტურული, სოფლის მეურნეობისა და ტურისტული ცენტრი ამ რეგიონში. საქართველოს, რეგიონის რამდენიმე ქვეყანასთან შედარებით, ეკონომიკის თვალსაზრისით ერთი დიდი უპირატესობა აქვს — აქ კორუფცია არ არის.

— ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი რამ, რითაც ყველა შემთხვევაში წაუგებელ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ეს რას ნიშნავს? ვთქვათ, რუსეთში არის ძალიან დიდი კორუფცია და რუსეთიდან გადის დიდი კაპიტალი. საქართველომ უნდა წამოიღოს ამ კაპიტალის ნაწილი, რადგან საქართველოში არ არის კორუფცია და საქართველოში არის ყველაფერი ის, რასაც რუსები ნატრობენ. თურქეთში ეკონომიკა კარგად არის განვითარებული და იქ არის დიდი, მათ შორის, ჭარბი კაპიტალი. ამ კონკურენციაში თურქეთთან ჩვენი პატარა უპირატესობები გვაქვს, ამიტომ ჩვენ უნდა ვისარგებლოთ როგორც რუსეთის წარუმატებლობით, ისე თურქეთის წარმატებით, რათა ჩვენი ქვეყანა გახდეს თურქული ჭარბი კაპიტალისა და ინვესტიციების მოზიდვის ცენტრი. იგივე შეიძლება ითქვას, მაგალითად, შუა აზიასა და სხვა ქვეყნებზე, სადაც ჩვენგან განსხვავებით, არის ნავთობი და გაზი. თუმცა ჩვენ ის გვაქვს, რაც მათ არ აქვთ - ჩვენთან არ არის კორუფცია, არ არის ბიუროკრატია, მთავრობის მხრიდან არ შეინიშნება სხვადასხვა მსგავსი გადაჭარბებული ძალადობრივი მოქმედებები, ე.ი. ჩვენი მხრივ, ყველაფერი გვაქვს იმისთვის, რომ გავხდეთ ამ რეგიონის ცენტრი, — განაცხადა სააკაშვილმა.



სააკაშვილის თქმით, საბოლოო ჯამში, ყველა ამ ქვეყნებს შორის საქართველო ყველაზე კარგად გამოიყურება, რადგან ეს არის ქვეყანა, სადაც არის ტურიზმი, ბუნება, სილამაზე, ყველაფერი განსაკუთრებული, რითაც უნდა ვიამაყოთ.

# „ბეთქილი“ გიორგი ბარამიძის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს



სვანების პატრიოტთა გაერთიანება „ბეთქილის“ წევრები საქართველოს ხელისუფლებას ბოლო დროს სვანების მიმართ „უსამართლო, ღირსების შემლახავი მოქმედებების“ გამო აკრიტიკებენ და არსებული დამოკიდებულების შეცვლას ითხოვენ. ამის შესახებ ზურაბ ვაზაგაშვილის სახელობის დარბაზ „ჯაზუში“ სვანების მიერ გამართულ შეკრებაზე გაერთიანების წევრმა როლანდ ნიჟარაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ამჟამინდელი ხელისუფლების ქმედებები სვანების მიმართ ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

— ჩვენ, სვანებმა, ხმა არ ამოვიღეთ თავის დროზე ამ ხელისუფლების უმსგავსო, ღირსების შემლახველ მოქმედებებზე სვანეთში. მიმაჩნია, დღეს დადგა დრო, რომ წინ აღვუდგეთ სააკაშვილის ხელისუფლების ცინიზმს. პირველ რიგში, მოვითხოვთ, აფრასიძეების სპეცოპერაციისთვის თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გადადგეს და გასამართლდეს ვიცე-პრემიერი გიორგი ბარამიძე ამ ოჯახის უსაფუძვლოდ დაწიოკებისთვის. მათ მამაპაპისეული საფლავიდან მიცვალებულთა ძვლები ამოგვიყარეს და წაგვიბილწეს, — განაცხადა ნიჟარაძემ.

მისი თქმით, სვანეთში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ასევე ხელისუფლების მიერ ტყეებისა და სათემო მიწების უცხოელებისთვის მიყიდვაა. ასეთი რამ სვანეთში არასოდეს მომხდარა.

ნიჟარაძე მოუწოდებს ხელისუფლებას, ქართველი ძალოვანების მიერ ჩაკეტილი ჭუბერის ხეობა გახსნან და დალის ხეობაში შეუშვან დევნილები. მისი ინფორმაციით, აფხაზები ამ ინიციატივის წინააღმდეგი არ არიან, მხოლოდ ქართული მხარე აყოვნებს ამ გადაწყვეტილებას.

სვანთა გაერთიანების წევრები პრეზიდენტ სააკაშვილს არსებული პრობლემების მოგვარებას სთხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში აქციებით იმუქრებიან.

როლანდ ნიჟარაძე გაერთიანების წევრებთან ერთად ოპოზიციის მაისის აქციებში მონაწილეობას არ გამორიცხავს. მისი თქმით, ამ ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ აქციებში სვანებიც აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას.

# ამერიკის საელჩოსთან აქცია გაიმართება

„ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი ეროსი კიწმარიშვილი ამერიკის ადმინისტრაციას მოუწოდებს, თავი დაანებონ სააკაშვილის რეჟიმის მხარდაჭერას და მხარი დაუჭირონ ქართველ ხალხს.

როგორც ეროსი კიწმარიშვილმა განაცხადა, საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და ამიტომ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საქმეებში ჩარევა არც ერთი ქვეყნის მხრიდან არ უნდა მოხდეს.

კიწმარიშვილის თქმით, 16 მაისს 14.00 საათზე თბილისში, დიღომში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან „ქართული პარტიის“ აქცია გაიმართება.

— 2009 წლის დასაწყისში ხელმოწერილი ქართულ-ამერიკული ქარტიის არც ერთი პუნქტი ქართული მხარის მიერ შესრულებული არ არის. მიუხედავად ამისა, ამერიკის ადმინისტრაცია აგრძელებს სააკაშვილის რეჟიმის მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო და მედია არ არის დამოუკიდებელი, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში კვლავ გაყალბდა არჩევნები და ბიზნესი და მოსახლეობა არის ტერორის ქვეშ, ამერიკის ადმინისტრაცია კვლავ აგრძელებს სააკაშვილის რეჟიმის ფინანსურ მხარდაჭერას. ამ თემებთან დაკავშირებით ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართველი ხალხის პოზიციის გამოსახატად 16-ში აქციის გამართვა იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, — აღნიშნა ეროსი კიწმარიშვილმა.



საქართველოში აშშ-ს ელჩი ჯონ ბასი „ქართული პარტიის“ მიერ თბილისში აშშ-ს საელჩოსთან საპროტესტო აქციის გამართვის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა.

როგორც ბასმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, აშშ-ს საელჩო მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა ამ პროტესტს, პატივს სცემს სიტყვისა და მანიფესტაციის თავისუფლებას.

— სიტყვის თავისუფლება, ასევე, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება, ეს არის ორი ქვაკუთხედი, რომელსაც ეფუძნება ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოება. ჩვენ პატივისცემით ვეკიდებით თავისუფლების გამოხატვას მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არა გაცხადებულ მიზნებსა და ამოცანებს, — აღნიშნა ბასმა და დასძინა, რომ შეერთებული შტატების საელჩოსთან საპროტესტო მანიფესტაციები ადრეც გამართულა და შესაძლოა, არც ეს იყოს ბოლო.

# თურქეთში ბაღაფშის ჩასვლასთან დაკავშირებით განმარტებები გაკეთდა

საქართველოს ხელისუფლებას დღემდე ვერ მოუნელებია თურქეთში სერგეი ბაღაფშის რამდენიმედღიანი ვიზიტი. ამის გამო ისინი ანკარაზე გაღიზიანებული არიან. თუმცა კეთილმეზობლური ურთიერთობის ხათრით თურქეთზე აუგს არ ამბობენ.

ამ დღეებში ამ ვიზიტზე განმარტებები კიდევ ერთხელ გაკეთდა. აშშ-ში, ჯეიმსტაუნის ცენტრში, კავკასიის გეოპოლიტიკის საკითხების შესახებ გაიმართა განხილვა, სადაც



საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებაც იმსჯელეს. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის თურქეთში ვიზიტზე.

როგორც ევროპული უსაფრთხოებისა და საგარეო ურთიერთობების საკითხებში თურქმა ექსპერტმა მითათ ჩელიქპალამ განაცხადა, ბაღაფში თურქეთში აფხაზური დიასპორის სანახავად იყო ჩასული და არა სამთავრობო დონეზე.

— რამდენიმე საათით ადრე, ვიდრე ბაღაფში ჩამოფრინდებოდა, თურქეთის საგარეო უწყებამ გამოაქვეყნა პრესრელიზი, რომელშიც ნათქვამია, რომ თურქეთი პატივს სცემს და აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. თურქეთის ეს პოზიცია ფუნდამენტურია. ანკარამ ამ განცხადებით მისცა მინიშნება აფხაზურ მხარესაც, — აღნიშნა თურქმა ექსპერტმა.

აშშ-ში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელ დავით რაქვიაშვილის განცხადებით კი, თურქეთში მართლაც დიდი აფხაზური დიასპორა არსებობს, რისი მიზეზიც ისევ და ისევ რუსეთის იმპერია.

— მე მინდა ყურადღება გავამახვილო თურქეთში აფხაზეთის დიასპორაზე. მიზეზი, რის გამოც თურქეთს ასეთი დიდი რაოდენობის აფხაზური დიასპორა ჰყავს, იგივეა რატომაც საქართველოს ამდენი იძულებით გადაადგილებული პირი ჰყავს. აფხაზები ქართველებთან ერთად ყოველთვის იბრძოდნენ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, — განაცხადა რაქვიაშვილმა.

ერთ-ერთი ვერსიით, ბაღაფში თურქეთში სამკურნალოდ წავიდა. როგორც ჩანს, იქაურმა ექიმებმა და ჰავამ ბაღაფშს არ არგო, რადგანაც ის ამ დღეებში ისევ წავიდა სამკურნალოდ, ახლა უკვე მოსკოვში.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ხეთაგურს ოპერაციის გასაკეთებლად ფული რუსებმა გადაუხადეს

## სააკაშვილის დიდ ბაბუას სტალინი ლობირებდა

თეა მარხვაი ე

ხელისუფლების შეცვლის სურვილს თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია გამოთქვამს. ადრე ისინი სულ ხელისუფლების ლანძღვაში იყვნენ, ახლა კი ერთმანეთს დაერივნენ. გასული წლის ოქტომბერში „თეთრმა მოძრაობამ“ და თემურ შაშიაშვილმა ოპოზიციას ერთმანეთის ლანძღვისგან თავის შეკავება სთხოვეს.

ერთი პერიოდი ყველაფერი თითქოს ნორმალურად იყო, მაგრამ ახლა ოპოზიცია ერთმანეთის წინააღმდეგ განცხადებას განცხადებაზე აკეთებს. თემურ შაშიაშვილის თქმით, ხელისუფლებამ მოახერხა, პარტიები ერთმანეთისთვის გადაემტერებინა.

ნიშნავს თუ არა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის სურვილი ამ ქვეყნის აგენტობას, ვინ და რატომ ლანძლავს რუსეთს ასე გამწარებით, რა კავშირი აქვს ვაშაძეს კაგებესთან, რატომ დაერივნენ ოპოზიციონერები ასე მწარედ ერთმანეთს, ამ საკითხებზე თემურ შაშიაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**თემურ შაშიაშვილი:**

— თავის დროზე „თეთრი მოძრაობა“ გამოვიდა ინიციატივით, რომ ოპოზიციას ერთმანეთი არ გველანძღა. ეს იყო სწორი პოზიცია. ჩვენ გვინდოდა ხალხის ერთობა და ხალხის შერიგება. ეს გადაწყვეტილება შარშან ოქტომბერში მივიღეთ. ჩვენი გადაწყვეტილება ყველა ოპოზიციურ პარტიას გავაცანით. თითქოს ყველა თანახმა იყო ამაზე. მე, პირადად, ყოველთვის თავს ვიკავებდი ოპოზიციის მიმართ მწვავე განცხადებებისაგან. ასეთი ტენდენცია სხვების გამოსვლებშიც შეიმჩნეოდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა. ლანძღვის არნახული ნიაღვარი წამოვიდა. მე უკვე დიდი ხანია, რაც პოლიტიკაში ვარ და ამდენი ხნის განმავლობაში იმდენი ლანძღვა არ ყოფილა ჩემი მისამართით, რამდენიც — ბოლო თვეებში.

***— როგორ გგონიათ, ეს რისი ბრალია? რატომ დაერივნენ ერთმანეთს ასე ოპოზიციური პარტიები?***

— ეს ლანძლვა-გინება პარტიებისგან არ მოდის. ამ განცხადებებს კონკრეტული პიროვნებები აკეთებენ, მათ უკან კი პარტიები დგანან. მე ვერ ვიტყვი, რომ დღეს ოპოზიციური პარტიები ერთმანეთს დაერივნენ. უბრალოდ, ხელისუფლებამ შეძლო მათი ერთმანეთთან გადაკიდება. თუნდაც მარტო იმიტომ უნდა დამთავრდეს ეს ხელისუფლება, რომ ის პარტიების ერთმანეთის დაპირისპირებაზეა გადასული. ისინი ქვეყანაში ჩაშვებისა და არაკაცობის ინსტიტუტს ამკვიდრებენ. ამათი წყალობით უკვე გაზეთის წაკითხვაც კი შეუძლებელი გახდა.

***— გაზეთის წაკითხვა რატომ გახდა შეუძლებელი?***

— ინტელიგენტური წყობის გაზეთებიც კი შემაძრწუნებელ რამეებს წერენ. ისეთ რამეს წაიკითხავ, შეიძლება, გული გაგისკდეს. ეს აწყობს ხელისუფლებას და პირადად სააკაშვილს. ხელისუფლებას აწყობს ჩემი ლანძღვა. იმიტომ აწყობს, რომ მე ისინი ბევრ რამეში ვამხილე. „თეთრმა მოძრაობამ“ შექმნა მხილების მუზეუმი. ჩვენ საზოგადოებას ვაჩვენეთ, რა ქონება ჩაიგდეს ხელში ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ჩვენ ვაჩვენეთ ხალხს, რა ფუფუნებაში ცხოვრობს ღარიბი ქვეყნის მთავრობა. გასულ წელს მე თქვენს გაზეთთან საუბარში ვთქვი, რომ სააკაშვილი რუსული ფულით ფინანსდება. მაშინვე დამაბრალეს, რომ რუსულ ფულს მე ვიღებ. როგორც კი მათ სასახლეებზე ვთქვი რაღაცა, დამაბრალეს, რომ სახლები მაქვს. ეს არის ხელისუფლების მაკვარანცხი, რომელზეც წამოგებული ჰყავს ბევრი პიროვნება და მათ, რასაც უნდა, იმას ათქმევინებს. დღეს საქართველოს ტრაგედია იმაშია, რომ წესიერ ადამიანებს აძულებენ წესიერებას. თუ ძალიან ძლიერი არა ხარ, წესიერი ვერ იქნები. მუდმივად მიდის ლანძღვა წესიერებისა.

***— რატომ გგონიათ, რომ ხელისუფლება წესიერებას ებრძვის?***

— კი არ მგონია, ასეა! წესიერებას ებრძვიან იმიტომ, რომ თავად არიან უწესოები. სამწუხაროდ, დღევანდელი ოპოზიციის 80 პროცენტიც არის უწესო. ამიტომ არ აწყობთ მათ პატიოსანი ადამიანების ყოფნა პოლიტიკაში. ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ როდის ამბობდა, ჩამშვები და ენის მიმტანი მატლივით უნდა გაისრისოსო. არადა, მაშინ ჩაშვება ასეთ დონეზე არ იყო. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა გენიოსი ილია, დღევანდელ სიტუაციას რომ მოსწრებოდა. დღეს ქვეყანაში საშინელება ტრიალებს. ხელისუფლებამ მთელი ხალხი ერთმანეთს გადაჰკიდა. აღარ არის კოლეგიალობა. ამას ვინ ჩივის, უკვე ოჯახის წევრები მტრობენ ერთმანეთს. ტელევიზორს შიშით ვერ ჩართავ, ისეთი რაღაცები ისმის — დედა მოკლა, მამა მოკლა, ძმა მოკლა, და მოკლა... გამუდმებით ასეთი ცნობები გვესმის.

***— თქვენ თვლით, რომ ასეთი რამეებიც ხელისუფლების ბრალია?***

— აბა, ვისი ბრალია? მათი არაქართული ცნობიერების გამო მთელი ქვეყანა გადაბრუნდა და შეიცვალა. ისეთ რამეებს ამბობს პრეზიდენტი, გადაირევა ნებისმიერი.

***— რა თქვა ამისთანა?***

— მის ერთ-ერთ ბოლო განცხადებას გაგახსენებთ. ცოტა ხნის წინ გორში ინციდენტი მოხდა. როცა ხელისუფლება აპირებდა ერთ-ერთი სოფლის საძოვრის გადახვნას, მათ მოსახლეობამ გაუწია წინააღმდეგობა. სააკაშვილმა ამაზე რამდენიმე დღის წინ გააკეთა კომენტარი და საშინელებები თქვა, განაცხადა, მიკვირს, როგორ გააჩერა ტრაქტორისტმა ტრაქტორი და არ გადაუარა, წინ რომ გადაუდგნენო. ამ განცხადების შემდეგ, როგორ შეიძლება, ის კიდევ ქვეყნის პრეზიდენტი იყოს. ის ამბობს, 7 წელიწადში მენტალიტეტის გამოცვლა შეუძლებელიაო. საქართველო ქართული მენტალიტეტით არის ძლიერი. თუ ქართულ მენტალიტეტს გამოუცვლი ამ ხალხს, რა იქნება საქართველო ტერიტორია, ქვა თუ რა? მე არ ვიცი, რა აზროვნება გაძლიერდა, ან რა მოუვიდათ ამ ადამიანებს. ქვეყანა ფეხქვეშ გაეგო ამერიკას. პოლიტიკოსები ხმამაღლა ამერიკის მიმართ საყვედურის თქმასაც კი ვერ ბედავენ, პირად საუბრებში სხვა რამეს ამბობენ. თუ პატივს სცემ ქვეყანას, მისთვის სიმართლის თქმის რატომ გეშინია? ჩვენთან ბევრია პოლიტიკოსი, რომლებიც რუსეთის ლანძღვით ამერიკას აწონებენ თავს. ასევე მრავლად არიან ისეთებიც, რომლებიც ამერიკის ლანძღვით რუსეთის გულის მოგებას ცდილობენ.

***— ამბობენ, რომ სახალხო კრება და ქართული პარტია პრორუსული ძალა ხართ, რუსეთისგან მეტი მხარდაჭერის მისაღებად ლანძღავთ ამერიკას. ეს სიმართლეა?***

— ეს ტყუილია. ეს არის რვიანის ბრალდება. ხელისუფლება თვლის, რომ რვიანი დაიყენა გვერდით და, ვინც მის გვერდით არ არის, უნდა ლანძღოს ის. გამარკვიეთ, ადამიანები არა ხართ, ვინ არის ამ ქვეყანაში პრორუსული ძალა? რაც კი სტრატეგიული გვქონდა, ყველაფერი ხელისუფლებამ მიჰყიდა რუსეთს. რუსეთში ვერ იოცნებებდა ვერასდროს, საქართველოსგან მიეღო ის, რაც მიიღეს სააკაშვილის პრეზიდენტობის ჟამს. რუსეთის შოვინისტურ პოლიტიკას უკეთესი შემსრულებელი არ ჰ ყოლია საქართველოში. დარწმუნებული ვარ, არც მომავალში ეყოლება. საცოდავი ხალხი. უსმენენ ხელისუფლებას და ჰგონიათ, რომ მართლა ემტერებიან მოსკოვი და თბილისი ერთმანეთს. ჩვენი ხელისუფლება რუსეთის საქმეს აკეთებს რუსეთის ლანძღვით. სხვანაირად რა ახსნა უნდა მოვუძებნო ხელისუფლების პოლიტიკას, რომელმაც ყველა სტრატეგიული ობიექტი მიჰყიდა რუსეთს. მე თქვენი გაზეთის საშუალებით ამ თემებზე ბევრი მისაუბრია. ესენი მზად არიან, ნებისმიერი რამ დაუთმონ რუსეთს. მთავარი მათთვის სკამის შენარჩუნებაა. „ინტერ-რაომ“ შექმნა თურქეთში კომპანია „ტიჯიერი“, რომელიც ანკარაშია რეგისტრებული. ის თურქეთში რუსეთის ინტერესებს ლობირებს. მას ხელმძღვანელობს კაგებეს წარმომადგენელი ზავრაჟნი. ის ჩვენს ხელისუფლებასთან ახლოს არის და ხშირად ჩამოდის საქართველოში. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ხეთაგურის ძმა მუშაობს მასთან.

***— რომელი ხეთაგურის, ენერგეტიკის მინისტრის?***

— დიახ, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ძმა. მას დაუნიშნეს ხელფასი, თანაც — ძალიან მაღალი.

***— მაინც რამდენი?***

— 15-20 ათას დოლარზეა საუბარი თვეში. თურქეთში გვითხრეს, ხეთაგურმა ოპერაცია რომ გაიკეთა ევროპაში, რუსეთმა გადაუხადა ფულიო.

***— რუსეთმა რატომ?***

— მისი ძმა მუშაობს რუსულ კომპანიაში და დაეხმარა. ასეთი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება. ამათი ოჯახის წევრები რუსულ კომპანიებში მუშაობენ. მერე ესენი გამოდიან და ვინმეს იმის გამო უსაყვედურებენ, რომ რუსეთთან კარგი ურთიერთობა უნდა. მე ხმამაღლა ვიტყვი, რუსეთთან კარგი ურთიერთობები თუ არ ჩამოყალიბდა, ეს იქნება საქართველოს ტრაგედია. ნამდვილ ქართველს დემოკრატიული და ძლიერი რუსეთი უნდა უნდოდეს. მეფის რუსეთი ჩამორჩენილი იყო და გვანადგურებდა. იმას, ვინც ამას ღიად ამბობს, რუსეთის აგენტს ეძახიან. ვინც რუსეთს ლანძღავს და აგინებს, ისინი არიან აგენტები! აგენტები რომ არ იყვნენ, ამ ცოტა ხნის წინ ხრამი-1-სა და ხრამი-2-ს მიჰყიდდნენ? ამათ იმაზე ატეხეს ამბავი, რუსეთის პრეზიდენტმა სააკაშვილს რატომ არ მოულოცა 9 მაისიო. მე მის ადგილზე, იცით, რა ვიზამდი? — იქით მივულოცავდი რუსეთის პრეზიდენტს.

***— რა შედეგი ექნებოდა მერე ამას?***

— ამით მთელი მსოფლიოს თვალში ამაღლდებოდა. მოდით, დააკვირდით, ვინ ლანძღავს რუსეთს ყველაზე მეტად. ეს გახლავთ რუსეთის კაგებეს ყოფილი წევრი.

***— ვისზე საუბრობთ?***

— საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრზე, რომელიც მთელი ოჯახით იყო დაკავშირებული რუსეთთან. რუსეთი არ კითხულობდა, ვინ იყო საქართველოს ცეკას მდივანი. სამაგიეროდ, აინტერესებდა, ვინ იყო ჭიათურის პარტ-რაიქალაქკომის პირველი მდივანი, იმიტომ რომ იქ მანგანუმი მოიპოვებოდა. ეს თანამდებობა ეკავა დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრის მამას, თავად კი საბჭოთა უშიშროებას წარმოადგენდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ეს ის კაცი იყო, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. წლების წინ რუსეთთან დაკავშირებით ერთმა იტალიელმა მითხრა, ყველაზე მეტად იმ ხალხის გეშინოდეს, რომელიც რუსეთს ლანძღავსო. ეს კაცი ლაციოს პრეზიდენტი გახლდათ.

***— საფეხბურთო კლუბ „ლაციოს“ პრეზიდენტი იყო?***

— არა, არა, ლაციოს მხარის, ჩვენებურად რომ ვთქვათ, გუბერნატორი. ეს მაშინ იყო, როცა იმერეთი ევროპის რეგიონების ასამბლეაში შედიოდა. მე ევროპის რეგიონის ასამბლეის ბიუროს წევრად ამირჩიეს 2002 წელს ვენეციაში. ბუნებრივია, სიტყვითაც გამოვედი, ვიფიქრე, რუსეთს თუ მაგრად გავაკრიტიკებდი, ტაშს დამიკრავდნენ. უკანასკნელი სიტყვებით ვლანძღავ რუსეთს. ვუყურებ ამ ევროპელებს და ვხვდები, რომ დარბაზი ნელ-ნელა კვდება. არავინ აღარ მისმენს. სახეზე ეტყობათ, რომ ძალიან ვეცოდები. კარგად მივალანძღე რუსეთი, მაგრამ ვინ გაღირსა ტაში. ადგა ლაციოს პრეზიდენტი და მითხრა, აღარ დაიღალეთ თქვენი ქვეყნის წინაღმდეგ ბრძოლითო? გავშრი კაცი. ის აგრძელებდა: ჩვენ დიდი ხანია მივხვდით, რომ იტალიაში ვინც რუსეთის ლანძღვით იყო დაკავებული, მოსკოვის საქმეს აკეთებდაო, მკითხა, ვინ არის რუსეთთან კარგად ბევრ ევროპაშიო. ვუთხარი, წაგებული ვარ და თავად უპასუხეთ-მეთქი. თქვა: ყველაზე კარგად რუსეთთან ვართ იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი და გერმანია. ოთხივეს გერმანიასთან წაგებული გვაქვს ომი. თქვენ გვასწავლით, რუსეთი ვინ არისო? ამ კაცმა ამ სიტყვებით დიდი გაკვეთილი მომცა. ამის მერე პოლიტიკოსების მხრიდან რუსეთის ლანძღვას სერიოზულად ვაპირები. ქართველ ხალხს თქვენი გაზეთის საშუალებით ვეუბნები: ყველაზე მეტად გეშინოდეს იმის, ვინც რუსეთს ლანძღავს. ისინი რუსეთის საქმეს აკეთებენ! დღეს ყველა სტრატეგიული ობიექტი ეკუთვნის რუსეთს. ეს ობიექტები მათ ხელისუფლებამ გადასცა. ამის შემდეგ ამ ხელისუფლებას კიდევ ენა უბრუნდება და ვინმეს რუსეთის აგენტს უწოდებს. მართლა როგორ დაბნელებულა საქართველოში. როგორ გარყვნეს ადამიანები ასე, ვიღაცას სჯერა, რომ ისინი არიან რუსეთის წინააღმდეგი. რეზო ესაძე, გია ბურჯანაძე, გოგო ქავთარაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ლუკა კურტანიძე თურმე რუსეთის აგენტები არიან. აგენტები თქვენკენ მოიკითხეთ, ბატონებო. ჯერ იმას რა ვუთხრა, ვინც ვინმეს აგენტია. კაგებეს აგენტობა ტრაგედიაა. კაგებეთი დაიწყო სააკაშვილმა თავისი მოღვაწეობა. მერე რა ვუთხრა იმათ, ვინც სოროსისა და ამერიკის სპეცსამსახურების აგენტი იყო. ყველაზე დიდი უბედურება ისაა, ვინც მერაბიშვილისა და სააკაშვილის აგენტია. ამათ აგენტობას ისევ რომელიმე ქვეყნის აგენტობა სჯობია.



***— ვითომ სჯობია?***

— ეს ისე ვთქვი. მიმაჩნია, რომ ყველანაირი აგენტობა სიბინძურეა. მადლობა ღმერთს, რომ მე ამ ყველაფრისგან თავისუფალი ვარ. ამით ნამდვილად განვსხვავდები სააკაშვილისაგან. რომლის წინაპრები კაგებეში იყვნენ. 1937 წელს უამრავი ადამიანი დახვრიტეს, ჩვენი პრეზიდენტის დიდი ბაბუის წინსვლა კი იმ წლებში დაიწყო. უფროსი მიხეილ სააკაშვილი მიდიოდა და მიდიოდა წინ. მას სტალინი უჭერდა მხარს. სტალინის სიკვდილის შემდეგ პოზიციები შეერყა.

***— ეს დადასტურებული ინფორმაციაა?***

— რა თქმა უნდა. გადაშალეთ დიდი საბჭოთა ენციკლოპედია. იქ ყველაფერი წერია. მე ბევრი რამე ვიცი. ამიტომაც არ მიშვებენ არც ერთ ტელევიზიაში.

***— თუ ასეთი რამეების თქმას აპირებთ, მართლა არ ყოფილხართ მისაშვები...***

— მე მხოლოდ სიმართლეს ვამბობ. სიმართლე კი ბევრს აშინებს. ამიტომ არის დახურული ჩემთვის ყველა ტელევიზიის კარი. სამაგიეროდ, ვინც აწყობთ, ისინი გამოჰყავთ. ზევით რვიანზე მწარედ ვთქვი რაღაცები. მაგრამ ისინი მე არასდროს გამილანძღავს. მე არ მითქვამს, რომ მოლაპარაკება დაუშვებელია, ვამბობ, რომ ყველას თავისი გზა აქვს. აირჩია რვიანმა ეს გზა? ამ გზით გაუმარჯოთ. მე ყველა პოლიტიკური პარტიის მიერ არჩეულ გზას პატივს ვცემ, თუმცა, რვიანში ზოგიერთი ისეთია, ვინც თავიდან ბოლომდე ხელისუფლებისაა.

***— რომელი ძალაა თავიდან ბოლომდე ხელისუფლების?***

— ქრისტიან-დემოკრატები. ყველას არ ვეხები. მათ ხელმძღვანელობაზე ყველამ ყველაფერი კარგად იცის. ერთმა პიროვნებამ კარგად მითხრა. რუსეთს აღარავისი ნდობა აღარ აქვს საქართველოში.

***— რატომ აღარ აქვთ რუსებს ქართველი პოლიტიკოსების ნდობა?***

— სააკაშვილიც რუსეთით მოვიდა და რუსეთის ლანძღვა დაიწყო. ხელისუფლებაში კიდევ ბევრია ასეთი, რომელიც რუსეთმა მოიყვანა. ახლა ეს ადამიანები რუსეთს ლანძღავენ. 6 წლის წინ ავსტრიაში ვიყავი კონფერენციაზე. იქ ერთმა რუსმა მითხრა, 15 აგვისტოს თბილისში, პარლამენტის წინ მიტინგი ტარდება და სიტყვით ხომ არ გამოხვალო. მე გამიკვირდა, ვკითხე, შენ საიდან იცი, რა ტარდება თბილისში-მეთქი. თავიდან არაფერი მითხრა, მერე მომიყვა, რომ კაცი, რომელიც მიტინგს უკეთებდა ორგანიზებას, რუსეთთან იყო კავშირში.

***— ვინ არის ეს ადამიანი?***

— ვინაობას არ დაგისახელებთ, გეტყვით იმას, რომ ის დღეს პარლამენტში ზის და ოპოზიციას წარმოადგენს. ეს რუსეთი სიბინძურითაა სავსე, იმიტომ რომ ამ ხალხს არ ამხელს. ვეუბნები, ამხილე ის, ვინც თქვენთან თანამშრომლობდა-მეთქი. ცუდია, როცა ქართველი პოლიტიკოსები რომელიმე ქვეყანასთან ნდობას დაკარგავენ. ზოგი რუსეთთან ჩუმი მოლაპარაკებითა და ხმამაღალი ლანძღვით მოხვდა პარლამენტში. ახლა რუსეთის წინააღმდეგ გამოდის ვითომ. პოლიტიკოსების დიდი ნაწილი სულ გარიგებაში შედის, იქნება ეს რუსეთი თუ ჩვენი ხელისუფლება. ოპოზიციის ნაწილი სააკაშვილთან გარიგებაშია შესული.

***— არის ვარაუდი, რომ სახალხო კრებაც გაურიგდება ხელისუფლებას...***

— არ ვიცი, ვინ გამოთქვამს ამ ვარაუდს. მე ერთი რამე ვიცი, რომ არ გავურიგდებით ხელდისუფლებას. ჩვენ ქვეყანასა და ერთმანეთს არ ვუღალატებთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ერთი პარტია ვართ. მე ხშირად მეკითხებიან, თქვენ და ბურჯანაძე ერთად როგორ ხართო.

***— თქვენ ადრე პარლამენტის ყოფილ სპიკერს აკრიტიკებდით. ამდენად, ჩვენთვისაც საინტერესოა, როგორ დგახართ ბურჯანაძის გვერდით?***

— მე კი გეუბნებით, რომ ჩემი პოზიცია არ შემიცვლია. მე ვამბობ, რომ კრება არ არის ხელისუფლებაში მოსვლის მექანიზმი. სახალხო კრება არის ხალხის სისხლისმწოველი ხელისუფლების გაშვების მექანიზმი. საქართველოში ხელისუფლებაში მოსვლის ერთადერთი მექანიზმი არსებობს.

***— რა მექანიზმი?***

— ეს არის არჩევნები. თუ მე და ბურჯანაძე ერთი პარტიით ვიყრით კენჭს, მაშინ დასვით ეს კითხვა. დღეს ჩვენ გვაქვს საერთო ინტერესი და ერთად ვდგავართ.

***— ეს ინტერესი ხელისუფლების შეცვლაა, არა?***

— 18 მაისს ჩვენ წარმოვადგენთ პროგრამას. მას სახელად ჰქვია საქართველოს მოსახლეობის გენოციდი. ეს მასალები 2 ტომად არის შედგენილი. აქ საშინელი ციფრებია. დღეს პირდაპირ და დაუფარავად ხდება საქართველოს მოსახლეობის გენოციდი. პოლიტიკოსები თუ ხედავენ, რომ გენოციდი ხდება, ხმას რატომ არ იღებენ? რატომ არაფერს აკეთებენ ხელისუფლების შესაცვლელად? მათ, როგორც ჩანს, პარლამენტში ჯდომა ურჩევნიათ. ზოგიერთს სხვა მიზეზები მოაქვს, ამბობენ, ჩვენ შაშიაშვილისა და ბურჯანაძის გვერდით ვერ დავდგებითო.

***— ეს არგუმენტი ძალიან ხშირად ისმის.***

— მერე, ვინ სთხოვს ჩვენ გვეროდით დადგომას? დღეს გვერდით დგომა სჭირდება საქართველოსა და ხალხს. ასეთ განცხადებებს ის ხალხი აკეთებს, რომელიც თავის დროზე სააკაშვილს გვერდით ედგა. მე 1997 წლიდან ვამბობ, რომ სააკაშვილი გაუწონასწორებელი და ქვეყნისთვის საშიშია. 1997 წლიდან ვამბობ, რომ ფაშისტი და ფაშიზმი მოდის. ახლა ამას ამბობს ოქრუაშვილი და რვიანი. სააკაშვილს რომ აძლიერებდით და ღმერთი გეგონათ, დაგავიწყდათ? ახლა ჩემს ნალაპარაკევს რომ იმეორებთ და კიდევ მე მლანძღავთ, ნამუსი აღარ გაქვთ?!

შორენა კოწოწაშვილი

# რატომ იწყებენ ადვოკატები შიმშილობის აქციას

## ხელისუფლება თუ გონს არ მოეგო, ოპოზიციას შევუერთდებით!

**1§ მაისს ადვოკატები პარლამენტთან შიმშილობის აქციას იწყებენ. ეს იქნება გამაფრთხილებელი აქცია მოთხოვნით, მოგვეცით კანონი და სამართლიანობა. აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ ხელისუფლებამ ადვოკატებზე ზეწოლა და მუქარა უკვე დაიწყო.**

— ადვოკატებს უკვე დაურეკეს პროკურატურიდან და უთხრეს, თუ ამ აქციაზე წახვალთ, საპროცესოებს აღარ გაგიკეთებთო, ანუ ადვოკატებზე ზეწოლები წავიდა. ვისაც ვაჟკაცობა ეყოფა, გამოვიდეს, ვისაც არა და, იმ ადვოკატებს შევასხენებ: ამერიკულმა გემმა 2008 წელს ძალიან ბევრი „პამპერსი" ჩამოიტანა. ამ „პამპერსებს" შეშინებულ ადვოკატებს საადვოკატო ბიუროებში დავუგზავნით და წყალსაც მივაყოლებთ, იქნებ დასჭირდეთ. ყველა ადვოკატმა თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, — აცხადებს შალვა ხაჭაპურიძე.

რა გეგმა აქვთ ადვოკატებს, რა შანსს აძლევენ ისინი პოლიტიკურ რვიანს და რას უნდა ელოდნენ ე.წ. ოპოზიციური პარტიები, მათ შორის საპარლამენტო ოპოზიცია? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან.

***— ბატონო შალვა, რატომ გადაწყვიტეთ ადვოკატებმა პროტესტის უკიდურესი ფორმის — შიმშილობისთვის მიგემართათ? რატომ ამთხვევთ შიმშილობის აქციას იმ პოლიტიკურ პროცესს, რომელსაც სახალხო კრება იწყებს?***

— ჩვენ, ადვოკატები, ბუნებრივია, ჩართული ვართ იმ პროცესებში, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარებს და ალბათ ყველაზე მეტადაც. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც გარკვეულწილად ადვოკატთან არ ჰქონდეს ურთიერთობა. დღეს ციხეები გადატენილია ექიმებით, ინჟინრებით, პროფესორებით და ნებისმიერი პროფესიის ადამიანებით. ციხეებში რომ შეხვალთ, იმ კატეგორიის ადამიანებს ნახავთ, შესაძლოა თავი აკადემიაში გეგონოთ. დადის ეს ხალხი წიგნებით, გაზეთებით. ციხის ისტორიას არ ახსოვს, ამდენი ინტელექტუალი ციხეებში იყოს გამოკეტილი. პირველებმა ამ რეჟიმის წინააღმდეგ ხმა სწორედ ადვოკატებმა ამოვიღეთ. სწორედ ადვოკატებმა ვიგრძენით სასამართლო დარბაზებიდან, რა ტიპის მმართველობა მყარდებოდა ქვეყანაში. ეს 7 წელი გაგრძელდა და ჩვენც არ გავჩერებულვართ. ბოლოს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა დადო გამაოგნებელი დასკვნა. სტრასბურგის სასამართლომ გირგვლიანის საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება. ევროპის ადვოკატთა ასოციაციის ობსერვატორიამ პირდაპირ მიუთითა, რომ სახელმწიფოში მიმდინარეობს ადვოკატების დევნა-შევიწროება. ყველა ეს ფაქტორი იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში ტოტალიტარული სისტემაა. ამ პრეტენზიების მიუხედავად, რასაც ცივილიზებული მსოფლიო უყენებს საქართველოს ხელისუფლებას, მათ სირაქლემის პოზიცია მიიღეს. ხელისუფლებამ არანაირი ნაბიჯი არ გადადგა იმისათვის, რომ ეს რეკომენდაციები იქნეს გათვალისწინებული. შესაბამისად, იმ ადვოკატებმა, რომლებსაც ღირსება და პროფესიონალიზმი შემოგვრჩა, გადავწყვიტეთ, დავიწყოთ გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია. ჩვენ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ ვაძლევთ შანსს ჩვენი აქციებით, რომ გონს მოეგოს და დაუყოვნებლივ დაიწყოს რეფორმების გატარება ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის დასამყარებლად ანუ სამართლებრივ სივრცეში ქვეყნის ცხოვრების გადაყვანისთვის გადადგას ნაბიჯები. თუ ხელისუფლება ამას არ გააკეთებს, მაშინ ადვოკატები ვიქნებით იმ საპროტესტო აქციების წინა რიგებში, იმიტომ რომ ასე ცხოვრება და მუშაობა წარმოუდგენელია. რა მდგომარეობაშიც დღეს სამართალი იმყოფება, ეს არის სიგიჟე. სააკაშვილმა კი 7 წლის განმავლობაში 111 ადვოკატი დააპატიმრა. ეს იმ ფონზე, როცა ოფიციალური სტატისტიკითაც 001%-ია გამამართლებელი განაჩენები. ქვეყანაში იურიდიული აზროვნება ჩამკვდარია.

***— ამ ფონზე შესაძლებლად მიგაჩნიათ ქვეყნის კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცევა?***

— შესაძლებელია. თუ ხელისუფლება პოლიტიკურ ნებას გამოიჩენს, წინა პლანზე წამოსწევს განათლებულ ადამიანებს და რეალურად გაატარებს სამართლებრივ პოლიტიკას. სააკაშვილმა ბათუმში თქვა, რომ მისი ხელისუფლების ყველაზე დიდი რეფორმა არის პოლიციის რეფორმა. ამას, როგორც წესი, დიქტატორები აკეთებენ. სააკაშვილმა სასამართლო გააუქმა, რადგანაც ქვეყანას მართავს მაკკიაველის პრინციპით — დიქტატორული რეჟიმით. აქ საუბარია უკანონო პატიმრებზე, ადამიანების ქუჩაში ჩაცხრილვაზე, საუბარია ებრაელი ბიზნესმენების უკანონოდ დაპატიმრებაზე. არავის ეგონოს, მხოლოდ იმიტომ ვიღებთ ხმას ებრაელი ბიზნესმენების დაპატიმრებაზე, რომ ებრაელებს პატივს ვცემთ. არა. სამართლებრივად ვიცნობთ ამ საქმეს. ეს ბიზნესმენები უდანაშაულოები არიან. საუბარია ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობაზე. საუბარია იგივე გამოუძიებელ საქმეებზე, როგორიც არის ჟვანიას მკვლელობა, სანაიას მკვლელობა და ა.შ. ეს საქმეები ხელახლა უნდა იქნეს გამოძიებული. ავიღოთ იგივე გურამ შარაძის მკვლელობა, რომელიც დღესაც ბურისით არის მოცული. არავინ იცის, სად იხდის სასჯელს შარაძის მკვლელობისთვის გასამართლებული. ეს საქმე გასაიდუმლოებულია. პირდაპირ წერს სახელმწიფო დეპარტამენტი, რომ ქვეყანაში არიან უკანონო პატიმრები, პოლიტპატიმრები. ადგილი აქვს ციხეებში ადამიანების წამებას. უამრავი საქმეა გასაპროტესტებელი და ხელახლა გამოსაძიებელი. სტრასბურგმა დადო გირგვლიანის საქმეზე გადაწყვეტილება და ამის შემდეგ მოსამართლე ჩემია კვლავ მოსამართლეა. მას ამ უკანონო განაჩენისთვის არანაირი დისკომფორტი არ შექმნია. აღარ ვსაუბრობ სხვა იმ საქმეში მონაწილე პირებზე. როდემდე შეიძლება ეს გაგრძელდეს?! მინდა გითხრათ, რომ ეს აქცია უპრეცედენტოა. მსგავსი აქცია არსად ჩატარებულა.

***— სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიან ხელისუფლებას ადვოკატები?***

— რა თქმა უნდა. შეიძლება, სააკაშვილისთვის არაფერს წარმოადგენდეს ადვოკატების გამოსვლა და შიმშილობა, მაგრამ მსოფლიოს თვალში ეს არის კატასტროფა, როდესაც ადვოკატები პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავენ. ძალიან კარგად ვიცით, რომ ჩვენი ადგილი სასამართლო დარბაზებშია. რა უნდა ადვოკატს საპროტესტო აქციაზე. მაგრამ, იძულებული ვართ, ჩვენი კლიენტისა და საკუთარი უფლებების დასაცავად ქუჩაში გამოვიდეთ. დღეს ადვოკატებს რჩებათ ერთადერთი გზა — იდგნენ ბარიკადებზე და დაიწყონ ბრძოლა უკვე საპროტესტო აქციებით და არა სამართლებრივი ფორმებით.

***— იზიარებს თუ არა აქციის ორგანიზატორთა პოზიციას ადვოკატების უმრავლესობა?***

— როგორც კი მერიაში განაცხადი შევიტანეთ და ინფორმაცია გავრცელდა, რომ 17 მაისს, 3 საათზე ვიწყებთ პარლამენტთან შიმშილობის აქციას, იმ მომენტიდან უამრავი ადვოკატი მოდის, გვიკავშირდება. დილის 5 საათამდე მოდიოდნენ ადვოკატები და თანადგომას გამოხატავენ. მაგრამ, არიან ადვოკატები, რომლებსაც მე ადვოკატებს კი არა, პროკურატურის საქვეუწყებო დაწესებულების თანამშრომლებს ვუწოდებ. ისინი, ბუნებრივია, ჩვენ გვერდით არ დადგებიან. მეტსაც გეტყვით: თუ ისინი ჩვენ გვერდით დადგომას გადაწყვეტენ, ამას ავუკრძალავთ. ვფიქრობ, როცა სააკაშვილის რეჟიმი გასამართლდება, ეს ადვოკატებიც უნდა გასამართლდნენ, ისევე, როგორც ბევრი ჟურნალისტი უნდა გასამართლდეს, ბევრი ექიმი და განსაკუთრებით — სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები. ესენი ისეთივე თანამონაწილეები არიან დანაშაულებრივი რეჟიმისა, როგორებიც — გირგვლიანის მკვლელები და ა.შ. ასე რომ, მათი თანადგომა ნაკლებად მაინტერესებს, უფრო მეტიც, არც მინდა. ამ აქციისთვის შეურაცხმყოფელი იქნება, ეს ადვოკატები რომ მოვიდნენ და ჩვენ გვერდით დადგნენ. შეურაცხყოფა იქნება იგივე იმ პოლიტპატიმრებისთვის, პატიმრებისთვის. რომლებსაც სურვილი აქვთ, ვგულისმობ მოქალაქეებს, პატიმრების მშობლებს, პენსიონერებს, ვეტერანებს, ყველას შეუძლია შემოგვიერთდეს, იმიტომ რომ ჩვენ თითქმის ყველა პრობლემას შევეხებით პარლამენტის წინ ყოფნის პერიოდში. უფრო მეტიც, ადვოკატები ბევრნი ვიქნებით და სურვილის შემთხვევაში ადგილზე კონსულტაციებს გავუწევთ ხალხს, ანუ ჩვენს პროფესიულ საქმიანობას შიმშილობის დროსაც განვახორციელებთ.

***— პატიმრებიც გიერთდებიან შიმშილობის აქციაში?***

— რამდენიმე პატიმარმა გამოთქვა სურვილი, რომ მხარს დაუჭერენ შიმშილობის აქციას ციხეებიდან. ჩვენ თავს ვიკავებთ და მოწოდებას არ ვაკეთებთ, იმიტომ რომ ციხის ბუნტის შემდეგ ხელები შეაწმინდეს ტარიელ ფოცხვერიასა და ვილაცებს, ვითომ გარედან იქნა ეს ბუნტი ორგანიზებული. ეს ხალხი ისედაც შიმშილობს. ჩვენ ვიბრძვით ამ ხალხის უფლებების დასაცავად. თუმცა, არა მარტო პატიმრების უფლებების დასაცავად. თუ რომელიმე მოქალაქე ან პატიმარი გადაწყვეტს, ადვოკატების მხარდასაჭერად დაიწყოს შიმშილობა, ეს მისი კონსტიტუციური უფლებაა და შეუძლია გააკეთოს. მაგრამ ჩვენ მოწოდებას არ ვაკეთებთ პატიმრების გასაგონად, რომ შემოგვიერთდნენ. როგორც ჩანს, პატიმრებში ინტერესი არის. ციხეში რომ შევედი, დაახლოებით 100-მდე პატიმარი იყო გამოყვანილი. დერეფანი რომ გავიარე, პატიმრები წამოდგნენ და მითხრეს, ჩვენც თქვენ გვერდით ვართ, ჩვენც შიმშილობას ვიწყებთო. რა თქმა უნდა, პატიმრებზე იქნება ზეწოლა, რომ შიმშილობა არ დაიწყონ და ამან ფართო მასშტაბი არ მიიღოს. ვიმეორებ: არანაირ მოწოდებას არ ვაკეთებთ, რომ პატიმრებმა შიმშილობა დაიწყონ, მაგრამ, თუ ვინმე მაინც დაიწყებს, მისი ნებაა.

***— გარკვეული ნაბიჯები ხომ არ გადადგა მინისტრმა კალმახელიძემ პატიმრების წინააღმდეგ. ამის შესახებ ინფორმაციები ხომ არ გაქვთ?***

— ჯერჯერობით ასეთი ინფორმაცია არ მაქვს. რაც შეეხება ადვოკატებს, მათ უკვე დაურეკეს პროკურატურიდან და უთხრეს, თუ ამ აქციაზე წახვალთ, ჩვენ საპროცესოებს არ გაგიკეთებთო. მოკლედ, ადვოკატებზე ზეწოლები წავიდა. ბევრმა თქვა, ჩვენ აღარ შევუშინდებით და თქვენ გვერდით დავდგებითო. ვისაც ვაჟკაცობა ეყოფა, გამოვიდეს, ვისაც არა და, იმ ადვოკატებს შევახსენებ: ამერიკულმა გემმა 2008 წელს ძალიან ბევრი პამპერსი ჩამოიტანა. ამ პამპერსებს ამ ადვოკატებს საადვოკატო ბიუროებში დავუგზავნით და მივაყოლებთ კიდევ წყალს, იქნებ დასჭირდეთ. ყველა ადვოკატმა თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ჩვენ, ადვოკატების ნაწილი, ვიწყებთ შიმშილობის აქციას საქართველოს ინტერესების დასაცავად. ოღონდ ეს არ არის პოლიტიკური აქცია, ეს არის სამართლებრივი აქცია მოთხოვნით — მოგვეცით კანონი და სამართლიანობა!

***— კონკრეტული თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხსაც დააყენებთ? მაგალითად, კალმახელიძის, ადეიშვილის და ა.შ.***

— ამაზე უკვე აქციის მიმდინარეობის დროს იმსჯელებს საგაფიცვო კომიტეტი და საინიციატივო ჯგუფი. ერთობლივად მივიღებთ გადაწყვეტილებას, როგორ უნდა ვიმოქმედოთ. წერილებს ვუგზავნით დიდი რვიანის ხელმძღვანელებს, ამერიკის პრეზიდენტს, კონგრესს, სენატსა და ისრაელის პრემიერ-მინისტრს, აგრეთვე საელჩოებს იმის შესახებ, რომ, არ არის გამორიცხული, ამათ ადვოკატების აქცია დაარბიონ. იმ მოტივით, რომ 26-ში აღლუმი აქვთ ჩასატარებელი, შეიძლება, აქციის ნება არ დაგვრთონ. არ დაგვრთავენ და ქვაშვეთის ეკლესიის ეზოში დავსხდებით. მით უკეთესი, ჩვენ ვიქნებით ეკლესიის წიაღში. მსოფლიო ამ აქციას უფრო დიდ ყურადღებას მიაქცევს. ამიტომ ხელისუფლებას აქ დიდი შანსები არ აქვს. თუ ვინმეს დააშინებს, დააშინოს.

***— თქვენთვის მნიშვნელოვანია აქციის მასშტაბი ანუ რამდენი ადამიანი გამოვა ადვოკატების აქციაზე?***

— არა. ჩვენ არ ვაპირებთ იქ მიტინგების ჩატარებას. ეს არის საპროტესტო აქცია. ამით გვინდა, მსოფლიოს კიდევ ერთხელ დავანახვოთ, ქვეყანაში რა მდგომარეობაა და ხელისუფლებას ვუთხრათ, გონს მოეგოს. მამაოებს უნდა ვთხოვოთ, რომ სალამოობით ჯანმრთელობის პარაკლისი გადაიხადონ. რამდენიმე დედაომ გამოთქვა სურვილი, რომ ჩვენ გვერდით იქნებიან და მოშიმშილეებს მოუვლიან. სამედიცინოს სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ჩვენთან ერთად იქნებიან. ეს არის ხუთდღიანი გამაფრთხილებელი აქცია. 5 დღის შემდეგ 21 მაისია და ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება. თუ ხელისუფლებამ ამ 5 დღის განმავლობაში ვერანაირი დასკვნა ვერ გამოიტანა, მაშინ ადვოკატები ჩართული ვიქნებით შესაბამის პროცესებში.

***— ბატონო შალვა, ხელისუფლება ამბობს, რომ პროცესი, რომელიც 21 მაისს დაიწყება, რუსული სცენარის განხორციელებაა.***

— თვითონ ეს ხელისუფლებაა რუსული სცენარი. სააკაშვილი არის რუსეთის უშიშროების აგენტი, ნომრიანი აგენტი. მითხარით,



ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი რუსებს რატომ მიჰყიდეს? რატომ დგას რუსეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე. ბილაინში რატომ ჰყავს ჩამოყვანილი რუსები და „რუსთავის 2"-ის მთავარი მრჩევლები რატომ არიან რუსეთის წამყვანი ტელევიზიების მრჩევლები?! აქ ყველაფერი რუსულია. ეს ხელისუფლება არის რუსეთის ძალა. ხელისუფლებას ერთი რამის ეშინია: ხომ არ მოხდა რუსეთში ისეთი რამ, რომ სააკაშვილი გაწირეს და ხომ არ ხდება ახლა სააკაშვილის ვინმეთი ჩანაცვლება.

***— როგორ წარმოგიდგენით 21 მაისიდან პოლიტიკური პროცესის განვითარება?***

— ხალხი უნდა გახდეს ამ პროცესის გამაერთიანებელი და წინამძღოლი, ანუ ინიციატივა ხალხმა თავის თავზე უნდა აიღოს. რაც შეეხება იმ რვა პარტიას, ჩვენ რა, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება არ გვინდა? განსხვავება არის გარკვეულ პოლიტიკურ საკითხებში, რომელიც ეჭვს ბადებს, რომ იმ მოლაპარაკების მაგიდასთან მსხდომი გარკვეული პარტიები ხელისუფლების თამაშს თამაშობენ. ალბათ, ფიქრობენ, რომ თუ 21-ში დაწყებული პროცესი წარუმატებლად დამთავრდა, ის ხალხი, რომელიც აქციებს მხარს უჭერს, მათი მხარდამჭერი გახდება. მაგრამ ამაში ძალიან ცდებიან. ცოტა პოლიტიკურად იაზროვნეთ, ვინც ამას ამბობთ. ეს ხალხი თქვენკენ კი არა, საერთოდ არავისკენ აღარ გადმოვა. თუ ხელისუფლებას ამხელა მასის არ ეშინია და ანგარიშს არ უწევს, იმ პარტიებს რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში, რა, რაიმე ძალას წარმოადგენენ?! ერთადერთი, ეროვნულ ფორუმს შეუძლია 5 000 კაცის გამოყვანა. სხვა პარტიას 500 კაცის გამოყვანა მაინც შეუძლია? მოლაპარაკებებში ისეთი პარტიები მონაწილეობენ იმ 8 პარტიის გარდა, რომელთა სახელიც არ იცის ხალხმა და სააკაშვილი მათ გაუწევს ანგარიშს?! ილოცონ იმ პარტიებმა და დროულად დადგნენ იმ ხალხის გვერდში, რომელიც საპროტესტო აქციებს იწყებს, რათა დროულად მოხდეს ამ რეჟიმის დემონტაჟი.

***— რვიანის მტკიცებით, რევოლუცია დღეს სააკაშვილს აწყობს, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავს და სასურველ პარლამენტს მოიყვანსო.***

— მერე, ვინ ეუბნება მაგათ, რომ ვინც საპროტესტო აქციების ჩატარებას აპირებს, ვადამდელ არჩევნებს ითხოვს!

***— სააკაშვილმა რომ დანიშნოს?***

— მერე რა. რომ დანიშნოს, ვინ თქვა, რომ ჩვენ ვჩერდებით და მივდივართ არჩევნებზე? ნურას უკაცრავად!

ნონა ცაბაე

# რა მოხდება 26 მაისს

## ოპოზიციას შეიარაღებული დაპირისპირება არ აწყობს

### ინტერვიუ ექსპერტ კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან



***— ბატონო მამუკა, მაისის დადგომასთან ერთად გააქტიურდა ოპოზიციაც, ემზადებიან აქციებისთვის, თუმცა მათ ერთად დადგომა და შეთანხმება ვერ მოახერხეს. ურთიერთობა ქართულ პარტიასა და სახალხო კრებას შორის დღითიდღე იძაბება, როგორია თქვენი, როგორც ექსპერტის შეფასებები?***

— რა შემიძლია გითხრათ, პრინციპში, ერთი შეხედვით არაჯანსაღი სიტუაციაა, როდესაც ერთი ამოცანის და ერთი პათოსის მატარებელი ორი პოლიტიკური ძალა ერთმანეთთან დაპირისპირებულია და ცდილობს, რომ ცალ-ცალკე მიაღწიოს ერთსა და იმავე მიზანს. რასაკვირველია, ეს ხალხში იწვევს დეზორგანიზებას და გარკვეულად საზოგადოების დაპირისპირებასაც, გააჩნია ვინ რომლის მხარეზეა. თუ ჩვენ ვივარაუდებთ, ვის რა შანსები აქვს ამ ორი პოლიტიკური ძალიდან, შეიძლება ითქვას, რომ არც ერთს განსაკუთრებული შანსი არა აქვს. მე ვგულისხმობ საბოლოო მიზნის მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ რაც არ უნდა გათვლილი ჰქონდეთ თავიანთი ქმედებები, მე ვერ ვხედავ, რომ ხელისუფლების კონტრღონისძიებების ანალიზი ზუსტად ჰ ქონდეთ გაკეთებული და ეტაპობრივი სამუშაო შესრულებული, ჯერ ერთი ეტაპის გადალახვა, მერე მეორე და ა. შ. ამათ გეგმა კი აქვთ შედგენილი, მაგრამ ეს ავტონომიური გეგმაა, მხოლოდ თავის მოქმედებებს ითვალისწინებს და არა ხელისუფლების კონტრღონისძიებებს. ერთადერთი, შეიძლება რაც არის გათვალისწინებული, ეს არის ის, რომ ხელისუფლების ძალის გამოყენების შემთხვევაში რა უნდა დაუპირისპირონ მათ. მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. ბუნებრივია, მე არ მაქვს ზუსტი ინფორმაცია, მაგრამ შთაბეჭდილება ასეთი მრჩება. თუმცა, მიუხედავად ამისა, რომ მათ ცალ-ცალკე მიაღწიონ მნიშვნელოვან წარმატებას, ამის შანსი ძალიან დაბალია.

***— ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ხელისუფლება ძალას გამოიყენებს და დაარბევს აქციებსო, თქვენი აზრით, რითი უპასუხებს ამას ან ერთი ან მეორე ძალა?***

— მე ვერ გეტყვით, რითი უპასუხებს, ყოველ შემთხვევაში, ისე როგორც 7 ნოემბერს მოხდა, რომ აბსოლუტურად დეზორგანიზებული აღმოჩნდა სამშვიდობო დემონსტრაცია წინააღმდეგობის გაწევისათვის, ასეთი რამ, ეტყობა, აღარ იქნება. ეს შეფიცულთა ინსტიტუტის შექმნა, წარსულის გამოცდილება, მეტყველებს იმაზე, რომ ესენი მზად არიან კონტრღონისძიებისათვის. მე არა მაქვს ინფორმაცია და ვერ ვხედავ, აქვთ თუ არა იარაღი, რომელიმე ამ პოლიტიკურ ჯგუფს, მაგრამ რაც არ უნდა იარაღი ჰქონდეს, პრინციპში, იარაღით დაპირისპირება ხელისუფლებასთან აბსოლუტურად წამგებიანია და ამაზე არც არავინ არ წავა. თუმცა არსებობს სხვა მეთოდები. ჩვენ ვიცით, ცნობილი რუსული გამოთქმა არსებობდა რუსეთში სოციალ-დემოკრატიის ზეობის პერიოდში, ვგულისხმობ მე-20 საუკუნის დასაწყისს - პროლეტარიისთვის იარაღი, ეს არის ქვაფენილის ქვა. ასე რომ, შეიძლება აი ამ ქვაფენილის ქვის დონეზე არიან მომზადებულები, მე ვერ გეტყვით, არ ვიცი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, განწყობა ასეთი ჩანს. ვიმეორებ, ამ ყველაფერს არა აქვს მნიშვნელობა, რადგან შანსი ცალ-ცალკე ღონისძიებების ჩატარების შედეგად წარმატების მიღწევის არის დაბალი. ჯერ ერთი, უზარმაზარი ენერგია იხარჯება ერთმანეთის განქიქებასა და ერთმანეთთან დაპირისპირებაში.

***— საზოგადოებაც დაბნეულია...***

— რასაკვირველია, საზოგადოება დაბნეულიც არის და გახლეჩილიც, მაგრამ გარკვეული პოლარიზება, გარკვეული არჩევანის გაკეთება საზოგადოების ნაწილში მაინც მოხდა. ანუ საზოგადოების ერთი ნაწილი უჭერს ამას მხარს, მეორე ნაწილი მეორეს უჭერს მხარს. არსებობს მესამე და მეოთხე ნაწილებიც, ეს კიდევ ცალკე საკითხია. ყველაზე ცუდი ის არის, რომ საზოგადოება ძალიან დაყოფილია. პრინციპში, რომ ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყველას ჰყავს თავისი აქტივი, 10-20 ათასი კაცის აქტივის შემოკრება ორივე პოლიტიკურმა ძალამ მოახერხა და 10-20 ათასი კაცი არ არის პატარა ძალა პატარა საქართველოსთვის. ახლა რამდენად იდეურად არიან ეს ადამიანები ორიენტირებული კონკრეტული ძალის ლიდერებზე, ეს ცალკე სალაპარაკო თემაა და ვერ გეტყვით. შეიძლება აქ მენკანტილური დაინტერესებაც იყოს, შეიძლება პირადი, ნათესაურ-ახლობლური კავშირებიც იყოს, მაგრამ ასეთი კავშირებიც, ბუნებრივია, იქნება. რასაკვირველია, იქნება იდეური განწყობაც, იდეური ანტაგონიზმიც ხელისუფლების მიმართ და ამის გამო გაერთიანება კონკრეტულ ძალაში.

***— ფაქტია, რომ უფრო ეფექტური იქნებოდა ამ ძალების ერთად დადგომა...***

— მეც სწორედ მანდ მივდივარ. მე ჩემი საუბარი დავიწყე იმით, რომ ზედაპირულად ასეთი სურათია. ამ სურათის მიღმა არ გამოვრიცხავ ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს. საერთოდ მოვლენების განვითარება ხშირ შემთხვევაში ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ალოგიკურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ ორი ძალის დაპირისპირება ხელისუფლებასთან, ერთმანეთთან, დაძაბული ვითარების შექმნა, ამ ძალების შეჯახებამ ხელისუფლებასთან გზა გაუთავისუფლოს სხვა პოლიტიკურ ძალას. ეს მნიშვნელოვანი დეტალია და მინდა ამას ყურადღება მიექცეს, იმიტომ, რომ ასეთი რამ სხვაგანაც მომხდარა. მე შემიძლია უამრავი მაგალითი მოვიყვანო სხვა ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრებიდან და ისტორიული წარსულიდან. გარდა ამისა, არსებობს ასეთი ძალიან სხარტი გამონათქვამი რევოლუციასთან დაკავშირებით — რევოლუციას იგონებენ გენიოსები, ახორციელებენ ავანტიურისტები და სარგებლობენ ნაძირალები. ახლა ის მომენტი გვაქვს, რომ შეიძლება ეს რევოლუცია მოიგონეს მართლა „გმირებმა", მაგრამ განხორციელება შეიძლება მოხდეს სხვისი ხელით, როცა ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი თუ სამი ძალა დაიღლება ან რესურს ამოწურავს. არ არის გამორიცხული, რომ ასე მოხდეს. აი ამ კონტექსტში გარკვეული უპირატესობა შეიძლება აღმოაჩნდეთ რვიანში გაერთიანებულ პარტიებს, რომელთაც, როგორც ჩანს, დასავლეთის მაღალი ხარისხის მხარდაჭერა აქვთ.

***— რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებებს, არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა ამას საზოგადოებაში. თქვენ რა შეფასებას მისცემდით მას?***

— რასაკვირველია, მოვისმინე და მის ფორმას მკვეთრად უარყოფითად ვაფასებ. იმიტომ, რომ აქ ყველაფერს აქვს თავისი ადგილი და წესი. საქმე ისაა, რომ გარკვეული გალიზიანება ქართველ საზოგადოებაში დასავლეთის ზოგ შემთხვევაში გაუგებარი ქმედებების მიმართ არსებობს და ეს ფაქტია. თუმცა საქართველოში ცვლილებების ერთადერთი მხარდამჭერი შეიძლება მაინც დასავლეთი იყოს. ამიტომ დასავლეთის მიმართ ასეთი აგრესიული პოზიციის დემონსტრირება და თან ასეთი ფორმით, აბსოლუტურად მიუღებელია. რასაკვირველია, შეიძლება კრიტიკული იყოს, შეიძლება შეეცადო, რომ დასავლურ სამყაროს თვალი აუხილო მის საკუთარ შეცდომებზე. აუხილო თვალი, რომ კონიუნქტურული მოსაზრებებიდან გამომდინარე ისინი ცდილობენ თვალი დახუჭონ იმ ვითარებაზე, რაც ქვეყანაშია შექმნილი, თუნდაც ადამიანის უფლებების დაცვისა და სასამართლო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით. ხშირ შემთხვევაში ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ სტაბილური მდგომარეობა და სამოკავშირო ურთიერთობა საქართველოსთან მიმართებაში და ამიტომ თვალს ხუჭავენ რიგ დარღვევებზე. უნდა ვთქვათ, რომ ასეც არის. თუმცა ეს ქართველ საზოგადოებაში აღიქმება სხვანაირად. მათ შორის ამის ნათელი მაგალითია ის, რაც არაბულ სამყაროში მოხდა და დღემდე ხდება. იმიტომ, რომ როდესაც მათ თავის რეჟიმს ბრძოლა დაუწყეს, არანაირი კონტაქტი დასავლეთთან არ უნდოდათ. გამონაკლისი იყო ლიბია. იმიტომ, რომ მათი რეჟიმების ხანგრძლივი ყოფნა სახელმწიფოს სათავეში ზუსტად რომ დასავლეთის ბრალი იყო. ანალოგიური სიტუაციაა საქართველოში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოქრუაშვილს თვითონ პიროვნულად არ ჰ ქონდა ასეთი აგრესიის დემონსტრირების უფლება და თან ასეთი ფორმით. იმიტომ, რომ ვთქვათ, ოქრუაშვილის პარტიის გამარჯვების შემთხვევაში ასეთ სიტუაციაში ისევ დასავლეთს უნდა მიადგნენ და თავისი ლეგიტიმურობა ისევ დასავლეთის მეშვეობით უნდა გაამყარონ.

***— დღეს როდესაც დასავლეთი და კერძოდ, ამერიკის ადმინისტრაცია აშკარად ოპოზიციის მხარესაა, სწორედ ამიტომაა გასაკვირი ოქრუაშვილის განცხადებები და მას რუსული ინტერესების გატარებაში დასდეს ბრალი...***

— გეთანხმებით. ამას იმ წუთში მიაკერეს იარლიყი, რომ ოქრუაშვილი რუსეთისკენ იყურება, რუსეთის გულის მოგებას ცდილობს და ამიტომ გააკეთა ასეთი განცხადება. არა მგონია, რომ ეს ასე იყოს. მე მაქვს ჩემი საინფორმაციო წყარო რუსეთში და ვინმე რომ სერიოზულად განიხილავდეს ოქრუაშვილს, როგორც ალტერნატივას დღევანდელი რეჟიმისა, ასეთი რამ არ არის. ნამდვილად არ არის. მე ვფიქრობ, რომ ოქრუაშვილი შეეცადა გამოეხატა საქართველოს საზოგადოების ერთი ნაწილის განწყობა დასავლეთის პასიურობის მიმართ და ამიტომ გააკეთა ასეთი ტიპის განცხადება, მას ამ ხალხის გულის მოგება უნდოდა. ოქრუაშვილი მოცილებულია ქართულ სამყაროს. ახლა ტელეფონში მოყოლილი ამბებითა და ინტერნეტით მიღებული ინფორმაციით და პირადი შეხვედრებით მიღებული ამბებით დასკვნის გაკეთება ცოტა ძნელია. თუ კარგად არ მოიხარშე, ასე ვთქვათ სიტუაციურ სუპში, ძალიან რთულია სერიოზული დასკვნების გაკეთება პოლიტიკოსისათვის და ოქრუაშვილმაც ეს შეცდომა დაუშვა.

***— ბატონო მამუკა, თქვენ საუბრისას ოპოზიციური რვიანი ახსენეთ, ითქვა, რომ ამ ეტაპზე შეწყვეტილია კონსულტაციები ხელისუფლებასთან. მარცხი განიცადა მოლაპარაკების ამ ფორმატმა, რას უნდა ველოდო უახლოეს პერიოდში?***

— მე არ ვიცი ამ სიტუაციაში მარცხი რვიანმა განიცადა თუ ხელისუფლებამ, რადგან ამერიკის ადმინისტრაციის და დასავლეთის პოზიცია არის ცალსახა. მე ჩემს თავს უფლებას მივცემ, უფრო მეტის მცოდნედ გავასაღო თავი, ვიდრე ჩვეულებრივმა რიგითმა ადამიანებმა. ქეიდენაუ ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ოპოზიციას შეხვედროდა და მისი მთავარი თხოვნა ზუსტად ეს იყო, რომ რვიანს ეს პროცესი არ შეეწყვიტა და არჩევნებისკენ ამ ფორმით სვლაზე უარი არ ეთქვა. იმიტომ, რომ ეს ყველაზე მომგებიანია მთლიანად დასავლეთისთვის. დასავლეთმა რომ შეცვალა გეგმები საქართველოს ხელისუფლების მიმართ, ეს ძალიან მარტივი მაგალითითაც შემიძლია დაგიდასტუროთ. მაგალითად, ორი დღის წინ იყო ევროპის დღე, დიდ მიღებას მართავდა ევროკავშირის ელჩი. საქართველოს ხელისუფლებიდან ამ მიღებაზე არც ერთი პირველი პირი არ ყოფილა, სამინისტროების არც ერთი პირველი პირი არ ყოფილა. შეხვედრა იყო ვიცე-სპიკერისა და რამდენიმე მინისტრის მოადგილის დონეზე. სხვათა შორის, დასავლელი დიპლომატები ქილიკობდნენ, რომ გაგვებუტა საქართველოს ხელისუფლებაო. დემონსტრაციულად არ მივიდნენ ამ ევროპის დღესთან დაკავშირებულ მიღებაზე. მე მახსოვს, წინა შეხვედრებს თითქმის ყველა მათგანი ესწრებოდა. პრინციპში, რაც ირაკლი ოქრუაშვილმა სიტყვიერად თქვა, ის გააკეთა ხელისუფლებამ მოქმედებით. ხელისუფლების მიერ გადადგმული ასეთი ტიპის ნაბიჯი ბევრად უფრო წონიანია, ვიდრე ოქრუაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, მით უმეტეს, რომ სოზარ სუბარი და ეროსი კიწმარიშვილი ყველანაირად ცდილობდნენ მთელი დღის განმავლობაში, რომ ოქრუაშვილის ნათქვამი შეელამაზებინათ. თვითონაც მიხვდნენ, რომ ოქრუაშვილის ეს ნათქვამი არ იყო სერიოზული. ვიმეორებ, შინაარსის თვალსაზრისით ასეთი რამ გასაგებია, მაგრამ ფორმის თვალსაზრისით, აბსოლუტურად მიუღებელი. ფორმის თვალსაზრისით ასევე აბსოლუტურად მიუღებელი იყო ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლების დემარში, რომ არ მივიდნენ ევროპის დღის ღონისძიებაზე.

***— ცნობილია, რომ ხელისუფლება 26 მაისს სერიოზული აღლუმისთვის ემზადება, უნდა ვივარაუდოთ, რომ 26 მაისს ოპოზიცია ქუჩაში იქნება. რას უნდა ველოდოთ, წავა რომელიმე მხარე დათმობაზე თუ შეიძლება რამე ცუდი პროცესები განვითარდეს?***

— საქმე ის არის, რომ ახლა ვართ ცაიტნოტურ მდგომარეობაში. ახლა ხელისუფლების ხელშია ძალიან ბევრი რამ. თუ მან მოახერხა თავის თავში ამ სიჯიუტის გადალახვა და დათმობებზე წასვლა, მაშინ სიტუაცია ბევრად უფრო პროგნოზირებადი გახდება. ხელისუფლების ზოგიერთ მაღალჩინოსანს ეტყობა ეშინია, რომ თუ დათმო მან რაღაც რვიანთან, მერე სხვა დათმობებზე მოუწევს წასვლა. ეს არის ჩვეულებრივი დემოკრატიული პროცესი, რომელსაც კომპრომისული ურთიერთობები ჰქვია ოპოზიციასთან. მე არ მესმის, რატომ შეიძლება ქვეყანა ისეთ ზღვარზე მიიყვანო, რომ დაპირისპირება მოხდეს და თუნდაც ერთი წვეთი სისხლი დაიღვაროს, როცა შეგიძლია გადადგა ეს ნაბიჯები და გარკვეულ დათმობებზე წახვიდე არა მარტო ოპოზიციასთან, არამედ საზოგადოებასთან. საზოგადოების მოთხოვნაა ეს. ახლა რომ გითხრათ, საზოგადოების ნაწილი ზის და დღე და ღამე ფიქრობს, სამართლიანი არჩევნები ჩაგვატარებინეთო, ეს ტყუილია, მაგრამ საზოგადოების გადამწყვეტი ნაწილი ზის და დღე და ღამე ფიქრობს სამართლიანობაზე. საქართველოს საზოგადოებისათვის სიტყვა „სამართლიანობა" გახდა იდეა ფიქსი ყველა სფეროში, არამარტო ადამიანის უფლებების სფეროში, ეკონომიკურ სფეროში, სოციალურ სფეროში, საზოგადოებრივ ცხოვრების სფეროში. სამართლიანობა არის მათთვის მთავარი. ეს სამართლიანობის დეფიციტი განაპირობებს საზოგადოების გაღიზიანების ძალიან მაღალ ხარისხს. ის ადამიანებიც კი, ვინც პირში ეპირფერებიან ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისინიც კი სულ სხვანაირად ლაპარაკობენ და ფიქრობენ, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენელი არ ეგულებათ გვერდით. ხელისუფლება თავისი შეცდომებით ქმნის პირფერობისა და თვალთმაქცობის განწყობას ქვეყანაში და ასეთი ტიპის საზოგადოება სახელმწიფოს ვერასოდეს ვერ ააშენებს. საზოგადოების ერთი ნაწილი მუდმივად ორიენტირებულია ტყუილზე და ვერ ააშენებს სახელმწიფოს.

***— ფიქრობთ, რომ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, რა მოხდება 26 მაისს?***

— ძალიან ბევრი რამეა ახლა ხელისუფლებაზე დამოკიდებული. თუ ხელისუფლებამ გადადგა შესაბამისი ნაბიჯები უკან, სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ეს ის ნაბიჯები იქნება, როცა გადადგამ ორ-სამ ნაბიჯს უკან და ხუთი ნაბიჯით წინ იქნები. ასე ჯიუტად რომ არის ერთ ადგილას, ერთი ადგილის ტკეპნა შედეგს არ მოიტანს.

ნანა მიშელაშვილი

# დიდი მოქეიფე არა ვარ

**პარლამენტის წევრი ირაკლი ქავთარა ე მხიარულად იხსენებს კიკეთში ბორცვიდან გადავარდნის ამბავს, რომელიც მშვიდობიანად დასრულდა. ირაკლი ქავთარა ე ამბობს, რომ ზომიერად ცელქი ბავშვი იყო. გაკვეთილიდან მასწავლებელს არასდროს გაუგდია და არც ორიანი არ მიუღია.**

ირაკლი ქავთარაძეს 3 წლის ასაკში ჩამსხვრეული მინა მოხვდა, ლოყა გაეჭრა, რის გამოც სახეზე შრამი დღემდე ემჩნევა.

რატომ ეძახდნენ ბავშვობაში პიკასოს? როგორი მოცურავეა და უწერდა თუ არა ბავშვებს ორიანებს?

**„ახალი თაობა“ ირაკლი ქავთარაძეს ესაუბრა:**

***— ქავთარაძეები საიდან ხართ?***

— უშუალოდ ჩემი შტო გურიიდან არის, თუმცა, ვიცი, რომ ქავთარაძეები მთიულეთში ცხოვრობენ. ალბათ, თავის დროზე იქიდან არიან წასული დანარჩენ საქართველოში.

***— დიდი გვარი ხართ?***

— კი.

***— საგვარეულო შეკრებები გაქვთ?***

— კი. ჩემი დაძაბული გრაფიკიდან გამომდინარე ამ შეკრებას მხოლოდ ერთხელ დავესწარი.

***— როდის?***

— ერთი წლის წინ.

***— სხვადასხვა კუთხიდან წამოსული ქავთარაძეები იყავით თუ მარტო გურულები?***

— ყველა კუთხიდან იყვნენ.

***— გურულები ხომ არ ჩაგრავდით დანარჩენ ქავთარაძეებს?***

— არა. ყველა თავის სიმაღლეზე იდგა და ყველა ამაყობდა, რომ ქავთარაძე იყო.

***— გურულებისთვის დამახასიათებელი თვისებები გაქვთ?***

— ალბათ, კი.

***— ფიცხი ხართ?***

— გააჩნია რა შემთხვევაში. თუმცა, რაც ასაკში შევედი, ეს სიფიცხე ქრება. ყმაწვილობაში უფრო ფიცხი ვიყავი, რაც დავოჯახდი, შვილები შემეძინა, მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

***— სამსახურში თანამშრომლებს ხშირად უყვირით?***

— ეს ჩემს თანამშრომლებს უნდა ჰკითხოთ, არა მგონია, ჩემმა თანამშრომლებმა ამაში დამადანაშაულონ. არავის არ ვუყვირი.

***— გურულებისთვის დამახასიათებელი კიდევ რა თვისებები გაქვთ?***

— ამბობენ, რომ გურულები ფიცხები არიან, თუმცა, ბოლომდე მართალი არ არის. მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ ჰგონიათ ყველაფერი იციან, ყველა თემაზე შეუძლიათ საუბარი, დაწყებული გლობალური პოლიტიკიდან, დამთავრებული მეზობლებს შორის ურთიერთობით. ყველა თემას საკმაოდ ფართო ჭრილში განიხილავენ გურულები.

***— თქვენც ასეთი ხართ?***

— მე ნამდვილად არა მაქვს ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი ვიცი, თუმცა, ვცდილობ, ყველაფერი ვიცოდე. ვცდილობ, ყველაფერზე ჩემი ჩამოყალიბებული აზრი მქონდეს.

***— სკოლა სად დაამთავრეთ?***

— თბილისში.

***— როგორი ბავშვი იყავით?***

— როგორც ყველა ბავშვი, ცელქი ვიყავი, თუმცა, ზომიერად ცელქი ვიყავი.

***— მასწავლებელს კლასიდან გაუგდიხართ?***

— არა.

***— არც ხმაურის გამო?***

— მასწავლებელს კლასიდან არასოდეს არ გავუგდივარ.

***— „შატალოზე“ სად დადიოდით?***

— ზამთრის პერიოდში, თოვლი რომ მოვიდოდა, კლასი მთაწმინდაზე მივდიოდით, გაზაფხულზე — ვერის პარკში. ისე, მაინცდამაინც „შატალოს“ მოყვარულები არ ვიყავით.

***— რომელი საგანი არ გიყვარდათ?***

— ქიმია.

***— ქიმიაში ორიანი მიგიღიათ?***

— არ მიმიღია. ორიანი არც ერთ საგანში არ მიმიღია. ქიმიას ვსწავლობდი, მაგრამ მაინცდამაინც არ მსიამოვნებდა. მათემატიკა, გეოგრაფია ძალიან მიყვარდა. ყოველთვის წარმატებულ მოსწავლედ ვითვლებოდი.

***— ბავშვობის ტრავმები რა გაქვთ? ხელი-ფეხი მოტეხილი გაქვთ?***

— ბავშვობის ტრავმას სახეზე შემატყობთ, ლოყაზე შრამი მაქვს.

***— ეს ბავშვობის ტრავმაა?***

— კი. სამი წლის ვიყავი, კართან ვთამაშობდი, მეზობელი შემოვიდა, ორპირი ქარი იყო, კარი მოჯახუნდა, მინის ჩატეხილი ნაწილი ლოყაზე მომხვდა და ჭრილობა მომაყენა. ამაზე მშობლებმა ძალიან ინერვიულეს.

***— სამედიცინო ჩარევა დაგჭირდათ?***

— კი. თავიდან ბოლომდე არ მახსოვს ყველაფერი, პატარ-პატარა ეპიზოდები მახსოვს. ერთი ეპიზოდი მახსოვს, როდესაც მამამ ამიყვანა ხელში, მერე მახსოვს საოპერაციო მაგიდა, დანარჩენი ეპიზოდები არ მახსოვს. ალბათ იმიტომ, რომ ძალიან პატარა ვიყავი.

***— შრამის გარდა, ბავშვობის სხვა ტრავმა გაქვთ?***

— ერთხელ, მახსოვს, კლდიდან გადავვარდი.

***— რომელი კლდიდან?***

— უფრო სწორად, კლდე კი არა, ბორცვი იყო.

***— რამდენი წლის იყავით?***

— 7-8 წლის. კიკეთში ვისვენებდით, მთა-გორიანი ადგილია და ბავშვებმა გადავწყვიტეთ, არცთუ ისე დიდი ბორცვი დაგველაშქრა და მოკლე გზით ავსულიყავით. ჩვეულებრივი, ნორმალური ბილიკი მიდიოდა, მაგრამ რატომღაც გადავწყვიტეთ მოკლე გზით დაგვეპყრო მთა. ფეხი დამიცურდა, ნეკნი დავარტყი, სუნთქვა შემეკრა. მწარედ მახსოვს ეს ამბავი.

***— ნეკნი გაგიტყდათ?***

— არა, გატეხილი არ მქონია.

***— ხიფათიანი ბავშვი ყოფილხართ?***

— ბავშვობაში ხიფათი არ მაკლდა, პატარ-პატარა რაღაცეები იყო, რომელიც შემდეგ აღარ გამახსოვრდება.

***— ზედმეტი სახელი გქონდათ?***

— ბავშვობაში პიკასოს მეძახდნენ.

***— რატომ, კარგად ხატავდით?***

— არა, ხატვა არ მიყვარდა.

***— მაშ რატომ შეგარქვეს ეს სახელი?***

— მეგობრის მამამ დამიძახა პიკასო. ბავშვები ეზოში ვთამაშობდით და რატომღაც პიკასო დამიძახა, რატომ მიმამსგავსა პიკასოს, არ ვიცი. მერე აიტაცეს ეს სახელი და რაღაც პერიოდის განმავლობაში მეძახდნენ.

***— ახლაც ხომ გაქვთ ზედმეტი სახელი?***

— კი.

***— ტონის რატომ გეძახიან?***

— სიმართლე გითხრათ, ესეც უცბად მოხდა, რადგან შრამი მაქვს სახეზე, ამის გამო დამიძახეს ტონი, ეტყობა, ცნობილი ფილმის გავლენით.

***— ტონის ბევრი გეძახით თუ მარტო მეგობრები?***

— მარტო მეგობრები.

***— ბევრს ეგონა, რომ სახეზე შრამი ჩხუბის გამო გქონდათ, არადა, ბავშვობის შრამი ყოფილა...***

— სამი წლის ბავშვი ნამდვილად ვერ ვიჩხუბებდი, ბავშვობის შრამია. სხვათა შორის, ბეწვზე გადავრჩი, რომ თვალი არ დავკარგე. თვალს ძალიან პატარა მანძილით იყო აცდენილი. ბავშვობაში გადაღებულ ფოტოებზე სახეზე წინიდან ჩანს შრამი, ასაკის მომატებასთან ერთად შრამმა გვერდზე „გადაიწია“.

***— სპორტის რომელიმე სახეობით იყავით დაკავებული?***

— ცურვით. ცურვაზე 10 წელი დავდიოდი.

***— კარგი მოცურავე ხართ?***

— საკმაოდ. კარგი რეზულტატიც მქონდა.

***— რა წარმატებები გქონდათ?***

— პატარა ტურნირებში ვმონაწილეობდი და კარგი შედეგი მქონდა. როდესაც ვცურავდი, მასწავლებელი ყოველთვის მეუბნებოდა, რომ კარგი შედეგი მქონდა. სამწუხაროდ, ცურვას ვერ გავყევი.

***— რატომ დაანებეთ თავი?***

— სკოლის გამო. აბიტურიენტი ვიყავი და თავიდან ბოლომდე სწავლაზე ვიყავი გადართული, პედაგოგებთან ვემზადებოდი, დრო აღარ მყოფნიდა.

***— ცურვას რომ გაყოლოდით, პროფესიონალი მოცურავე გახდებოდით?***

— ალბათ. ძალიან მიყვარს სპორტის ეს სახეობა. თავისუფალ დროს ვცდილობ წავიდე და ვიცურაო, პირველ რიგში, ჯანმრთელობისთვის კარგია, წყალს ერთი კარგი თვისება აქვს,ამშვიდებს და დაძაბულობას ხსნის.

***— ბავშვობაში თქვენ და თქვენი ძმა ხშირად ჩხუბობდით?***

— არა. ჩემი ძმა 4 წლით უფროსია ჩემზე, თუ რაიმეზე ვკამათობდით, ჩემი მშობლები ყოველთვის მე მამართლებდნენ და ის დაჩაგრულ მდგომარეობაში გამოდიოდა. ამას ჩემი ძმა დღემდე იხსენებს. თითქოს მეც იგივე ინსტინქტი მაქვს, როდესაც ჩემი შვილები წაიჩხუბებენ, უფროსს მოვუწოდებ პატარას დაუთმოს.

***— რა პროფესიის ხართ?***

— გეოგრაფი ვარ, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფია დავამთავრე.

***— როგორი სტუდენტი იყავით?***

— არასდროს არ მქონია ლექტორებთან დაძაბული ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ ცუდ პერიოდში მომიწია სწავლა, მიუხედავად არეულობისა, ლექტორები ცდილობდნენ დავეინტერესებინეთ და სათანადო ცოდნა მოეტანათ სტუდენტებთან.

***— სტუდენტობის პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გიწევდათ მოგზაურობა?***

— რა თქმა უნდა. ჩემი ფაკულტეტი ისეთი იყო, რომ სხვადასხვა მხარეში გვიწევდა გასვლა. ასეთი საგანია ლანდშაფტთმცოდნეობა, სწავლის შემადგენელი ნაწილი იყო, მაგალითად, მარტყოფში გასვლა და თეთრი კლდეების მონახულება. ასევე ვიყავით დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოში. ადგილობრივი ეკოსისტემა ძალიან საინტერესოა.

***— კარავში გიწევდათ ცხოვრება?***

— კი. ჩვენი პედაგოგების დამსახურებაა, რომ ჩვენში ნამდვილი გეოგრაფის სული გააღვივეს. სხვათა შორის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი დიპლომატიური კორპუსი სწორედ ამ ფაკულტეტდამთავრებულები არიან.

***— ამ ფაკულტეტზე სწავლის დროს, სკოლაში, პრაქტიკაზე გეოგრაფიის გაკვეთილების ჩატარება გიწევდათ?***

— კი. მეხუთე კურსზე ვიყავი, როდესაც დილომში ერთ-ერთ სკოლაში პრაქტიკაზე გაგვიშვეს, ესეც სწავლის შემადგენელი ნაწილი იყო.

***— მერე როგორი მასწავლებელი იყავით, მკაცრი?***

— არა მგონია.

***— ახალგაზრდა პრაქტიკანტი მასწავლებელი იყავით, გაკვეთილზე ბავშვები არ ცელქობდნენ?***

— ხანდახან. მაშინ კარგი პერიოდი არ იყო, ბავშვებში სკოლის მიმართ გულაცრუებას ვგრძნობდი, თუმცა, გაკვეთილზე დასწრება იყო.

***— ბავშვებს ორიანს უწერდით?***

— არა. ჩვენ უბრალოდ საგანს ვუხსნიდით ბავშვებს, ნიშნებს არ ვუწერდით. შეფასებას მასწავლებელი აკეთებდა.

***— რაც შეეხება თქვენს ოჯახს, რამდენი შვილი გყავთ და რა ასაკის?***

— მყავს ორი შვილი: ლადო 4 წლის არის, ლიზა — 2-ის.

***— ხასიათით ლადო უფრო გგავთ თუ ლიზა?***

— ალბათ, უფრო ლიზა.

***— თქვენი რა თვისებები აქვთ?***

— ბავშვები ჩემს მშობლებთან ატარებენ დიდ დროს, დედაჩემი მეუბნება, რომ ლიზა ჩემს ბავშვობას აგონებს.

***— რომელი უფრო ცელქია, ლადო თუ ლიზა?***

— ლიზა უფრო ცელქია, ლადო შედარებით დინჯია.

***— ლადომ იცის, მამა სად მუშაობს?***

— როდესაც რუსთაველის გამზირზე გვიწევს მანქანით გავლა, პარლამენტის დანახვაზე ლადო ამბობს, რომ ეს მამას სამსახურია. იმის აღქმა არა აქვს, პარლამენტი რას ნიშნავს, უბრალოდ იცის, რომ სამსახურია.

***— ლადო ტელევიზორში პოლიტიკოსებს რომ ხედავს, იცნობს?***

— კი, ძალიან ბევრ ჩემს მეგობარს ცნობს.

***— სათამაშოების დამტვრევა რომელს უფრო უყვარს?***

— მიუხედავად თავისი სიდინჯისა, ლადო სათამაშოების დამტვრევის ოსტატია. აინტერესებს შიგნით რა არის, რატომ მოძრაობს. ყველა ჭანჭიკი აინტერესებს. რაც უფრო ცნობიერება ეზრდება, უფრო მეტ შეკითხვას სვამს. ბუნებრივია, ეს ბავშვური ცნობიერების გაზრდაა.

***— ზღაპრების მოყოლას რომელი უფრო ითხოვს?***

— ლადო.

***— რომელი ზღაპარი უყვარს?***

— კომბლე. კომბლეს გმირი ძალიან დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ძირითადად ჩემი მეუღლე აძინებს და ის უყვება ზღაპრებს, თუმცა, ერთი-ორჯერ მეც მომიწია ზღაპრის მოყოლა. ჩემგან რაღაც ახალს ითხოვს, აშკარად გამოგონილს.

***— მერე თავს როგორართმევთ, ზღაპრებს იგონებთ?***

— ფაქტია, რომ ნახევარ საათში ბავშვი ჩაძინებულია. ვცდილობ, რომ ზღაპარი მშვიდი იყოს, რათა ბავშვში ემოცია არ გამოიწვიოს და არ დაძაბოს.

***— ბავშვები სად ითხოვენ წაყვანას?***

— სხვათა შორის, ჩემგან განსხვავებით, ლადოს ძალიან უყვარს საბავშო ბაღში სიარული. კარგად ერთობა და როდესაც საბავშვო ბაღიდან გამოჰყავთ, აპროტესტებს, ცოტა ხანი კიდევ დამტოვეთო. ბევრი მეგობრები ჰყავს. საღამოს თუ დაძინებული არ არის, როდესაც მივდივარ, მიყვება ბაღში ვინ გააბრაზა, ვისთან იმეგობრა და ითამაშა.

***— რაზე ბრაზდება?***

— სათამაშოს თუ ვერ გაიყოფენ ან წაართმევენ, ამაზე ბრაზდება. ყოველთვის ვეუბნები, რომ დამთმობი იყოს. ამ ბოლო დროს ლადო მეუბნება, რომ სათამაშო როდესაც წაართვეს, გაბრაზდა, მაგრამ მოითმინა და სამაგიერო არ გადაუხადა.

***— ლიზა ახალ-ახალ თოჯინებს მოითხოვს თუ ჯერ არა?***

— ლიზა ძირითადად ლადოს სათამაშოებით ერთობა, თუმცა, რამდენიმე თავისი თოჯინა აქვს. ლადოს დამტვრეული სათამაშოებითაც ერთობა. ხანდახან თოფსაც იღებს, თუმცა, ჩემი მეუღლე უხსნის, რომ გოგოა და თოჯინებით უნდა ითამაშოს. ლიზას უყვარს, როდესაც თოჯინებს აძინებს, მზრუნველობას იჩენს, განსაკუთრებით უყვარს, როდესაც თავის პამპერსს თოჯინას უკეთებს. მართალია ლადო ჯერ 4 წლის არის, მაგრამ თუ ინტერესი გაუჩნდება, ჩოგბურთით მინდა დაკავდეს.

***— მუსიკალური განათლება გაქვთ?***

— არა. თუმცა, არის კარგი მუსიკა, რომელიც მსიამოვნებს და არის მუსიკა, რომელიც არ მსიამოვნებს.

***— სიმღერას სუფრასთან რამდენიმე ჭიქის შემდეგ ვერ აჰყვებით?***

— სამწუხაროდ, სმენა არა მაქვს და არ მინდა ვინმეს ჩემი სიმღერით დისკომფორტი შევუქმნა.

***— რამდენიმე დეპუტატმა თქვა, რომ 5-7 ლიტრი ღვინის დალევა შეუძლია. თქვენ რამდენი ლიტრის დალევა შეგიძლიათ?***

— არ ვიცი, ნამდვილად არ დამითვლია. მიყვარს ზომიერად დალევა.

***— რომელ სასმელს ანიჭებთ უპირატესობას.***

— კარგ ღვინოს.

***— საქეიფოდ კახური ღვინო გირჩევნიათ?***

— ნებისმიერი კარგი ღვინის დაჭაშნიკებაა კარგი.

***— ღვინის დაყენება შეგიძლიათ?***

— არა, არასდროს არ დამიყენებია. საკარმიდამო ნაკვეთი არ გვქონია, რომ ვენახი გაგვეშენებინა. თუმცა, თუ ღვინის დაყენების პროცესში მონაწილეობას მიიღებ, კარგია.

***— განსხვავებული სასმისით დაგილევიათ?***

— განსხვავებული ჭიქით დამილევია. დიდ მოქეიფე ადამიანად ვერ ჩავითვლები. მშვიდად, ლამაზად, მეგობრების წრეში მიყვარს დროის გატარება. ადამიანი სასმელს იმიტომ სვამს, რომ სიამოვნება მიიღოს და სხვასაც მიანიჭოს სიამოვნება.



რა ასაკიდან აქვს ირაკლი ქავთარა ეს ლოყაზე შრამი

# მიკვირს, როგორ მოვიდა საქართველო დღემდე!

ნათია ხურცილავა

**პირველ საუკუნეში საქართველოში ქრისტეს სარწმუნოების საქადაგებლად ანდრია პირველწოდებული ჩამოვიდა. ანდრია პირველწოდებულს იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა. სწორედ აქედან გამომდინარე, მას პირველწოდებული ეწოდება.**

მაცხოვრის პირველი მოციქული, პეტრე მოციქულის ძმა, საქართველოში უფლის მცნებების საქადაგებლად უშუალოდ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დავალებით წამობრძანდა.

ანდრია მოციქული სრულიად უცხო მხარეში ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატით შემობრძანდა.

სოფელ დიდაჭარაში დღემდეა შემონახული ტაძრის ნანგრევები, რომელიც, გადმოცემით, თავად წმინდა ანდრია პირველწოდებულს აუშენებია.

უფლის სახელით მოსული მოციქული მრავალ სასწაულს აღავლენდა. ანდრია პირველწოდებული იერუსალიმის მოლოცვის შემდეგ მოციქულებთან სვიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად საქართველოში კვლავ დაბრუნდა და ქრისტიანობა ქართლსა და აფხაზეთში იქადაგა.

უკანასკნელი, სადაც მოციქულმა იქადაგა, საბერძნეთის ქალაქი პატრა იყო. ქალაქის თავის ეგაეტის ბრძანებით წმინდა მოციქული ჯვარს აცვეს. რამდენიმე საუკუნის შემდეგ წმინდა მოციქულის უხრწნელი ნაწილები პატივით დაასვენეს კონსტანტინოპოლში.

სწორედ წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, 12 მაისს აკურთხა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მახათას მთაზე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა.

**ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან" წმინდა სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი მამა გიორგი სანამაშვილი საუბრობს.**

***— მამა გიორგი, 12 მაისს ანდრია პირველწოდებულის ხსნების დღე იყო. სწორედ მის სახელს უკავშირდება საქართველოში პირველად ქრისტიანობის ქადაგება. მოგვიანებით წმინდა ნინომ მოაქცია ქართველი ერი, მაგრამ ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ჩამოსვლა მნიშვნელოვანი იყო.***

— როდესაც მაცხოვარმა თავისი 12 მოციქული შეკრიბა, მათგან სწორედ პირველს, ანდრიას მოუწოდა. ანდრია გამორჩეული იყო მოციქულთა შორის. გამორჩეულზე როდესაც ვამახვილებ ყურადღებას, არ ვგულისხმობ რაიმე სახის აღმატებულებას, განსაკუთრებულობას, თითოეულ მოციქულს თავისებური გამორჩეულობა ჰქონდა. ბუნებრივია, მაცხოვრის 12 მოციქული ერთმანეთს ავსებს. როდესაც მაცხოვარი ამაღლდა ზეცად, მოციქულებმა წილი ყარეს, ვის რომელ ქვეყანაში მოუწევდა ქრისტეს სარწმუნოების საქადაგებლად წასვლა. როგორც ცნობილია და ეს ყველამ ვიცით, საქართველო წილად ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ხვდა, მაგრამ უფლისგან მიიღო ცნობა, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს უნდა მიეძინა. აქედან გამომდინარე, დედა ღვთისმშობლის ნაცვლად საქართველოში ანდრია პირველწოდებული ჩამობრძანდა საქადაგებლად. მან პირველად დიდ აჭარაში იქადაგა და აჭარა მოაქცია. ეს ხდება პირველ საუკუნეში, იმ პერიოდში, როდესაც ქართული წარმართობა არსებობს საქართველოში, როდესაც მძლავრობს კერპთაყვანისმცემლობა. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველო ზოგადად განიცდის სხვადასხვა ქვეყნის რელიგიების ზეგავლენას. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოში ანდრია პირველწოდებულის ჩამობრძანება. მართალია, პირველივე საუკუნეში ქრისტიანული რელიგია სახელმწიფო რელიგიად არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ ძალიან დიდი როლი შეასრულა, ერთგვარი ფუნდამენტი ჩაასხა ანდრია პირველწოდებულმა, რომელსაც შემდეგ წმინდა ნინომ გუმბათი დაადგა, თუ შეიძლება ასე ითქვას. მეოთხე საუკუნეში უკვე საქართველოში ჩამოდის წმინდა ნინო და ის სრულად ახდენს ქართველი ერის მოქცევას.

***— ქართველი ერი მზად დახვდა ქრისტიანულ რელიგიას, რომ მიეღო თუ ეს მაინც გაუკვალავი გზა იყო, რომელიც ანდრია პირველწოდებულმა გაიარა?***

— წარმართობის პერიოდშიც მოლოდინი იყო რაღაც ჭეშმარიტების გამოცხადებისა. ეს მოლოდინი იყო არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ ეს მოლოდინი იყო მთელ მსოფლიოშიც, სხვადასხვა რელიგიებიც ჭეშმარიტების მოლოდინში იყვნენ და ეს რეალობაა. საქართველოში ჭეშმარიტების გამოცხადების მოლოდინი მძაფრად იგრძნობოდა. ამიტომაც მოხდა, რომ სრულიად უცხო ადამიანს კარგად დახვდნენ ქართველები. ანდრია პირველწოდებული კეთილად მიიღეს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგადად საქართველო ამ დიდი ჭეშმარიტების მიღებისთვის მზად იყო. ანდრია პირველწოდებულს ამ ყველაფრის მისაღებად ზოგადად მომზადებული გული დახვდა. როდესაც მარცვალს თესავ, ბუნებრივია, ნოყიერი ნიადაგი უნდა დაგხვდეს. სწორედაც საქართველო ქრისტეს ქადაგებისთვის ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა.

***— წარმართულ რელიგიაზეც რომ ვისაუბროთ, რომელიც მთაში უფრო მძლავრობდა, ისტორიულ წყაროებში ცნობილია, რომ ერთგვარად გაუჭირდათ ქრისტიანობის მიღება. რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი?***

— რა თქმა უნდა, გაუჭირდათ, ვიდრე არ დადგა მეოთხე საუკუნე. ცნობილია, რომ მირიან მეფე შეეცადა, ერთგვარი ძალაც კი გამოეყენებინა, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა აღვნიშნოთ, რომ ადათ-ჩვეულებაზე იყო აქცენტი გაკეთებული. აქაც სრულიად ღიად ჩანს მთის ხალის ერთგულება, მათი დამოკიდებულება. მათ უერთგულეს თავიანთ ძირძველ, მამაპაპურ სარწმუნოებას, მამა-პაპათა გადმოცემულ ტრადიციებს. აქედან გამომდინარე, უჭირდათ მათ, თუმცა, ისინიც ხვდებოდნენ, რომ ის ჩვეულება, რაც მათ მამა-პაპას ჰქონდა, არ იყო სწორი ჩვეულება. ის იყო მხოლოდ ზნეობრივი მდგომარეობა, თუმცა, არც ზნეობრივი შეიძლება ვუწოდოთ კერპთაყვანისმცემლობას, რადგან ეს მოიცავდა და გულისხმობდა ყრმების მსხვერპლად შეწირვას. ეს იყო ყოვლად მიუღებელი ჩვეულება, რომლის გაგრძელება სრულიად წარმოუდგენელი და შეუძლებელი იყო. ვიმეორებ, მართალია, გაუჭირდათ, მაგრამ, ბუნებრივია, რომ ქართველი კაცი ყოველთვის რაღაცნაირად მაინც მომზადებული დახვდა ამ დიდ ჭეშმარიტებას და ამის შედეგი დღეს ჩვენ რეალურად გვაქვს.

***— მართალია, ქრისტიანობა შემოვიდა და დამკვიდრდა, მაგრამ ქართველ ერს შემდეგ მისი შენარჩუნება სიცოცხლის ფასად უწევდა. ძალიან რთული იყო ქრისტიანობის შენარჩუნება. ყველა მტერს, რომელიც საქართველოს ერჩოდა პირველ რიგში მართლმადიდებლობაზე მიჰქონდა იერიში. გუმბათის მოშლა, რომლის მაგალითიც სიონის საკათედრო ტაძარია, ასევე ეკლესია-მონასტრების გადაღებვა, ქრისტიანული რწმენის გამო ადამიანების ფიზიკური***



ქვეყანა დღეს სულიერი ალმავლობის ეტაპზეა

***განადგურება. როგორ ფიქრობთ, ეს გზა უნდა გაგვევლო?***

— ჩვენი ქვეყნის ისტორიას უამრავი ასეთი ავბედითი მოვლენა ახსოვს. როდესაც ხდებოდა ეკლესია-მონასტრების მიზანმიმართული დევნა, შევიწროება და ფიზიკური განადგურება, ნგრევა. დამპყრობელი შემოვიდოდა და პირველი სწორედ ეკლესიასა და სარწმუნოებას უსწორდებოდა. თქვენ სიონის საკათედრო ტაძარი ახსენეთ. ჯალალ ედ-დინმა სიონის ტაძარს მოხსნა გუმბათი და მის ადგილზე ტახტრევანი დაიდგა, საიდანაც თვალ-ყურს ადევნებდა მეტეხის ხიდზე გაბრძანებულ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატებს, რომლებზეც ქართველებს მისი ბრძანებით ფეხი უნდა დაედგა და ზედ გადაევლო. სწორედ ამ ტახტრევნიდან მან ნახა, რომ არც ერთი ქართველი არ ასრულებდა მის ბრძანებას და ხატს ასეთ შეურაცხყოფას არ აყენებდა სიცოცხლის შენარჩუნების ფასად. ადამიანები თმობდნენ წუთისოფელს იმისთვის, რომ მერმე სოფელი დამკვიდრებინათ, რასაც მაცხოვარი აღგვითქვამს ცათა სასუფეველს, რომლის დამკვიდრებისთვის თითოეული მორწმუნე დღენიადაგ უნდა ილვწოდეს და შრომობდეს თავის თავში. სწორედ, როდესაც ადამიანი გააცნობიერებს, რა არის ქრისტიანობა და რას მოიცავს ის, მას უკვე არ ულირს ეს წუთისოფელი იმად, რომ ასი წელი იცხოვროს ამ წუთისოფელში ბედნიერად და შემდეგ, ასმეერთე წელს, როდესაც ის გარდაიცვლება, მარადიულ სატანჯველში ამოყოს თავი. ასე იყო წმინდა გიორგი, მოწამე ბარბარე, ასე იყო ის ასი ათასი მოწამე, რომლებიც ხვარაზმელთაგან ეწამნენ სწორედ ერთ დღეს. ამდენი მოწამე, 100 ათას ადამიანს ერთ დღეში რომ თავი დაედო ქრისტესთვის, მსოფლიო მართლმადიდებლობას არ ჰყავს.

***— ალბათ, არც ერთ რელიგიას...***

— დიახ. ამ მცირერიცხოვან ერში მოხდა ეს სასწაული. მერე გვიკვირს, როგორ შევინარჩუნეთ თვითმყოფადობა და როგორ ვართ, რომ ისევ ქართველი გვქვია. ეს, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია სწორ, ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან და იმ მსოფლმხედველობასთან, რომელიც ქართველს ყოველთვის ჰქონდა. ქართველი ადამიანი ყოველთვის გულანთებული იყო რწმენის, დედაეკლესიის მიმართ, იმიტომ რომ ქართველმა ყოველთვის იცოდა, ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, იმისთვის ღმერთი მამა ვერ გახდებოდა. ამიტომ ქართველისთვის დედა იყო ეკლესია. თუ ადამიანი იტყოდა, ქართველი ვარო, ეს ნიშნავდა, რომ ის მართლმადიდებელია. შესაბამისად, თუ იტყოდა, რომ მე ვარ მართლმადიდებელი, გულისხმობდა, რომ ქართველი იყო. მართლმადიდებლობა და ქართველობა ერთმანეთში იყო შედუღაბებული და არის კიდეც, რაც ძალიან დიდი სიხარულია. 12 მაისს მისი უწმინდესობის მიერ მახათას მთაზე მოხდა საფუძვლის კურთხევა, სადაც შენდება ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის უდიდესი კომპლექსი, რაც ყველა ქართველისთვის სასიხარულოა. როდესაც სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა დაიწყო და დასრულდა, ვფიქრობდი და არც კი მგონია, რომ თუ შეიძლება კიდევ ასეთი დიდი და გრანდიოზული რამ აშენდეს, მგონია, რომ სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობით დასრულდა, მაგრამ ორი დღის წინანდელმა მოვლენამ ნათლად დამანახვა, რომ მართლაც დიდი სიხარულის თანაზიარნი გავხდით. ეს ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენა კი არ სრულდება, არამედ გრძელდება.

***— სიმბოლურად მაინც რისი მანიშნებელია ეს პროცესი? ერი, თუ შეიძლება ასე ითქვას, რა ეტაპზეა სულიერი თვალსაზრისით?***

— ერი სულიერი ალმავლობის ეტაპზეა. მისი უწმინდესობის სიტყვებით ვიტყვი: იყო ბოლშევიკური პერიოდი, როდესაც, სამწუხაროდ, ქართველი თავისი ხელით ანგრევდა ეკლესი-მონასტერს, ზარს ხსნიდა, ძარცვავდა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ღვთის სიტყვა აღორძინდა, რაც მისი უწმინდესობის მრავალმხრივ შრომასთან არის დაკავშირებული, რა თქმა უნდა, ამ კეთილმა შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო და ქართველი ერთიორად შემოუბრუნდა დედაეკლესიას და ერთიორად გამოიღო ხელი მისი აღმშენებლობისთვის, მისი გამშვენიერებისთვის. ქართველმა კაცმა ხელი აღუპყრო დედაეკლესიას, რადგან იქიდან უდიდესი შემწეობა იგრძნო თავად ადამიანმა. გაჭირვების პერიოდი იყო ჩვენი ქვეყნისთვის 90-იანი წლები. მახსენდება 1995-96 წლები, როდესაც სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა იწყებოდა და პირველი საძირკველი გაიჭრა, მაშინ ბატონმა გოგი ხარაბაძემ შესანიშნავად უთხრა მის უწმინდესობას: პირველად რომ ვნახე ეს უზარმაზარი ღრმული, გავიფიქრე, რითი უნდა ამოივსოს-მეთქი, იმაზე აღარ ვფიქრობდი, რომ ამხელა მშვენიერი ტაძარი უნდა აშენებულიყო. უწმინდესის ლოცვა-კურთხევით, მისი შრომითა და უდიდესი ღვაწლით არა მხოლოდ ის დიდი ღრმული ამოივსო, არამედ უდიდესი ტაძარი აშენდა და გუმბათი დაედგა. შეიძლება ვთქვათ, რომ მთელ საქართველოს დაედგა გუმბათი სამების საკათედრო ტაძრის აშენებით.

***— მამა გიორგი, ახალი გრანდიოზული მშენებლობის დაწყებაც მახათას მთაზე, შეიძლება ვთქვათ, რომ სიმბოლურიც არის, რომ არაფერი დასრულებულა, პირიქით, გრძელდება...***

— დიახ, ასევე სიმბოლურია ის, რომ სწორედ ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს მოხდა მახათას მთაზე საძირკვლის კურთხევა. ანდრია პირველწოდებული საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად შემოვიდა. ის გახლავთ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაცხოვრის პირველი მოციქული. ასევე პირველი მოციქულია საქართველოში, რომელმაც ქრისტეს სიტყვა, ქრისტეს მარცვალი შემოიტანა რწმენით. ღვთის მადლით, მჯერა, რომ მახათას ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარიც ისევე ბრწყინვალედ დაიდგამს გუმბათს, როგორც სამების საკათედრო ტაძარმა დაიდგა გუმბათი.

***— ალბათ — თითოეული ჩვენგანის მონაწილეობით...***

— რა თქმა უნდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

***— მამა გიორგი, დღეს ეკლესიაში უამრავი ადამიანი დადის, მრევლი დაუბრუნდა ტაძარს, რაც მისი უწმინდესობის უდიდესი დამსახურებაა, როგორც ისტორიკოსები ამბობენ, მაგრამ ეს ადამიანების რეალური მისვლაა რწმენასთან თუ მხოლოდ გარეგნული ფორმაა?***

— თავიდან სწორედ გარეგნული ფორმებით იწყება. სწორედ რომ ცნობისმოყვარეობიდან, რაღაცაში გარკვევიდან, ინტერესიდან იწყება ყველაფერი, მათ შორის, რწმენასთან მისვლაც, ხშირ შემთხვევაში. როდესაც შემოიხედავს ადამიანი ეკლესიაში, უკვე აღარ გადის. ბატონი სერგო ვარდოსანიძე იხსენებს ხშირად, პირველ წლებში, როდესაც მისი უწმინდესობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა და აღსაყდრა საქართველოს ეკლესიის ტახტზე, მაშინ ადამიანი ტაძარში რომ შემოიხედავდა და შემოვიდოდა, ის უკვე რჩებოდა და მრევლი ხდებოდაო. შეიძლება ითქვას, რომ ეს გრძელდება და დღესაც ასე ხდება. დღეს ძალიან ბევრი ახალგაზრდაა ეკლესიაში. ახალგაზრდა თაობა დადის ტაძარში. მე მჯერა, რომ ისინი აცნობიერებენ ამ ყველაფერს, არიან შრომისმოყვარეები, სწავლისმოყვარეები. ახალგაზრდა თაობას, უნდა აღვნიშნო, რომ ინტელექტი აქვს საიმისოდ, სადმე ბრმად არ მივიდეს, რომ გაუცნობიერებლები არ იყვნენ. ახალგაზრდები სწავლობენ, ინტერესდებიან. მათ იციან, რა არის ეს ყველაფერი. თუმცა, რა თქმა უნდა, გაუცნობიერებლად მოდიან, მაგრამ, ღვთის მადლით, არსებობს ეკლესიაში მოძღვარი, რომელიც მათ ასწავლის, ქრისტეს სწორ რწმენას აზიარებს და მიაახლებს მათ ქრისტეს სისხლსა და ხორცს.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის,
ბილაინის აბონენტებმა
დარეკეთ ნომერზე
700 605
ღმერთმა შეგეწიოთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# მე უკვე გამარჯვებული ვარ!

ეკა ირემაშვილი

**ნატალი ვეფხვაძე პროექტ „ნიჭიერის" პირველი ფინალისტია. უხარია, ხალხის რჩეული რომ გახდა, თუმცა გული სტკივა, რომ სრულიად დაუმსახურებლად, მარტო იმის გამო ლანძღავენ, რომ პროექტში ქართულ სიმღერებს მღერის.**

როგორია ნატალის გეგმები, აქვს თუ არა გამარჯვების იმედი და ვინ მიაჩნია კონკურენტად, ამ თემებზე ის „ახალ თაობას" ესაუბრა.

**ნატალი ვეფხვაძე:**

— ფინალში გადასვლას საერთოდ არ ველოდებოდი, რადგან ძალიან ძლიერი კონკურენტები მყავდა ჩემს ათეულში. მეგონა, სულ სხვები გადავიდოდნენ და ნაკლები შანსი მქონდა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ხალხმა ამირჩია. კი, ყველა მეუბნებოდა, მთელ საქართველოს მოსწონხარ, ხალხს უყვარხარ და მოეწონა შენი სიმღერა, მაგრამ მაინც არ მეგონა, ამხელა მხარდაჭერას თუ მივიღებდი ხალხისგან. ისე გამიხარდა, თმებიც კი გავიჩეჩე სცენაზეც, საოცარი ემოცია იყო ჩემთვის, მგონი მეტყობოდა, რომ უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი. ეს სტიმულია, რომ ფინალში კიდევ უფრო მეტი გავაკეთო და ჩემი ნამღერი კიდევ უფრო უკეთესი იყოს.

*— ბოლომდე გამარჯვების იმედი გაქვთ?*

— არასოდეს არაფერს ვგეგმავ და არც არაფერს ველოდები. როცა რამეს ელოდები და იმედი გაგიცრუვდება, უფრო რთულია. მირჩევნია, არაფერს ველოდებოდე და შედეგი კარგი იყოს. უდიდესი ბედნიერებაა, როცა ხალხის რჩეული ხდები.

*— რა გზა გაიარეთ „ნიჭიერამდე"?*

— შეიძლება ითქვას, რომ მოვიარე სამყარო. გავიარე ბევრი მარცხი პროფესიაში, არა ჩემი ვოკალური მონაცემების, არამედ სხვა პრობლემების — ჩაწყობების გამო, რომელიც კონკურსებზე ხშირად ხდება. ბევრი გამარჯვებაც მქონდა, მხოლოდ საქართველოს არც ერთი გამარჯვება არ უკავშირდება. უფრო საზღვარგარეთ მაქვს წარმატებები მოპოვებული. ბოლოს ესპანეთში ვიყავი, საქართველოს ომი რომ დამთავრდა, მაშინ წავედი და ავიღე ჟიურის სპეციალური პრიზი, რაც ჩემთვის ძალიან საამაყოა. ჩვენი ქვეყნის დროშა ყველაზე მაღლა ფრიალებდა, ჩვენი ჰიმნი ისმოდა და ვიყავი ძალიან ამაყი, რომ ეს შევძელი და ასე დავუჭირე მხარი ჩემს ქვეყანას.

*— თქვენი პროფესია სიმღერაა?*

— ძირითადად კი. ვცურავ კარგად, ცეკვა მიყვარს, კარგად ვცეკვავ, თეატრალურში გავდიოდი სამსახიობო ოსტატობას. თეატრალური წარმატებით დავამთავრე.

*— „ნიჭიერში" რატომ გახვედით?*

— საერთოდ არ მინდოდა ნიჭიერში მონაწილეობა. ერევანში ვიყავი წასული, როცა ჩემმა მეგობარმა ლუკა მელაშვილმა ჩემი საბუთები ნიჭიერში გაგზავნა. რომ ჩამოვედი, მაშინ მითხრა, შენი საბუთები ნიჭიერში გავაგზავნეო. ისე გავბრაზდი, მეტი რომ არ შეიძლებოდა და ვუთხარი, ხომ იცი, საქართველოში არაფერს აზრი არ აქვს, რადგან შედეგი არ მოაქვსმეთქი.

*— ასე რატომ გგონიათ?*

— იყო ასეთი შემთხვევები, ახლა სპეციალურად არ ვაკონკრეტებ იმ პროექტებს, რომელშიც მივიღე მონაწილეობა, მაგრამ სამწუხაროდ, შედეგი არ მოყვა.

*— რატომ გიწუნებდნენ?*

— აქ კონკრეტულად არავინ არაფერს გეუბნება. არ ვიცი რის გამო, დღემდე ვერ ამიხსნია, ფაქტია, რომ ასე იყო. ამიტომ იმედი მქონდა დაკარგული და საქართველოში არაფრის კეთება არ მინდოდა.

*— იმის გამო ხომ არა, რომ მხედველობის პრობლემები გაქვთ?*

— მე ჩვეულებრივ ადამიანად მიმაჩნია თავი. საქართველოში წესია, რომ ადამიანის ნაკლს ხაზი უნდა გაუსვან. მე ამას ნაკლად არ ვთვლი. კი, გარკვეული შეზღუდვები არსებობს ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. სიმართლე გითხრათ, დავიღალე ამ თემაზე ლაპარაკით და უკვე მოსაბეზრებელიც გახდა. საქართველოში არ დაიმსხვა ის უცნაური სტერეოტიპი, რომ ადამიანის ნაკლზე აქცენტი არ გააკეთონ. ეს ძალიან ცუდია. ჩვენ ევროპას ვბაძავთ ყველანაირად და ამაში რატომ არ ვბაძავთ? საერთოდ არ მიგრძნია ესპანეთში, რომ რაღაც პრობლემა მაქვს. ყველამ იცოდა თან, რომ მხედველობის პრობლემა მქონდა. საქართველოში არ შეიძლება, ამას ხაზი არ გაუსვან?




*— არის მოგვარებადი თქვენი მხედველობის პრობლემა?*

— რა თქმა უნდა, გაუმჯობესება შეიძლება, თუმცა, საერთოდ რომ მოგვარდეს ეს პრობლემა, არ შეიძლება. ნიჭიერი რომ მორჩება, ვაპირებ ოპერაციის გაკეთებას, მითხრეს, რომ შედეგი საკმაოდ კარგი იქნებაო. თან ამ დარგში მედიცინა წინ წავიდა და იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

*— ამბობენ, ნატალი იმიტომ გადავიდა ფინალში, რომ ხალხს შეებრალაო...*

— ეგეც გავიგე და უფრო უხეში კომენტარები და სალანძღავი სიტყვებიც იყო. ამბობენ, რომ არ მეტყობა, მაგრამ თუ დააკვირდებით, ჯანსაღ მზერასა და პრობლემატურ მზერას შორის განსხვავება არის. სადაც ჩვეულებრივი ადამიანი იმუშავებს კამერასთან, მე ისე ვერ ვიმუშავებ. ჩემზე იმასაც ამბობდნენ, მშვენივრად ხედავს და არანაირი მხედველობის პრობლემა არ აქვსო. ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, ნიჭიერის საიტზე პრომოები ხომ დევს, კარგად დააკვირდნენ და ყველაფერს ზუსტად დაინახავენ. არ მესმის, როგორ შეიძლება ადამიანმა სიბრმავე დაიბრალო? არ ვიცი, ამ ხალხისგან უკვე აღარაფერი მიკვირს. ერევანში ვიყავი კონკურსზე 2002 წელს, ქალბატონმა ნუნუ გაბუნიამ წამიყვანა, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ მისი. ძალიან დიდი კონკურსი იყო, 22 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას. მაშინ ვუთხარი ქალბატონ ნუნუს, რადგან ეს ხალხი ვერ მამჩნევს, რომ მხედველობის პრობლემა მაქვს, ჟიურის არც ერთ წევრს არ უთხრათ ჩემი პრობლემის შესახებმეთქი. სომხური სიმღერა შევასრულე, სადაც ვცეკვავდი, საკმაოდ საფრთხიანი კიბეები იყო, სადაც ასვლა-ჩასვლა მომიწია, სცენის კიდეზე დავტრიალდი და არ დამავიწყდება, ნუნუ გაბუნია წამოდგა და ხელები გამოიშვირა. ჟიურიში იყო ერთი ცნობილი ადამიანი, რომელმაც ჰკითხა, რატომ ადექი, რა მოხდაო. ნუნუმ უთხრა, იცით, ეს გოგო ვერ ხედავსო და ის კაცი გაოცდა, რატომ დაგჭირდა ასეთი რამის თქმა, ამ გოგოს არაფერი არ ეტყობაო. ნუნუმ მაშინ უთხრა, ჰოდა ზუსტად ეგ მითხრა, სანამ კონკურსი არ მორჩება, ჩემს პრობლემაზე არაფერი თქვაო. არადა, უკვე ფინალი იყო.

*— გიყვართ გარისკვა?*

— კი. თხილამურებზეც ვიდექი, ნესკაფემ დააფინანსა და გვასწავლიდნენ თხილამურებით სრიალს. იმდენად რისკიანი ვიყავი, ჯოხებიც კი არ მინდოდა, მის გარეშე მინდოდა სრიალი. საკმაოდ ადვილად ვიდექი, მარტივად ავითვისე. ველოსიპედსაც ჩვეულებრივად ვმართავ, სპორტზეც დავდიოდი, ვვარჯიშობდი, ფიზიკურადაც მეტყობა. არ მინდა შევიზღუდო თავი, მაქსიმალურად მინდა აქტიური ვიყო. ჩვეულებრივად შევდივარ ინტერნეტში და ვსარგებლობ კომპიუტერით. ერთი გოგო მწერდა ინტერნეტში, თუ მხედველობის პრობლემა გაქვს, როგორ წერო. ადამიანო, მხედველობის პრობლემა კი მაქვს, მაგრამ თუ შენ კილომეტრიდან ხედავ რამეს, მე უფრო ახლო მანძილი მჭირდება რამის წასაკითხად. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს საზოგადოებას არა აქვს ამის შესახებ ცოდნა. მხედველობის პრობლემა იმას არ ნიშნავს, რომ ვერ ხედავ. სამწუხაროდ, კომპიუტერი არ მაქვს, თორემ ხმოვანი პროგრამითაც არ ვისარგებლებ. არ მინდა რაღაცზე ან ვიღაცაზე დამოკიდებული გავხდე. რაც შემიძლია თვითონ ვაკეთო, ამას მაქსიმალურად დამოუკიდებლად ვაკეთებ. ერევანშიც მარტო გადავედი საზღვარზე, ესპანეთშიც მარტო ვმოძრაობდი ქუჩებში, მეგობრის დახმარებით ენის შესწავლაც კი დავიწყე. მართალია კარგად ვერ ვსაუბრობდი, მაგრამ მაინც ვეცადე, რომ იმ მოკლე დროში ესპანური ენა შემესწავლა და დამოუკიდებლად მემოქმედა. იყო ფანკლუბებივით გაკეთებული, იქ შეძენილი ჩემი მეგობრების მიერ. დამოუკიდებლობა ძალიან მიყვარს, არ ვიზღუდავ თავს არაფერში.

*— მეტროში აღარ მღერით?*

— 16 წლიდან მეტროში აღარ ვმღერი. დედა რომ მიხვდა, კომპლექსები გამიჩნდა და მერიდებოდა მეტროში სიმღერა, მასთან ერთად აღარ ვმდგარვარ მეტროში. სხვა ეტაპი დადგა ჩემს ცხოვრებაში, ხომ იცით, ამ ასაკში გოგო თავმოყვარეობას განსაკუთრებულად გრძნობს, რაღაცეების რცხვენია, რაღაცეების მიმართ კომპლექსები უჩნდება, რაც მერე უნდა გადალახოს. დედაჩემმა გადაწყვიტა, რომ აღარ მემღერა მეტროში.

*— ბოლო პერიოდში დედაც რომ არ ჩანს?*

— ამინდები იყო ცუდი, ჯანმრთელობის მხრივ მთლად კარგად ვერ არის და არა იმიტომ, რომ ჩვენს ცხოვრებაში რაიმე განსაკუთრებული მოხდა. ნიჭიერის ფინალში კი ვარ, მაგრამ იმ მხრივ, რომ დედაჩემი მეტროში არ იდგეს, არაფერი შეცვლილა. ჩვენი ფინანსური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. იმედი მაქვს, შევძლებ იმას, რომ დედაჩემს ამ ცხოვრების ტვირთი ცოტათი მაინც შევუმსუბუქო და აღარ უწევდეს მეტროში სიმღერა. მინდა ნაწილობრივ მაინც დავეხმარო.

*— თქვენმა სიმღერამ ბევრი რომ აატირა, იცით?*

— სოფო ნიჟარაძემაც აღნიშნა, რომ პატრიოტული თემატიკა კარგად გამომდის. ნიჭიერის საიტზე იყო ჩემზე კომენტარები, ქართულ სიმღერებს იმიტომ მღერის, რომ უცხოურს ვერ მღერისო. მინდა ყველას ვუთხრა, რომ ფრანგულადაც ვმღერი, ინგლისურადაც და რუსულადაც. საერთოდ ინგლისურად უფრო ვმღეროდი, ვიდრე ქართულად, მაგრამ იმდენად ჩამკვდარია ჩვენში ქართული სიმღერა, დღეს ყველა ინგლისურად მღერის, ამიტომ გადავწყვიტე ქართული მემღერა და იმ მაყურებლისთვის, ვისაც ქართული სიმღერა ენატრება, საჩუქარი გამეკეთებინა.

*— ნიჭიერის საიტზე თქვენი მისამართით გამოქვეყნებულ კომენტარებს კითხულობთ?*

— კი. ბევრი მეუბნება, არ წაიკითხოო, მაგრამ მაინტერესებს რას წერენ ჩემზე. ყველა მაგას აღნიშნავს, უცხოურს ვერ მღერიო. მოვა დრო, როცა უცხოურ სიმღერას ვიმღერებ. ბევრი კონცერტია დაგეგმილი ზაფხულში და კრიტიკოსებს დავუმტკიცებ, რომ უცხოურად სიმღერაც შემიძლია. ნიჭიერში არ მინდოდა უცხოური სიმღერით გასვლა. არიან ამ პროექტში მომღერლები, რომლებიც მშვენივრად მღერიან არაქართულ სიმღერებს იგივე თეონა კოროშინაძე, მარიამ აკობია, მარი ტომარაძე, ნადი ზახარიანი. ფინალშიც ბევრი ამბობს უცხოური იმღერეო, მაგრამ ისევ ქართულს ვიმღერებ. ვიცი, ბევრს არ მოეწონება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მაყურებლის დიდი ნაწილი კმაყოფილი იქნება.

*— პედაგოგი გყავთ?*

— არა. ნიჭიერის პროდიუსერებთან შეთანხმებით ვარჩევ რეპერტუარს, მინდა ისინიც საქმის კურსში იყვნენ.

*— პოპულარობას მიეჩვიეთ?*

— ვერა. შეიძლება ბევრმა თქვას, მეტიჩრობსო, მაგრამ მართლა არ ვმეტიჩრობ. ქალაქში მარტო ვერ გავდივარ, მრცხვენია, ამდენი ყურადღება მაკომპლექსებს. ზოგი ჩემს დანახვაზე, ნიჭიერი მოდისო, ყვირის, ზოგი კარგი თვალით მიყურებს. ყურადღებას იმიტომ კი არ ვაქცევ, რომ არ მსიამოვნებს, უბრალოდ, ვკომპლექსდები. თან მიუჩვეველი ვარ ყურადღებას. ნიჭიერი რომ გავიდა და მეორე დღეს ქუჩაში გავედი, საოცრებები ხდებოდა, მეტროში ჩავედი და გადაიკეტა იქაურობა, ხალხს აღარ ატარებდნენ. ძალიან მსიამოვნებს ასეთი სითბო და სიყვარული, თუმცა ისიც კარგად ვიცი, რომ ყველას მოსაწონი ვერ ვიქნები. შეიძლება ჩემი სიმღერა არ მოეწონოთ, მაგრამ თხოვნა მაქვს — პიროვნულად ნუ გამლანძღავენ! არაფერი დამიშავებია. ვისი ნეგატიური კომენტარებიც წავიკითხე, ისინი არ მიცნობენ, რადგან რომ მიცნობდნენ, მიხვდებიან, რომ სალანძღავი ამ ცხოვრებაში არაფერი გამიკეთებია. ამიტომ, მარტო იმის გამო ლანძღვა და შეურაცხყოფის მოყენება, რომ ქართული სიმღერა ვიმღერე, ძალიან საწყენია და მის არაქართველობაზე უსვამს ხაზს. შეიძლება ეს ფრაზა ბევრს არ მოეწონოს, მაგრამ სიმართლეა. ერთ ადამიანს ეწერა, სანამ საქართველოში, ხალხო, მრავალჟამიერი და სიტყვა საქართველო არ მოიშლება, მანამდე ჩვენ არაფერი გვეშველებაო. ეს მის არაპატრიოტიზმზე მეტყველებს. ალბათ, არაქართველი იყო, მაგრამ მგონია, რომ საქართველოში მცხოვრები ბევრი არაქართველიც კი არ იტყვის მაგას. როგორ შეიძლება საქართველოში მრავალჟამიერი მოიშალოს? და არც არასოდეს მოიშლება! ქართველი ხარ და ეს ფრაზები და ეს მუსიკა როგორ უნდა მოშალო?! ამ ყველაფერს ნორმალურად ვერ აღვიქვამ.

*— თქვენი წარმატება განსაკუთრებულად დედას გაუხარდა?*

— რა თქმა უნდა. მინდოდა დედისთვის ამაგი გადამეხადა, თუმცა დედის ამაგს ვერავინ გადაიხდის. პირველ ტურშიც ეტყობოდა, როგორი ბედნიერი და ამაყი იყო. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ დედაჩემი ბედნიერი იყოს. მამაჩემი გარდაიცვალა, ისიც კარგი მუსიკოსი იყო, უკრავდა, მღეროდა, ამიტომ სხვანაირად არ შეიძლებოდა — უნდა მემღერა. დედაც ამბობს, რომ დაიბადე, ვერც კი წარმომედგინა, რომ არ გემღერაო. წლინახევრის ასაკში რაღაც ნივთებზე ვუკრავდი და მელოდიის აწყობას ვცდილობდი. წლის და სამი თვიდან დამიწყია სიმღერა და 4 წლიდან უკვე პროფესიულ სცენაზე აქტიურად დავდექი და კონცერტებში ვიღებდი მონაწილეობას. მერე იყო კონკურსები და დღემდე ასე მოვდივარ. დედაც მუსიკოსია, მამაც მუსიკოსი იყო და მართლა სირცხვილი იქნებოდა, რომ არ მემღერა. მეც ვფიქრობ, ჩემმა შვილმა რომ არ იმღეროს, გავგიჟდები. მივესალმები იმას, რომ სხვა პროფესია აირჩიოს, მაგრამ უნდა იმღეროს. სმენა უნდა ჰ ქონდეს, ყრუ არ უნდა იყოს და მეგობრების წრეში მაინც უნდა მღეროდეს.

*— 24 წლის ხართ, ოჯახის შექმნაზე არ ფიქრობთ?*

— ჩემს ცხოვრებაში არის ადამიანი, რომელთანაც თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. არავინ იფიქროს, რომ კარიერისტი ვარ, მაგრამ ისეთი რთული ცხოვრება გამოვიარე, არ მინდა ჩემს შვილებსაც იგივე პრობლემები და დაბრკოლებები შეხვდეთ. მინდა ცოტა მოვძლიერდე ფინანსურად და შემდეგ ვიფიქრო ოჯახის შექმნაზე, რომ ჩემს შვილებს არაფერი გაუჭირდეთ. რა თქმა უნდა, ჩემს მეუღლესაც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობები. არასოდეს მიოცნებია მდიდარ ბიჭზე, მთავარია იყოს ნორმალური ადამიანი, რომელთანაც სასიამოვნო იქნება ურთიერთობა. არ მინდა ვიყო დამოკიდებული ჩემს მეუღლეზე, შეიძლება ეს ბევრმა ცუდად გაიგოს, მაგრამ მინდა ჩემი საქმე მქონდეს. წინასწარ ვერ გეტყვით რა იქნება. ამ ეტაპზე ორმხრივია ჩვენი გრძნობები, მაგრამ როგორ განვითარდება და რა მოხდება მომავალში, არ ვიცი. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება და ერთად შევქმნით ლამაზ ოჯახს.

*— თქვენი რჩეულიც მღერის?*

— სპორტს მისდევდა, მაგრამ სმენა აქვს, ვფიქრობ, ავამღერებ. ამიტომ ვიტოვებ იმედს, რომ ჩემი შვილი ყრუ არ იქნება.

*— თეატრალურის დასრულების შემდეგ ამ კუთხით გიმუშავიათ?*

— მქონდა რაღაც სპექტაკლები, რომლებშიც მივიღე მონაწილეობა. ბავშვობაშიც აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას სპექტაკლებში, არის ფილმები, სადაც გადაღებული ვარ. ძალიან მინდა ფილმებშიც ვითამაშო.

*— როგორ ფილმში გინდათ ითამაშოთ?*

— მე თვითონ მიყვარს მძაფრსიუჟეტიანი ფილმები, თავგადასავლებიც მიყვარს, აქტიურად ვარ ხოლმე ჩაბმული. რისკიანი ვარ, კომედიურშიც ვითამაშებდი სიამოვნებით. გარდასახვის უნარიც მაქვს. ამ ეტაპზე რა როლიც არ უნდა შემომთავაზონ, ყველაფრით ბედნიერი ვიქნები.

*— საქართველოში სხვა კონკურსებზეც გამოჩნდით?*

— საქართველოს სახელს კიდევ გავიტან საზღვრებს გარეთ, საქართველოშიც მივიღებ სხვადასხვა კონკურსებსა და პროექტებში მონაწილეობას. მინდა, მარტო მე კი არა, ის სხვა ადამიანებიც არ დაიბლოკონ, ვისაც ფიზიკური ნაკლი აქვს. მინდა მათთვის სტიმული ვიყო. იგივე ვანო ფიფია, რომელიც არაჩვეულებრივად მღერის და ძალიან ვგულშემატკივრობ. ის ფინალს ნამდვილად იმსახურებს.

*— ნიჭიერში ფავორიტები გყავთ?*

— ბევრი მომწონს, ბევრი მართლა ნიჭიერია. ნინო ლეჟავა და ნადი ზახარიანი ჩემი ფავორიტები იყვნენ, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ გადავიდნენ ფინალში. ნინო ლეჟავამ ისე იცეკვა, ვინატრე, ბიჭი რატომ არ ვარ, მისი თაყვანისმცემელი გავხდებოდი-მეთქი. ასევე ძალიან მომწონს ანსამბლი „ალილო", დაკი, ლუკა ყარმაზანაშვილსაც ვგულშემატკივრობდი. ნია კვარაცხელიაც ჩემი ფავორიტია. აკროსტაილიც ძალიან მომწონს და მიხარია, რომ ფინალშია. თათია დონაძეც მომწონდა. სამწუხაროდ, ჩემს ფავორიტებს არ უმართლებთ.

*— ესემესებით კონკურსის მოგება რამდენად სამართლიანია?*

— რომ დავუკვირდეთ, არასწორია, რადგან შეიძლება არასწორი გადაყვანა მოხდეს და დარჩეს და დარჩნენ კიდეც ის ადამიანები, რომლებიც აუცილებლად უნდა გადასულიყვნენ ფინალში. მაგრამ როცა ნიჭიერს ჰქვია სახალხო პროექტი, მას კი უყურებს მთელი საქართველო, მაშინ ხალხმა უნდა გააკეთოს არჩევანი. ასე რომ, ამ პროექტს თავისი პლუსებიც აქვს და მინუსებიც. ყველას ვუსურვებ დიდ წარმატებას.

*— ვინ მიგაჩნიათ კონკურენტად?*

— მართალია ეს კონკურსია, მაგრამ ჩვენ ერთმანეთის კონკურენტები არ ვართ. ეს ყველაფერი პროექტის ხელმძღვანელების დამსახურებაა, ჩვენ მეგობრები ვართ და დაძაბული ურთიერთობა არ გვაქვს ერთმანეთთან. ეს კონკურსი დამთავრდება, ვიღაცა გაიმარჯვებს, ეს ურთიერთობები კი დარჩება სიცოცხლის ბოლომდე, რაც ყოველგვარი კონკურსების და ესემესების გარეშე უმთავრესია. არ ვამბობ, რომ მე გავიმარჯვებ, ხალხმა უნდა აირჩიოს, ვინ იმსახურებს მოგებას. ამდენ ადამიანში რომ გამომარჩიეს და შემდეგ საუკეთესო ათეულში შევედი, მე უკვე გამარჯვებული ვარ.

# დასტინ ჰოფმანი გინესის რეკორდსმენია

ორგზის „ოსკარის“ პრემიის ლაურეატი, ექვსგზის „ოქროს გლობუსის“ პრემიის მფლობელი, შეყვანილია გინესის რეკორდების წიგნში — ეს ტიტულები ამერიკელ მსახიობს, რეჟისორს, სცენარისტსა და პროდიუსერ დასტინ ჰოფმანს ეკუთვნის.

### ბავშვობა

დასტინ ჰოფმანი კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს-ანჯელესში 1937 წლის 8 აგვისტოს დაიბადა ღარიბ ებრაელთა ოჯახში. დაზუსტებით არავინ იცის, საიდან არის მისი ოჯახი ემიგრირებული — რუსეთიდან თუ რუმინეთიდან. დასტინიც ცნობილი კომიკოსის, დასტინ ფარნუმის პატივსაცემად დაარქვეს, რომლის ფანიც დედამისი გახლდათ.

დასტინი სკოლაში ისე საშინლად სწავლობდა, რომ ბოლო კლასი არც კი დაუმთავრებია. მომავალი მსახიობი დიდი სიმაღლით არ გამოირჩეოდა და ამის გამო თანაკლასელები მუდმივად დასცინოდნენ. სკოლიდან წასვლის შემდეგ მუშაობაზე უარი განაცხადა და, მშობლების სურვილის საწინააღმდეგოდ, თეატრალურ სტუდიაში მოეწყო, სადაც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ არჩევანში არ შემცდარა. მისი მცდელობის მიუხედავად, 1958 წელს რამდენჯერმე სცადა, ნიუ იორკის სამსახიობო კურსები გაევლო, მაგრამ ფიზიკური მონაცემების გამო მუდმივად იწუნებდნენ.

10 წლის განმავლობაში ცდილობდა ჰოფმანი თეატრის კარის შეღებას, მაგრამ ის ყოველთვის დაკეტილი იყო. უფულო ჰოფმანს სხვა გზა არ ჰქონდა და ფსიქიატრიულ კლინიკაში სანიტრად მუშაობდა, ღამეს მეგობრებთან ათევდა სამზარეულოში, ასახიერებდა სათამაშოებს უნივერმაღებში. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მისთვის ბედნიერი დღე გათენდა — მომავალი მსახიობი ცნობილმა პედაგოგმა ლი სტრასბერგმა შეამჩნია და თავისთან მიიწვია. შემდეგ დასტინი უკვე „პასადენა პლეიჰაუსის“ სტუდიაში აგრძელებს სწავლას და პარალელურად კონსერვატორიაში შესვლისთვის ემზადება.

### პირველი როლები

1961 წელს დასტინმა თავისი პირველი როლი ითამაშა დაბალბიუჯეტიან ფილმში „მცველები“, რასაც მოჰყვა „მეხუთე ცხენის მოგზაურობა“ და „ვარსკვლავური ფურგონი“. ყველა მათგანში მისი როლები ეპიზოდური იყო და მისთვის არც სახელი მოუტანია. ჰოფმანს მაშინ გაუმართლა, როდესაც იმ პერიოდის მოდურმა რეჟისორმა მაიკ ნიკოლსმა მისი ერთ-ერთი სპექტაკლი ნახა და 1967 წელს მთავარ როლზე მიიწვია ფილმში „კურსდამთავრებულები“. ფილმმა მართლაც გრანდიოზულ წარმატებას მიაღწია, ჰოფმანმა კი — კრიტიკოსებისა და მაყურებლის სიმპათიას და გაცილებით მომგებიან კონტრაქტებს. 1969 წელს დასტინი ფილმ „შუაღამის კოვბოიში“ მიიწვიეს და როლიც მისი ფიზიკური მონაცემის ხარჯზე მისცეს — ტუბერკულოზით დაავადებული კოჭლი თაღლითი.

შემდეგი იყო „პატარა დიდი ადამიანი“, სადაც, პატარა ბავშვიდან მოყოლებული, ითამაშა მსროლელის, ოჯახის უფროსის, ლოთის, თაღლითის, ჯაშუშისა და ღრმა მოხუცის როლები. სწორედ ამ ფილმში თამაშისთვის შეიყვანეს 1970 წელს გინესის რეკორდების წიგნში.

რამდენიმე დიდებული კინოროლი და წარმატება თანდათან ახლოვდებოდა. საინტერესო ის იყო, რომ დასტინის როლები მრავალმხრივი იყო და გასხვავებული ჟანრის როლებს დიდი სიმსუბუქით თამაშობდა. ჰოფმანი უკვე ცნობილი მსახიობი გახდა და კინოკრიტიკოსები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათ წინ ჰოლივუდის ახალი ვარსკვლავი იდგა, მაგრამ ახალი ტიპის, აბსოლუტურად განსხვავებული ტიპური კინოგმირებისგან, რომლებიც უფრო დიდი სიმაღლითა და მამაკაცური ყბებით გამოირჩეოდნენ.

### დიდების მწვერვალზე

1979 წელს დასტინმა დიდებულად ითამაშა მელოდრამაში „კრამერი კრამერის წინააღმდეგ“, რომელშიც პარტნიორობას მერილ სტრიპი უწევდა. ორივე მსახიობის სულისშემძვრელმა თამაშმა მათ „ოსკარის“ პრემია მოუტანა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დასტინ ჰოფმანს 1982 წელს „ოქროს გლობუსის“ პრემია მიღებული აქვს ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის და ეს მოახერხა კომედიურ ფილმში „ტუტსი“, სადაც თითქმის მთელი ფილმის მანძილზე ქალის როლს თამაშობს.

80-იან წლებში ჰოფმანი კინოში იშვიათად ჩნდებოდა და „ტუტსის“ შემდეგ სულ 4 ფილმში მიიღო მონაწილეობა. აქედან ყველაზე განსაკუთრებული „წვიმის კაცია“, სადაც ტომ კრუზთან ერთად ითამაშა და თავისი მეორე „ოსკარიც“ მოიპოვა.

### 90-იანი წლები

ამ ათწლეულის დასაწყისში ჰოფმანი ვირტუოზულად იცვლიდა ეკრანულ როლებს, ფილმში „დიკ ტრეისი“ ითამაშა განგსტერის როლი, „ბილი ბატგეიტში“ — მაფიოზის, ფილმში „კრიუკი“ — ბოროტი კაპიტან კრიუკის, ფილმში „გმირი“ კი — თაღლითის.

განსაკუთრებით დიდებული იყო ფილმ-კატასტროფაში „ეპიდემია“. ვოლფგან პეტერსონის ფილმში დასტინის გმირმა, სწავლულმა სემ დენიელსმა, აფრიკაში აღმოაჩინა სასიკვდილო ვირუსი. საშიშროება მთელ პლანეტას ემუქრება და გენერალ ბილი ფორდს გაურბის, რომელსაც ამ ვირუსის გამოყენება თავისი ბნელი მიზნებისთვის უნდა. ასევე კარგად ითამაშა ჰოფმანმა ფილმში „ძაღლის კუდის ქიცინი“. ფილმი პოლიტიკურ მოტივებზეა შექმნილი.



### 2000-იანი წლები

იმის მიუხედავად, რომ ჰოფმანს თმაში ჭაღარა გამოერია, მაინც შესანიშნავ ფორმაში დარჩა, გამუდმებით ხუმრობდა და თავისი წყნარი ხმით ყოველთვის იპყრობდა როგორც ირგვლივ მყოფთა, ასევე მაყურებლის ყურადღებას. ფილმების უმეტესობა, რომლებშიც მან ითამაშა, აღიარებულია ამერიკულ საუკეთესო ფილმებს შორის. ერთ-ერთი მათგანია 2003 წელს გადაღებული ფილმი „ვერდიქტი ფულისთვის“.

2004 წელს დასტინ ჰოფმანმა მონაწილეობა მიიღო ფილმში „გულის გამტეხები“ და სურათში „ფაკერების გაცნობა“, სადაც თანამშრომლობა მოუწია რობერტ დე ნიროსთან, ბენ სტილერთან და ბარბარა სტრეიზანდთან.

2006 წელს ითამაშა ჯუზეპე ბალდინის როლი ფილმში „ერთი მკვლელის ისტორია“, რომელიც პატრიკ ზიუსკინდის ცნობილი რომანის მიხედვით იქნა გადაღებული. ამას მოჰყვა „საოცრებათა დახლი“ და, როგორც ამერიკაში ხუმრობდნენ, ძლივს გამოიძებნა როლი, რომელიც მისი ცხვირის შესაფერი იქნებოდა.

ჰოფმანი მხოლოდ მსახიობობას არ დასჯერდა და შექმნა საკუთარი პროდიუსერული კომპანია, რის შემდეგაც ხელი რეჟისორობასაც მოჰკიდა და გადაიღო ტრილერი „პირადი ზარალი“, რომელშიც მთავარი როლი თავადვე შეასრულა. ერთია, ამ ფილმს მისთვის არანაირი პირადი ზარალი არ მოუტანია.

### პირადი ცხოვრება

მიუხედავად სიდაბლისა, დასტინი დიდი პოპულარობით სარგებლობდა სუსტი სქესის წარმომადგენლებში, თუმცა თავად მხოლოდ მათი ერთგული რჩებოდა, ვისაც ცოლად მოიყვანდა. ასეთი კი მხოლოდ 2 ადამიანი იყო.

ჰოფმანი პირველად მსახიობ და ბალერინა ენ ბიორნზე დაქორწინდა, რომელთანაც 10 წელი იცხოვრა. ენს მანამდე ჰყავდა გოგონა, რომელიც შემდეგ დასტინმა იშვილა, ხოლო ერთად ცხოვრების შემდეგ კიდევ ერთი გოგონა შეეძინათ.

მათი განქორწინებიდან ერთ წელიწადში დასტინი უკვე ადვოკატ ლაიზა გოტსეგენზე დაქორწინდა და 18 წლის მანძილზე 4 შვილის მშობლები გახდნენ. დასტინი ასევე 2 შვილიშვილის ბაბუაა.

### საინტერესო ფაქტები

ჰოფმანი ძალიან კრიტიკულად უყურებდა თავის ფილმებს და ითვლიდა დროს, თუ რამდენი დაუთმეს მას და რამდენი — მის კოლეგებს.

როგორც ამბობენ, ჰოფმანს მუდმივად ჰქონდა კონფლიქტი სხვა მსახიობებთან. 30 წლის შემდეგ მერილ სტრიპი გამოტყდა, რომ ჭირვეულ დასტინთან მუშაობა ძალიან რთული იყო.

# ბიონსე — ყველაზე პოპულარული ფუტკარი ამერიკაში



ამერიკელი მომღერალი და მსახიობი, „მტვ ვიდეო მუზიც ევარდსის“ მრავალგზის ლაურეატი ბიონსე მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

### ბავშვობა

ბიონს ჟიზელ ნოულსი ქვეყანას 1981 წლის 4 სექტემბერს მოევლინა ტეხასის შტატ ჰიუსტონში. ტინა ნოულსისა და მეთიუ ნოულს ბიონსეს ოჯახში მის გარდა კიდევ ერთი გოგონა იზრდებოდა — უმცროსი და სოლანჟი. ბავშვები ძალიან ჩაკეტილად იზრდებოდნენ. ჯერ კიდევ სკოლაში წასვლისას აზრზეც არ იყვნენ, რომ დედას ტანსაცმლის სამკერვალო ბიზნესი ჰქონდა. ერთია, ბიონსეს ძალიან უყვარდა დედის ქსოვილებში გამოპრანჭვა და ყველას ყურადღების მიპყრობა.

საკმაოდ მოქნილი ბიონსე ყველასთვის მოულოდნელად 7 წლის ასაკში ცეკვებით დაინტერესდა. მისმა ქორეოგრაფმა, მის დარლეტმა გოგონა დაარწმუნა, რომ დიდებული მონაცემები აქვს. გოგონაც პარალელურად სიმღერას ეუფლება და მალე სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობს. ერთ-ერთ ასეთ კონკურსზე მან ჯონ ლენონის სიმღერა შეასრულა და მისივე მშობლები გაოცებული დატოვა — ისინი თავად არ მოელოდნენ მისგან ასეთ დინჯ და თამამ დგომას სცენაზე.

მშობლების ასეთი რეაქციის შემდეგ ბიონსეს თავდაჯერება მოემატა, მუშაობაც უფრო აქტიურად გააგრძელა და პოპულარობა ჯერ კიდევ ბავშვობაში მოიპოვა. ამაში გასაკვირიც არაფერი იყო — მან 30-ზე მეტი კონკურსის მოგება მოახერხა.

### მუსიკალური კარიერა

ბავშვობაში ასეთი გრანდიოზული მიღწევის შემდეგ ბიონსემ გადაწყვიტა, გოგონათა ჯგუფი ჩამოეყალიბებინა. მისი აზრით, წარმატების მისაღწევად ასე უფრო მეტი შანსი იყო. 8-დან 11 წლამდე გოგონები მასთან მიდიოდნენ სახლში და ბიონსე თავად არჩევდა პარტნიორებს. ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდა მათივე ნათესავი კელი როულანდი, რომელმაც ერთი ამოსუნთქვით შეასრულა უიტნი ჰიუსტონის საყოველთაოდ ცნობილი რთულად სამღერი „აი ემ უი ბეიბი თუნაით“. კელიმ 8 წლის ბიონსე და მამამისი მოხიბლა, გოგონები იმ წამსვე დამეგობრდნენ და მას მერე, როგორც დები, ისე გახდნენ. კელის გარდა, ჯგუფში კიდევ 4 გოგონა აიყვანეს, ხოლო მენეჯერობას ბიონსეს მამა სწევდა.

ნოულსების ოჯახში ყოველდღე რეპეტიციები მიმდინარეობდა. გოგონები სწავლობდნენ ცეკვასა და სიმღერას, თავისუფალ დროს კი ერთ-ერთ სილამაზის სალონში თავიანთ შემოქმედებას აჩვენებდნენ.

მალე ჯგუფმა კონკურსებზეც დაიწყო გამოსვლა და ტეხასის შტატში საკმაოდ პოპულარულიც გახდა. ჯგუფმა ასევე მონაწილეობა მიიღო პოპულარულ შოუში „ეძიე ვარსკვლავი“. გოგონებმა ამ კონკურსისთვის ჰიპ-ჰოპის ნომერი მოამზადეს და, როგორც შემდგომ ბიონსემ განაცხადა, მსგავს შეცდომას ცხოვრებაში აღარ დაუშვებს. ჰიპ-ჰოპის კატეგორია შოუში არ იყო და მათ 30 წლის მამაკაცებისგან შემდგარ ქანთრის ჯგუფთან მოუწიათ ჭიდილი — გოგონები დამარცხდნენ.

ეს წაგება დიდი დარტყმა გამოდგა. მეთიუ ნოილმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მათი რიცხვი შეემცირებინა და ჯგუფი „გოგონათა დრო“ 4 მონაწილემდე დავიდა. ბიონსესა და კელის გარდა, ჯგუფში დარჩნენ ტონია ლაკეტი და ტავია რობერსონი.

1995 წელს მათ გაუმართლათ — კომპანია „ელექტრა რეკორდსის“ წარმომადგენლებმა მათში ტალანტი დაინახეს და კონტრაქტიც გაუფორმეს. ერთადერთი, რაც კომპანიას არ მოეწონა, მათი ჯგუფის სახელი იყო და მოითხოვეს მისი შეცვლა. ახალი ჯგუფის სახელი კი ბიონსეს დედამ მოიფიქრა, რომელიც ბიბლიის კითხვის დროს მოუვიდა აზრად — „დისტინ ჩილდ“, რაც ფორტუნას შვილებს ნიშნავს.

როგორც ბიონსე აღნიშნავდა, სახელის შეცვლა მათი ჯგუფის მეორედ დაბადებად იქცა. გოგონებმა უფრო აქტიურად გააგრძელეს მუშაობა. მალე მათთან მუშაობის სურვილი გამოთქვა სიმღერების ავტორმა და პროდიუსერმა დუეინ ვიგინსმა, რომელიც კომპანია „კოლუმბია რეკორდსს“ წარმოადგენდა.

სწორედ მისი ხელშეწყობით დაიწყო ჯგუფმა თავის პირველ ალბომზე ფიქრი. ვიგინსმავე მოაწყო გოგონების გამოსვლა თავისი კომპანიის ბოსების წინაშე და ჯგუფმაც ახალი კონტრაქტი ჩაიდო ჯიბეში. კონტრაქტის გაფორმებაზე ასევე ძალიან იმოქმედა 15 წლის ბიონსეს ეგზოტიკურმა სილამაზემაც, რომელიც ვარსკვლავს დედისგან დაჰყვა. 1998 წელს, რამდენიმეთვიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ „დისტინ ჩილდმა“ ამავე სახელწოდების ალბომი გამოუშვა, რომლის მთავარი სინგლი იყო „ნოუ, ნოუ, ნოუ“. თავდაპირველად ეს სიმღერა ბალადის სტილში იყო დაგეგმილი და ასეც სრულდებოდა, მაგრამ შემდეგ პროდიუსერებმა უაიკლიფ ჟანი მიიწვიეს და გაარემიქსეს. სწორედ მისმა ახალმა ვერსიამ მიიღო ამერიკულ ჩარტებში პლატინის სტატუსი. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჯგუფის პირველი ალბომის 33 მილიონი ასლი გაიყიდა. მალევე ჯგუფმა ტურნეც მოაწყო, სადაც მათთან ერთად „ბოიზ თუ მენიც“ მონაწილეობდა.

1999 წელს ჯგუფმა თავისი მეორე ალბომი გამოსცა, რომელსაც დებიუტი ამერიკულ ჩარტებში მე-6 ადგილით ჰქონდა, ხოლო მთავარი სინგლი „ბილს, ბილს, ბილს“ 9 კვირის განმავლობაში ლიდერობდა „ბილბორდის“ ჩარტს. იმავე წელს ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო კონცერტში, საიდანაც შემოსული თანხა შიდსით დაავადებულთა მკურნალობის ფონდში გადაირიცხა. გოგონების პოპულარობა თანდათან იზრდებოდა და „გრემის“ 2 ნომინაციაზეც იყვნენ წარდგენილი.

2000 წელს ჯგუფი რობერსონმა და ლაკეტმა დატოვეს. მათი წასვლის მოტივი მეთიუ ნოულსთან ფინანსურად აზრთა სხვადასხვაობა იყო. წასული გოგონების თქმით, ნოულსი მის გოგონას გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდა და ფინანსურად სხვებს აზარალებდა, ხოლო ბიონსემ აღნიშნა, რომ რობერსონი და ლაკეტი სცენაზე უფრო სამსახურებრივი მოვალეობის გამო იდგნენ და მათი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ ფული გამოემუშავებინათ. მათში არ იგრძნობოდა შემოქმედებითი ამბიცია.

იმავე წელს ჯგუფმა გამოუშვა სინგლი „სეი მაი ნეიმ“, რომელმაც ნამდვილი ფურორი მოახდინა. თუ გოგონები პოპულარულები აქამდე მხოლოდ ამერიკაში იყვნენ, ახლა უკვე მთელ მსოფლიოში უმაღლეს დონეზე გავიდნენ. ამავდროულად, ბიონსემ აიღო ჯგუფის ლიდერობა და სიმღერების წერას აქტიურად შეუდგა.

იმავე წლის დეკემბერში გამოვიდა ჯგუფის კიდევ ერთი სინგლი „ინდეპენდტ ვუმენ“, რომელიც გოგონებმა ფილმ „ჩარლის ანგელოზებისთვის“ ჩაწერეს. კომპოზიცია 11 კვირის მანძილზე ლიდერობდა ამერიკულ ჩარტებში.

2001 წელს ჯგუფმა მიიღო „გრემის“ 2 პრემია სინგლისთვის „სეი მაი ნეიმ“, ხოლო იმავე წლის გაზაფხულზე გამოუშვა ახალი ალბომი „სარვივორი“ და ამერიკულ ჰიტ-პარადებში უმალ სათავეში მოექცა. მოგვიანებით კი ეს ალბომი გახდა ყველაზე გაყიდვადი „კოლუმბია რეკორდსის“ კომპანიისთვის. ამ დროისთვის წასული 2 გოგონას ნაცვლად ჯგუფში ახალი წევრი, მიშელ უილიამსი გამოჩნდა, მაგრამ მოულოდნელად ყველა მათგანმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჯგუფს დროებით შეეწყვიტა ფუნქციონირება და სოლო პროექტებით დაკავებულიყვნენ. პირველი სოლოკონცერტი უილიამსმა გააკეთა, შემდეგ კელი როლანდის ჯერი დადგა. აღსანიშნავია, რომ კელის ალბომში რამდენიმე სიმღერის ავტორი და პროდიუსერი ბიონსეს უმცროსი და, სოლანჟ ნოულსია.

### კინოკარიერა

და მაინც, ყველაზე დიდი წარმატება, სპეციალისტების აზრით, ბიონსეს წინ ელოდა. ჯერ იყო და მან ბედი კინოში სცადა და რამდენიმე საკმაოდ ცნობილ ტელესერიალში მიიღო მონაწილეობა, ხოლო 2002 წელს ეკრანებზე გამოვიდა მესამე ფილმი ოსტინ პაუერსზე „გოლდმემბერი“, რომელშიც ბიონსემ ერთ-ერთი მთავარი გმირი განასახიერა და ოსტინის მეგობრის, ფოქსი კლეოპატრას როლი შეასრულა. კრიტიკოსების აზრით, მომღერლის დებიუტი ახალ ამპლუაში წარმატებული გამოდგა. მონაწილეობასთან ერთად, ბიონსემ ფილმისთვის 2 საუნდტრეკი დაწერა.

2003 წლის ბოლოს გამოვიდა კიდევ ერთი ფილმი ბიონსეს მონაწილეობით — „ცდუნებებთან ბრძოლა“, რომელიც კომედიური მელოდრამის ჟანრს განეკუთვნება და ბიონსემაც კიდევ ერთხელ ათქმევინა კრიტიკოსებს დადებითი სიტყვები.

კიდევ ერთი ფილმი, რომელშიც ბიონსემ წარმატებით ითამაშა, დეტექტიურ-კომედიურ ჟანრს განეკუთვნება. ეს გახლავთ საკმაოდ პოპულარული „ვარდისფერი პანტერა“(2006). თითქმის იმავდროულად ეკრანებზე გამოჩნდა მუსიკალური დრამა „ოცნების გოგონები“. აქ ბიონსემ არა მარტო თავისი ვოკალური შესაძლებლობები წარმოაჩინა, არამედ — დრამის სიღრმეც.

ასევე დიდებულად ითამაშა ბიონსემ ფილმში „კადილაკ რეკორდსი“, რომელიც ეკრანებზე 2008 წელს გამოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ყოველ როლში ბიონსე ცდილობს, თავისი კინოგმირი იპოვოს, გაერკვეს, რომელ ამპლუაში იგრძნობს თავს უკეთესად. შესანიშნავად იქნა მისთვის შერჩეული როლი მელოდრამატულ ტრილერში „შეპყრობილი“, რომელიც 2009 წელს გამოვიდა ეკრანებზე. ფილმიც და მსახიობიც კრიტიკოსებმაც და მაყურებელმაც აღფრთოვანებით მიიღეს.

პირადი ცხოვრება

რაც შეეხება ბიონსეს პირად ცხოვრებას, აქ თითქმის ყველაფერი დამალულია. როდის დაიწყო მისი რომანი მუსიკოს ჯეი ზეტთან, უცნობია, მაგრამ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისინი რამდენიმე წელია ერთმანეთს ხვდებიან. მათ პირველი სიმღერა ერთად 2002 წელს ჩაწერეს.

წყვილი საკმაოდ პოპულარულია მსოფლიო შოუბიზნესში, მაგრამ პირად ცხოვრებაზე იშვიათად ლაპარაკობენ და თავიანთ ურთიერთობას არ ეხებიან.

### საინტერესო ფაქტები

2003 წელს გამოშვებულმა სოლოალბომმა ბიონსეს 5 „გრემის“ პრემია მოუტანა, რაც იმ დროისთვის სადებიუტო ალბომის რეკორდული მაჩვენებელი იყო.

სანამ საკმაოდ პოპულარული გახდებოდა, ბიონსე „პეპსიმ“ და „ლორეალმა“ შეამჩნიეს და თავიანთ სარეკლამო რგოლებში მიიწვიეს.

ბიონსეს უყვარს მოგზაურობა, განსაკუთრებით ოკეანეში და ძალიან უყვარს ჭამა.მეგობრებს შორის ბიონსეს თავისი მეტსახელი აქვს — ფუტკარი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ქართული კალათბურთის ორი ერთგული ჯარისკაცი

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებში, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა, მხოლოდ 2 კალათბურთელი თამაშობდა ეროვნული ჩემპიონატიდან — კოტე ტუღუში და ანატოლი ბოისა.

ისინი მეგობრები არიან და შინაურ პირველობაზეც ერთ გუნდში, „არმიაში“ თამაშობენ. მათთან ინტერვიუ სუპერლიგის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

— ***ზოგადად რას იტყვით ქართულ კალათბურთზე, მომავალ თაობაზე რას ფიქრობთ და თუ ადევნებთ თვალყურს ასაკობრივ ჩემპიონატებს?***

**კოტე:** — დიახ და ძალიან მწყდება გული, რომ ასაკობრივ ლიგებში არის დარბაზებისა და მწვრთნელების პრობლემა, რომელთაც აკლიათ პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია. რაც შეეხება თვითონ ბავშვების პრობლემებს, მე ზუსტად არ ვიცი, რა აწუხებს ახალგაზრდა თაობას, მაგრამ ვიტყოდი, რომ დღეს ყველაფერი მოგვარებადი და გამოსწორებადია. წლევანდელი სუპერლიგა მართლაც რომ განსაკუთრებული და გამორჩეულია. არ ყოფილა ასეთი ჩემპიონატი და არ ყოფილა ამდენი ლეგიონერი უმაღლეს ლიგაში. სასურველია, რომ თამაშებზე უფრო მეტი ახალგაზრდა მოთამაშე მოვიდეს. მათ აქ ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ.

**ანატოლი:** — კი, ვადევნებ. ჩვენსა და ახალ თაობას ვერ შევადარებ იმ მხრივ, რომ ჩვენ დროს არ იყო ასეთი ტექნიკა, არ იყო კომპიუტერი და სამწუხარო ფაქტია, რომ დღეს ახალგაზრდა თაობა უფრო მეტ დროს კომპიუტერთან ატარებს, ვიდრე ვარჯიშზე.

— ***ნაკრების თემას უნდა შევეხოთ. ჩვენი ჯგუფით ყველა კმაყოფილია. თქვენ რა აზრის ხართ?***

**კოტე:** — ვერ ვიტყვი, რომ იოლ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ, სხვებთან შედარებით, ყველაზე სასურველი ვარიანტია. მოწინააღმდეგეები ჩვენთვის ცნობილნი არიან და ახლა სათანადოდ უნდა მოვემზადოთ. სანამ შევიტყობდით ჩვენი მეტოქეების ვინაობას, იქამდეც მაქსიმალურად მობილიზებულნი და ორიენტირებულნი ვიყავით მოგებაზე. ახლა კი უკვე ვიცით ჩვენი მოწინააღმდეგეები, ვინაიდან გასულ ზაფხულს სამ მათგანს ვეთამაშეთ: პოლონეთს, ბელგიასა და უკრაინას. ასე რომ, გამოცდილება გვაქვს და ახლა ჩვენ ვიცით.

**ანატოლი:** — ევროპის ჩემპიონატზე იოლი ჯგუფი არ არსებობს. მართალია, სხვებთან შედარებით, ყველაზე კარგი ვარიანტია, მაგრამ პრინციპული ჯგუფია. სლოვენია ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, რომელიც ტოლს არ უდებს არავის და დაკომპლექტებულია ნბა-სა და ევროპის საუკეთესო კალათბურთელებით. რუსეთი ჩვენი პირველი და ყველაზე პრინციპული მეტოქეა. არ უნდა ჰქონდეს ამ შეხვედრას პოლიტიკური დატვირთვა, მაგრამ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ასეა. ბელგიასთან ჩვენ ორჯერ ვიწვნიეთ მარცხი. ახლა მათ სულ სხვანაირი კალათბურთი უნდა შევთავაზოთ და რევანში ავიღოთ. შარშან ბელგიელებმა ძალიან გუნდურად ითამაშეს და სწორედ ამ ერთიანობისა და გამოცდილების ხარჯზე მოგვიგეს. პირველიდან ბოლო წუთამდე ბელგიამ უნაკლოდ ითამაშა. ბულგარეთს 2-ჯერ მოვუგეთ, გვაქვს მათთან თამაშის გამოცდილება, მაგრამ ეს შესაძლოა ზედმეტი სტიმული იყოს მათთვის და ფიქრობდნენ ჩვენთვის იმის დამტკიცებას, რომ არ არიან ჩვენზე სუსტები. უკრაინას რაც შეეხება, ვფიქრობ, წელს სულ სხვა უკრაინასთან მოგვიწევს თამაში. მათ შეეცვალათ მწვრთნელი, რომელიც ნბაში მუშაობს, ძალიან გამოცდილია, მოთამაშეებს სულ სხვაგვარად გამოიყენებს და გუნდში ბევრ რამესაც შეცვლის. ეს ის უკრაინა ნამდვილად არ იქნება, ჩვენ რომ თბილისში დავამარცხეთ.

— ***რას ფიქრობთ რუსეთის ნაკრებთან მატჩზე, ფსიქოლოგიურად რამდენად რთული იქნება ეს თქვენთვის?***

**კოტე:** — რუსეთთან მატჩი ყოველთვის პოლიტიკაში გადადიოდა. ვფიქრობ, რომ ამ დაპირისპირებაში რუსეთს ისე უნდა შევხვდოთ, როგორც რიგით მოწინააღმდეგეს. რა თქმა უნდა, იქნება ფსიქოლოგიური მომენტიც და თამაშსაც მეტი დატვირთვა ექნება. ასეა რაგბიში და ასეა კალათბურთშიც. ერთხელ მოვუგეთ რუსეთის ნაკრებს და შევეცდებით, კიდევ ერთხელ დავამარცხოთ.

**ანატოლი:** — ყველა თამაშს ისე უნდა შევხედოთ, როგორც რიგით მეტოქეს. რუსეთთან მატჩსაც ასე უნდა მივუდგეთ. ჩვენი მიზანი არის ჯგუფიდან გასვლა, ვინც მოედანზე გავა, თავს არავინ დაზოგავს. არ უნდა ვიყოთ ორიენტირებულნი მხოლოდ ერთ კონკრეტულ მატჩზე. მთავარია, გავიდეთ ჯგუფიდან, რათა დავამტკიცოთ, რომ მეტი შესაძლებლობები გვაქვს, მეტი ძალა გაგვაჩნია და ნამდვილად ვიმსახურებდით ევროპის ჩემპიონატზე გასვლას. შემდეგ კი, იმედია, წინ და წინ წავალთ.

— ***როგორია შანსები?***

**კოტე:** — თანაბარი. მთავარია, ყველანი ვიყოთ ჯანმრთელად, კარგ ფორმაში და საქართველოს ნაკრები ნამდვილად იქნება ისეთი ძალა, რომ ჯგუფიდან გასვლასთან ერთად შესაძლოა ერთი-ორი სენსაციაც გამოვაცხოთ.

— ***რას იტყვით ნატურალიზებულ***




***ლეგიონერებზე? კარგ ფორმაში არიან გრინი, ელისი, ჰოსლი.***

**კოტე:** — აქტიურად ვადევნებ თვალყურს ლეგიონერების თამაშს, როგორც ქართველებს, ისე უცხოელებს. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ მთავარია, მათ სეზონი ტრავმის გარეშე ჩაამთავრონ. იმედია, იგორ კოკოშკოვი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, თუ ვინ ითამაშებს საქართველოს ნაკრების მაისურით.

**ანატოლი:** — ჰოსლი სტაბილურად თამაშობს, თუმცა, თავიდანვე ნაკრებს გრინი უფრო გვჭირდებოდა, ვინაიდან ჰოსლის პოზიციებზე ჩვენ ორი კალათბურთელი გვყავს და ამ მხრივ პრობლემა არ გვაქვს. გრინიც ძალიან სტაბილურია, აკეთებს საჭირო ქულებსა და პასებს. როდესაც ესპანეთის ჩემპიონატში რეგულარულად 25 წუთს ატარებ, დიდი გამოცდილებაა. რაც შეეხება ელისს, ვფიქრობ, იგი არ არის ჩვეულ ფორმაში. შესაძლოა, ეს არის გუნდის პრობლემა. ის, ალბათ, ვერ შეეწყო იმ გუნდს ისე, როგორც ჩვენ. შეკრებაზე სამივე წამოვა და, ალბათ, მწვრთნელი გადაწყვეტს, თუ ვინ ითამაშებს ნაკრებში.

— ***საქართველოს ჩემპიონატზეც ვთქვათ. ყველაზე ხმაურიანი, აქტიური და მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი გყავთ. რამდენად მნიშვნელოვანია გულშემატკივრის ფაქტორი და მაყურებლით სავსე დარბაზი ზოგადად გუნდისთვის?***

**კოტე:** — ძალიან მნიშვნელოვანი. სასიხარულოა, რომ, მატერიალურ მხარდაჭერასთან ერთად, გვერდში ხალხიც გვიდგას და აქტიურად გვქომაგობს. თსუ-სთან წაგებული მატჩის შემდეგ გულშემატკივრებმა ტაში დაგვიკრეს და გაგვამხნევეს, რაც ძალიან იშვიათია საქართველოში. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ვფიქრობ, მათ იმედებს აუცილებლად გავამართლებთ და გამარჯვებასაც მალე მოვუტანთ.

**ანატოლი:** — ძალიან დიდი სტიმულია. რომელ ქალაქშიც არ უნდა ვითამაშოთ, გასვლაზეც ისე ვგრძნობთ თავს, როგორც სახლში. ვცდილობთ, ვასიამოვნოთ ქომაგი ჩვენი კარგი თამაშით. სასურველია, რომ ისინი თამაშებს თავიანთი ოჯახებით დაესწრონ და ბავშვებს სპორტი შეუყვარდეთ. მნიშვნელობა არა აქვს, ისინი კალათბურთს ითამაშებენ, ფეხბურთს თუ რაგბის, მთავარია, სპორტული, ჯანსაღი ცხოვრებით იცხოვრონ. დიდი მადლობა ჩვენს გულშემატკივრებს და, იმედია, გავახარებთ მათ ჩვენი ჩემპიონობით.

— ***კოტე, გყავს მეუღლე, იანა და ორი შვილი. რამდენად რთულია, იყო წარმატებული, პოპულარული სპორტსმენი და, ამავდროულად — კარგი მეოჯახე, მეუღლე და მამა?***

— ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს ორივე ამპლუაში. თუ რამდენად პოპულარული და წარმატებული ვარ, ეს უკვე ხალხმა განსაზღვროს. ორივე სფეროში, ეს იქნება კალათბურთი თუ ოჯახი, მაქსიმალურად ვიხარჯები და ვცდილობ, ორივეში წარმატებული ვიყო.

— ***ანატოლი, წელიწადზე მეტია, რაც დაოჯახდი. შენი მეუღლე, თეა, ყველანაირად გიჭერს მხარს და გვერდში გიდგას. ალბათ, დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენისთვის მეუღლის თანადგომას და არა მარტო სპორტსმენისთვის, ზოგადად — მამაკაცისთვის.***

— შეიძლება ითქვას, რომ ეს ყოველივე ჩემი წარმატების საწინდარია. თეა ყველანაირად გვერდში მიდგას. მას შესანიშნავად ესმის ჩემი ცხოვრება. ყველაფერში მიგებს და ცხოვრობს ჩემს რიტმში, რაც, რა თქმა უნდა, როგორც სპორტსმენისთვის და როგორც მამაკაცისთვის უმთავრესია.

— ***თეა ამ კუთხით, შეიძლება ითქვას, სუპერაქტიურია. არმიის დიზაინით სამოსს, ალბათ, სპეციალურად იკერავს.***

— რა თქმა უნდა. ასეთი სამოსი თამაშებზე ყოველთვის აცვია, რაც ერთგვარ ოვაციებს იწვევს მაყურებლებში და ძალიან დადებით მუხტსა და განწყობას ქმნის.

— ***კოტე, შენ ერთი პერიოდი სამწვრთნელო საქმიანობით იყავი დაკავებული. ამ კუთხით ისევ თუ მუშაობ და რა სიახლეა ამ მხრივ?***

— კი, მაგრამ, სამწუხაროდ, ველარ ვახერხებ ამისთვის სათანადო დროის დათმობას. რაც „არმია“ შეიქმნა, ძალიან დატვირთული გრაფიკი მაქვს, სუპერლიგაც წელს სულ სხვაა და მოდუნების უფლება არ მაქვს. ამ საქმიანობას განვაგრძობ, თუმცა, იმდენად აქტიურად ველარ. ამ მხრივ ჩემი მეგობარი ლაშა თოიძე მუშაობს. კიევის ქუჩაზე მდებარე 30-ე საჯარო სკოლის დარბაზში 1999-2000 წელს დაბადებულ ბავშვებს ვავარჯიშებთ.

— ***ანატოლი, მამობას როდის აპირებ? შენმა მეგობრებმა ამ მხრივ დაგასწრეს. გიორგი ცინცაძე მამა გახდა და გიორგი შერმადინიც მალე შეუერთდება მას.***

— ვულოცავ გიორგის მამობას, შერმადინისთვისაც მალე მიმელოცოს. ღმერთმა ბავშვები ჯანმრთელები გაუზარდოთ. ეს ისეთი რამეა, რასაც, ალბათ, ვერ დაგეგმავ, ყველაფერი უფლის ნებაა.

— ***რა არის თქვენი საყვარელი საქმიანობა, როგორ და რითი ერთობით, რა არის თქვენი ინტერესის სფერო, კალათბურთის გარდა?***

**კოტე:** — თავისუფალ დროს მიყვარს საყვარელ ადამიანებთან ერთად დროის გატარება, იქნებიან ისინი ოჯახის წევრები თუ მეგობრები. ახლა გაზაფხულდა, ნელ-ნელა თბება და, ვფიქრობ, კარგი იქნება მეგობრებთან ერთად სუფთა ჰაერზე გასეირნება და პიკნიკის მოწყობა. ძალიან გვიყვარს ფილმები და ხშირად კინოში დავდივართ.

**ანატოლი:** — ამ ეტაპზე მხოლოდ კალათბურთით ვცხოვრობ, თავისუფალ დროს კი მეგობრები ერთად ვიკრიბებით და კინოში მივდივართ. ზაფხულობით ძალიან მიყვარს წყალთან ყოფნა და დასვენება. ზამთარი არ არის ჩემი სეზონი. ვერ ვიტყვი, რომ არ მიყვარს, მთაც ძალიან მომწონს, მაგრამ, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ვერ ვდგები თხილამურებზე. ასე რომ, ზამთარში მთებისა და თოვლის მხოლოდ შორიდან ყურებას მირჩევნია, ზაფხულში კარგად გავერთო და დავისვენო.

— ***როგორი სტილის ჩაცმულობა მოგწონთ?***

**კოტე:** — თავისთავად სულ სპორტულ სამოსს ვატარებ და თავს კომფორტულად ვგრძნობ, თუმცა, როცა სოლიდურად ვიცვამ, მაშინაც მშვენივრად ვგრძნობ თავს.

**ანატოლი:** — გააჩნია ჩემს გრაფიკს. დილით, როდესაც ვარჯიშზე მივდივარ, რა თქმა უნდა, უპრიანია სპორტულად ჩაცმა. ისე კი ძალიან მიყვარს პერანგები, ჯინსები და სპორტული ფეხსაცმელი, მაგალითად, კედები. ასეთი ჩაცმულობა არც კლასიკურია, არც მთლად სპორტული და ასეთ სამოსში თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ.

— ***რამდენად ტრადიციული ხართ, რას ფიქრობთ ზოგადად ქართულ მენტალიტეტზე, ახალგაზრდა თაობაზე?***

**კოტე:** — ზოგადად ტრადიციების მომხრე ვარ, ეს იქნება ქართული, ჩემი ოჯახის თუ ჩემ მიერ შექმნილი ტრადიციები, რომლებსაც უფრო პრინციპებს დავარქმევდი. მე მაქვს შეხედულებები, რომლებსაც ყოველთვის აქტიურად ვიცავ და არასდროს ვღალატობ ჩემს პრინციპებს.

**ანატოლი:** — ჩემი აზროვნებით, ქმედებებითა თუ შეხედულებით ტრადიციული ვარ. სამწუხაროა, რომ ახალგაზრდა თაობაში სხვა ღირებულებებია და ისინი სულ გადასხვაფერებულნი არიან. ის, რამაც ჩვენს ქვეყანას ამდენი ხნის მანძილზე გააძლებინა, თითქოსდა დაივიწყეს და ეს საწყენია.

— ***როგორი ხასიათი გაქვთ, რას მიიჩნევთ თქვენს დადებით თუ უარყოფით თვისებად?***

**კოტე:** — ძალიან უკონფლიქტო ადამიანი ვარ და, თუ სადმე დაძაბული სიტუაცია შეიქმნება, ვცდილობ, განვმუხტო და გავანეიტრალო. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ თავს შევიკავებ და ამაზე არ ვისაუბრებ.

**ანატოლი:** — მხიარული, კეთილგანწყობილი და მეგობრული ადამიანი ვარ. სულ ვცდილობ, ვიხუმრო და იუმორით ვიცხოვრო. უარყოფითი ის მაქვს, რომ ფეთქებადი ვარ და ხანდახან — ძალიან პირდაპირი, განსაკუთრებით — აფექტის მომენტში. ზოგჯერ ვნანობ ხოლმე, ასე და ისე რატომ ვთქვი-მეთქი, მაგრამ ეს, ალბათ, ყველას მოსდის. რას ვიზამთ, როგორც ამბობენ, მედალს ორი მხარე აქვს.

# რაიან გიგზი: „მარადონას ვერავინ შეედრება, ვერც პელე“

რაიან ჯოზეფ გიგზი აგერ უკვე ოცი წელია, რაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეუცვლელი მოთამაშეა. მას ოლდტრაფორდელთა უერთგულეს ფეხბურთელადაც ვიცნობთ, თუმცა, რაიანის პირველი კლუბი „მანჩესტერ სიტი“ გახლდათ. „სიტის“ „მოსისხლე მტრის“ „იუნაიტედის“ ბანაკში კი რაიანი სერ ალექს ფეგიუსონის დაჟინებული მცდელობის შედეგად გადაბარგდა. ოლდტრაფორდელთა შოტლანდიელი დამრიგებელი გიგზების ოჯახს მოსვენებას არ აძლევდა, ხშირად სტუმრობდა და კარგა ხნის ჯიუტი მეცადინეობის შედეგად რაიანი „იუნაიტედში“ გადასვლაზე დაიყოლია. მას შემდეგ „მენიუს“ უელსელმა ფორვარდმა გუნდთან ერთად ძალიან ბევრს მიაღწია. ჩემპიონთა ლიგის, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციისა და ლიგის მოპოვებულ თასებზე რომ არაფერი ვთქვათ, გიგზი თერთმეტჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი და მალე ამ ტიტულს მეთორმეტედაც დაეუფლება. მართლაც ფენომენალური შედეგია. ამ მაჩვენებლით რაიან გიგზს ვერც ერთი ინგლისელი ფეხბურთელი ვერ გაუტოლდება. ჯერჯერობით ცხრა ტიტული აქვს კიდევ ერთ მანჩესტერელ ლეგენდას პოლ სქოულზს, ლივერპულელების, ალან ჰანსენისა და ფილ ნილის კოლექციაში კი „მხოლოდ“ რვა საჩემპიონო მედალია. ალტაცებასთან ერთად, რაიან გიგზის საფეხბურთო კარიერა განცვიფრებას იწვევს, ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი მას „მიმდინარე საკითხებზე“ არ უსვამს კითხვებს და მთლიანობაში უელსელის სპორტული ცხოვრების ძირითადი მომენტებით ინტერესდება.

— ***სერ ალექსი დამყოლი ხასიათით არ გამოირჩევა. თქვენი თანაგუნდელები ხანდახან გამოტყდებიან ხოლმე, რომ ფერგიუსონთან საერთო ენის გამონახვა უჭირთ. როგორ მოახერხეთ ამდენი ხნის განმავლობაში შოტლანდიელ დამრიგებელთან შეხმატკბილებული მუშაობა?***

— მართალია, მე და სერ ალექსი ერთმანეთისადმი პატივისცემით ვართ განმსჭვალულნი, მაგრამ უთანხმოება და უსიამოვნებაც არაერთხელ მოგვსვლია. თუმცაღა, ყოველთვის ერთადერთ საქმეს ვემსახურებოდით — „მანჩესტერ იუნაიტედის“ გამარჯვებას, თანაც, თუკი წავიჩხუბებთ, მომხდარი მეორე დღეს არც მე მახსოვს და არც ფერგიუსონს. მშვენივრად გვესმის, რომ გაუგებრობა მხოლოდ იმის შედეგია, რომ სულითა და გულით გუნდის ინტერესზე ვზრუნავთ.

— ***ორი ათეული წელია უმაღლეს დონეზე ასპარეზობთ. რამდენად მნიშვნელოვანია პროფესიონალი ფეხბურთელისთვის ასკეტური ცხოვრების წესის დაცვა და ოჯახის წევრთა მხარდაჭერა?***

— აუცილებელია საყოფაცხოვრებო და საფეხბურთო საკითხების დაბალანსება. დისციპლინის დაცვას კი ყურადღება განსაკუთრებით 30 წლის გადაბიჯების შემდეგ უნდა მიაქციო. ასაკის მომატებასთან ერთად, ფიზიკური ძალია აღდგენა სულ უფრო და უფრო ძნელდება, თორემ 18-19 წლისამ თამაშის შემდეგ, შესაძლოა, გვიან საღამომდე ბარში დაჰყო, მეორე დღეს ვარჯიშზე კი მწვრთნელმა ვერაფერი შენიშნოს. ახლობელ ადამიანთა მხარდაჭერა და სიყვარული სათამაშო ტონუსს საგრძნობლად მაღლა მიწევს. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ჩემს ორ ვაჟთან დროის გატარების დეფიციტია. ამას მხოლოდ ჩემი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ მოევლება.

— ***პროფესიულ საფეხბურთო კარიერას თავიდან რომ იწყებდეთ, რა კორექტივს შეიტანდით თქვენ მიერ განვლილ გზაში?***

— არაფერს შევცვლიდი. ამას გულწრფელად მოგახსენებთ. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს შეცდომა არასდროს მომსვლია, მაგრამ სხვა მხრივ ცხოვრებისეული და პროფესიული ზრდა გამორიცხულია. ამიტომაც ყველაფერს ხელუხლებლად დავტოვებდი. თანაც, ბედს ნაღდად არ ვემდური. მოდით, კრიტიკის თვალსაზრისით წარსულში ხელის ფათურს ნუ დავიწყებთ.

— ***მეთერთმეტენომრიანი მაისური ნებაყოფლობით აირჩიეთ?***

— მარცხენა განაპირა ნახევარმცველები, როგორც წესი, ამ ნომრით ასპარეზობენ. ასე რომ, უბრალოდ, ტრადიციას ვაგრძელებ და მეტი არაფერი. კლუბში მოსვლისას თერთმეტნომრიანი მაისური მომცეს და მეც ამ რიცხვს მივეჩვიე.

— ***ფეხბურთის გარდა, სპორტის რომელიმე სახეობაში თუ გიცდიათ ბედი?***

— ხშირად ვთამაშობ გოლფს და ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებს. „მანჩესტერის“ სატრენაჟორო დარბაზში ხანდახან კალათბურთსა და კრიკეტს მალულად ვთამაშობთ. კლუბში, ფეხბურთის გარდა, სხვა სახეობით გატაცებას სიხარულით არ ხვდებიან. აი, გოლფის თამაშით კი გულს თავისუფალ დროს ვიჯერებ ხოლმე და ვფიქრობ, ურიგო მეგოლფეც არ ვარ.

— ***თქვენს წინასამატჩო რაციონს ხომ ვერ გაგვიმხელთ?***

— სიამოვნებით. თამაშის დღეს სპაგეტის „ბოლონეზესა“ და მინერალურ წყალს „ლუკოზეიდს“ მივირთმევ. მატჩის დღეს ცხრის ნახევარზე ვდგები, ვსაუზმობ და ისევ ვწვები. ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მყოფი ტელევიზორს ვუცქერ, ჟურნალ-გაზეთებს ვკითხულობ და ფსიქოლოგიურად თამაშისთვის ვემზადები. მატჩის შემდეგ ჩვეულებისამებრ ვიძინებ ხოლმე, იშვიათ შემთხვევაში კი ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად რესტორანში მივდივარ. თუმცა, გამოგიტყდებით, რაც დრო გადის, საამისო ენერგია სულ უფრო და უფრო ნაკლებად მრჩება.

— ***პელესა და მარადონას შორის არჩევნის გაკეთება რომ გთხოვოთ, რომელ მათგანს დაასახელებდით პლანეტის უძლიერეს ფეხბურთელად?***

— დიეგო არმანდო მარადონას, შესაძლოა, იმიტომაც, რომ მისი მონაწილეობით არაერთი მატჩი მინახავს, მათ შორის — 1986 წლის მუნდიალის შეხვედრები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარადონამ მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატი მარტომ მოიგო. მას „მუშა“ მარცხენა ფეხი ჰქონდა, მე კი ყველა „დიდ ცაციას“ ვეთაყვანები. მათ შორის მარადონა გამორჩეული ფიგურაა. არგენტინელს ვერავინ შეედრება, მათ შორის — პელეც.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ევროპა დასასრულს „უახლოვდება“



### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.05 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 4.2 | 3.4 | 1.7 |
| 14.05 | ბლექპული-ბოლტონი | 2.1 | 3.4 | 2.87 |
| 14.05 | სანდერლენდი-ვულვზი | 2.3 | 3.1 | 2.75 |
| 14.05 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 2.3 | 3.1 | 2.75 |
| 15.05 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.2 | 5.5 | 9.5 |
| 15.05 | არსენალი-ასტონ ვილა | 1.33 | 4.4 | 7.0 |
| 15.05 | ბირმინგემი-ფულემი | 2.1 | 3.0 | 3.2 |
| 15.05 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.75 | 3.75 | 4.33 |
| 15.05 | უიგანი-ვესტ ჰემი | 2.05 | 3.25 | 3.1 |

### ბლექბერნი-მანჩესტერი

ბლექბერნი: ***ტრავმა***-დევიდ დანი (?), რაიან ნელსენი, ვინსე გრელა

მანჩესტერი: ***ტრავმა***-ოუენ ჰერგრივზი

### ბლექპული-ბოლტონი

ბლექპული: ***ტრავმა***-დევიდ გარნეი

ბოლტონი: ***ტრავმა***-სტიუარტ ჰოლდენი, შონ დევისი, სამუელ რისკეტსი

### სანდერლენდი-ვულვზი

სანდერლენდი: ***ტრავმა***-ტიტუს ბრამბლი(?), დენი უელბეკი, ასამოა გიანი, კირონ რიჩარდსონი, კრეიგ გორდონი, ფრეიზერ კემბელი

ვულვზი: ***ტრავმა***-სტივენ მუიოკოლო, დევიდ ედვარდსი, რონალდ ზუბარი, კევინ დოილი

### ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმა***-პაბლო იბანიესი, სტივენ რიდი, გრაჰამ დორანსი

ევერტონი: ***ტრავმა***-ხოზე ბაქსტერი, ლუი საა, მარუან ფელაინი

### ჩელსი-ნიუკასლი

ჩელსი: ***ტრავმა***-არავინ

ნიუკასლი: ***ტრავმა***-ტამაშ კადარი, მაიკლ უილიამსონი, ლეონ ბესტი, დან გოსლინგი, ალან სმიტი, ჰატემ ბენ არფა

### არსენალი-ასტონ ვილა

არსენალი: ***ტრავმა***-სესკ ფაბრეგასი, სამირ ნასრი, გაელ კლიში, ლუკაშ ფაბიანსი

ასტონ ვილა: ***ტრავმა***-ჟან მაკუნი

### ბირმინგემი-ფულემი

ბირმინგემი: ***ტრავმა***-ობაფემი მარტინსი, მაიკ ტეილორი, ერნიჩ ველში, ჯეიმს მაკფადენი, სკოტ დანი; ***დისკვ***-ლიამ რიდველი, კრეიგ გარდნერი

ფულემი: ***ტრავმა***-დიომანსი კამარა, დამიენ დაფი

### ლივერპული-ტოტენჰემი

ლივერპული: ***ტრავმა***-მილან იოვანოვიჩი, ფაბო აურელიო, დანიელ აგერი, სტივენ ჯერარდი

ტოტენჰემი: ***ტრავმა***-გარეთ ბელი, ჯერმეინ ჯენასი, ბენუა ასოუ-ეკოტო, უილსონ პალასიოსი, ალან ჰატონი, ჯონათან ვუდგეიტი, ლედლი კინგი

### უიგანი-ვესტ ჰემი

უიგანი: ***ტრავმა***-მოჰამედ დიამე(?), მაიკლ პოლიტი

ვესტ ჰემი: ***ტრავმა***-სკოტ პარკერი(?), გარი ონილი, კირონ დაიერი, მარკ ნობლი, ჯუნიორ სტანისლასი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 36 | 22 | 10 | 4 | 73:34 | 76 |
| 2.ჩელსი | 36 | 21 | 7 | 8 | 67:30 | 70 |
| 3.არსენალი | 36 | 19 | 10 | 7 | 69:39 | 67 |
| 4.სიტი | 37 | 19 | 9 | 9 | 55:33 | 66 |
| 5.ლივერპული | 36 | 17 | 7 | 12 | 59:41 | 58 |
| 6.ტოტენჰემი | 36 | 14 | 14 | 8 | 51:45 | 56 |
| 7.ევერტონი | 37 | 12 | 15 | 9 | 50:44 | 51 |
| 8.ბოლტონი | 36 | 12 | 10 | 14 | 49:50 | 46 |
| 9.ფულემი | 36 | 10 | 15 | 11 | 45:42 | 45 |
| 10.სტოკი | 35 | 13 | 6 | 16 | 46:44 | 45 |
| 11.ნიუკასლი | 36 | 11 | 11 | 14 | 51:52 | 44 |
| 12.სანდერლ. | 37 | 11 | 11 | 15 | 43:56 | 44 |
| 13.ვესტ ბრომ. | 36 | 11 | 10 | 15 | 52:68 | 43 |
| 14.ას. ვილა | 36 | 10 | 12 | 14 | 45:58 | 42 |
| 15.ბლექბერნი | 36 | 10 | 9 | 17 | 42:56 | 39 |
| 16.ბირმინგემი | 35 | 8 | 15 | 12 | 35:52 | 39 |
| 17.ვულვზი | 36 | 10 | 7 | 19 | 41:62 | 37 |
| 18.უიგანი | 35 | 7 | 15 | 13 | 36:56 | 36 |
| 19.ბლექპული | 36 | 9 | 9 | 18 | 49:71 | 36 |
| 20.ვესტ ჰემი | 36 | 7 | 12 | 17 | 41:64 | 33 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.05 | ლაციო-ჯენოა | 1.36 | 5.0 | 7.5 |
| 14.05 | მილანი-კალიარი | 1.5 | 3.75 | 7.5 |
| 15.05 | ფიორენტინა-ბოლონია | 1.67 | 3.1 | 7.0 |
| 15.05 | ბარი-ლეჩე | 5.0 | 3.6 | 1.7 |
| 15.05 | კატანია-რომა | 7.0 | 4.33 | 1.44 |
| 15.05 | ჩეზენა-ბრეშა | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 15.05 | კიევო-უდინეზე | 7.0 | 4.33 | 1.44 |
| 15.05 | პარმა-იუვენტუსი | 3.8 | 3.3 | 2.0 |
| 15.05 | სამპდორია-პალერმო | 1.36 | 5.0 | 7.5 |
| 15.05 | ნაპოლი-ინტერი | 3.8 | 1.67 | 3.8 |

### ლაციო-ჯენოა

ლაციო: ***ტრავმა***-ჯუზეპე ბიავა(?), ხავიერ გარიდო(?), კრისტიან ბროკი, შტეფან რადუ, მობიდო დიაკიტე; ***დისკვ***-ლიბორ კოზაკი, ანდრე დიასი

ჯენოა: ***ტრავმა***-აბდულაიე კონკო, ალესიო სკარპი, კახა კალაძე, ემილიანო მორეტი; ***დისკვ***-მესტო

### მილანი-კალიარი

მილანი: ***ტრავმა***-ლუკა ანტონინი, ჯანლუკა ძამბროტა(?), კევინ-პრინს ბოატენგი, მარეკ იანკულოვსკი, ფილიპო ინძაგი

კალიარი: ***ტრავმა***-გაბრიელე პერიგო, ნენე, ფრანჩესკო პისანო

### ფიორენტინა-ბოლონია

ფიორენტინა: ***ტრავმა***-ვალონ ბეჰრამი, ალბერტო ჯილარდინო, ჰოუმა ბუბაქარი

ბოლონია: ***ტრავმა***-არჰიმედ მერლეო, ანდრეა ესპოზიტო, ანტონიო ბუსკე; ***დისკვ***-ალბინ ეკდალი

### ბარი-ლეჩე

ბარი: ***ტრავმა***-რუდოლფო, ხოსე იგნასიო, ვიტალი კუტუზოვი, ვიტო ბარეტო, სალვატორე მასიელო; ***დისკვ***-ქამილ გლიკი

ლეჩე: ***ტრავმა***-სტეფანო ფერარიო, კარლოს გროსმიულერი, სიმონე შინი, ანდრეა ბერტოლაჩი; ***დისკვ***-დანიელე კორვია

### კატანია-რომა

კატანია: ***ტრავმა***-ნიკოლას სპოლი(?), ადრიან რაჩიუტი(?), კრისტიან ლამა, ფაბიო სკიაცა, ჯუზეპე ბელუჩი

რომა: ***ტრავმა***-დავიდ პიზარო(?), მატეო ბრიგი, ფილიპ მექსე, ხულიო სერჟიო; ***დისკვ***-სიმონე პეროტა, დანიელე დე როსი

### ჩეზენა-ბრეშა

ჩეზენა: ***ტრავმა***-ჯუზეპე კოლუჩი, სტივ ფონ ბერგენი, ივან ფატიჩი

ბრეშა: ***ტრავმა***-ჰუგო მარეკო, დავიდე პოსანზინი, კრისტიანო ძანეტი, ნიკოლას კორდოვა, მატეო სერენი, სიმონე დალამანო; ***დისკვ***-დავიდე ლანძაფანე, ალესანდრო დიამანტი

### კიევო-უდინეზე

კიევო: ***ტრავმა***-ჯენარო სარდო, ფერნანდო ურიბე, ლუჩიანო

უდინეზე: ***ტრავმა***-სამირ ჰანდანოვიჩი, პაბლო არმერო, ანდრეა კოდა, ალექსის სანჩისი, დუშან ბასტა, დამიანო ფერონეტი; ***დისკვ***-გაბრიელ ანგელა

### პარმა-იუვენტუსი

პარმა: ***ტრავმა***-მარკო პისანო, ფელიპე ოლივეირა, ნიკოლა პავარინი, ერნან კრესპო, ანტონიო მირნატე, ამაური, ტონი კალვო, რაფაელე პალადინო, ფერნანდო მარკესი

იუვენტუსი: ***ტრავმა***-არმან ტრაორე, ალბერტო აკვილანი, ჟდენეკ გრიგერა, ვიჩენცო იაკინტა, მოჰამედ სისოკო, ფაბიო კვალიარელა, პაოლო დი ჩელიე, რინაუდო; ***დისკვ***-კლაუდიო მარკიზიო, მილოშ კრასიჩი

### სამპდორია-პალერმო

სამპდორია: ***ტრავმა***-ფედერიკო მაჩედა, ჯანლუკა კურჩი, ფერნანდო ტისონე, დანიელე კასტადელო, მარკო პალადინო, გილბერტო მარტინესი, ფრანკო სემიოლი; ***დისკვ***-რეტო ზიგლერი, დანიელე მანინი

პალერმო: ***ტრავმა***-მიკელე პოლუჩი(?)

### ნაპოლი-ინტერი

ნაპოლი: ***ტრავმა***-კრისტიანო ლუკარელი, ჯანლუკა გრავა; ***დისკვ***-ედისონ კავანი, ჯუზეპე მასკარა

ინტერი: ***ტრავმა***-ვესლი სნეიდერი, დეიან სტანკოვიჩი, ივან კორდობა, დავიდ სუაზო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 36 | 23 | 9 | 4 | 61:23 | 78 |
| 2.ინტერი | 36 | 22 | 6 | 8 | 65:40 | 72 |
| 3.ნაპოლი | 36 | 21 | 5 | 10 | 56:36 | 68 |
| 4.უდინეზე | 36 | 19 | 5 | 13 | 63:43 | 62 |
| 5.ლაციო | 36 | 18 | 6 | 12 | 47:35 | 60 |
| 6.რომა | 36 | 17 | 9 | 10 | 55:49 | 60 |
| 7.იუვენტუსი | 36 | 15 | 12 | 9 | 55:44 | 57 |
| 8.პალერმო | 36 | 16 | 5 | 15 | 55:59 | 53 |
**08.00** დოკ. ფ."რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **09.00** ბრიფინგის დროით **10.00** თავისუფალი ტრიბუნა **15.00** პარლამენტის სხდომის დაიჯესტი **17.00** ისტორია **18.00** დოკ. ფ."რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **19.00** საუკუნის პორტრეტები **20.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **21.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **21.30** მხ. ფ. **"რობინ ჰუდი: მამაკაცები შავებში"** **23.00** კონცერტი: ნატ კინგ კოლი **00.00** მხ. ფილმი **"ეშმაკი ლურჯ კაბაში"** (18)

**08.00** "კურიერი პ.ს." დაიჯესტი **08.30** მულტსერ. "ნარუტო" **09.00** საბ. სერ. "დაკარგული სამყარო" **10.00** ანა-ბანა (გან.) **11.00** საბავშვო ამბები **11.30** მულტფილმი "მხიარული ფერმა" **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **02.00** კურიერი **12.30** ვაკანსია **13.00** მხ. ფილმი **15.20** სერ. **"სიამაყე"** **17.25** ავტომარიაჟი **18.30** სიცილის ზონა **19.00** ეკი-ვოკი **20.00** ეთამაშე ვარსკვლავს **21.00** კომედი შოუ **23.00** ქართ.სერ.**"დეტექტივები"** **00.00** მხ. ფილმი **02.20** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია"ტომი და ჯერი" **11.00** საბ. სერ. **"ოდისეა"** **11.30** პულსი **12.00** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.00** სერ. **"ელიზა დი რივომბროზა"** **15.00** მხ. ფილმი **17.00** მულტფილმი **18.00** მხ. ფილმი **20.00** მზის კინოკლუბი **23.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00**, **09.00** ქრონიკა **08.15** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **08.40** მხ. ფილმი **"პატარა დეტექტივები"** **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00** ქრონიკა **11.15** საბ. გადაცემა "ორმაგი რისკი" **12.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **12.35** სერ. **"ჰანა მონტანა"** **11-12** ს. **14.30** სპეცრეპორტაჟი **15.00** საბ. გადაცემა "თავდაყირა" **17.30** ბოიარის ციხესიმაგრე **17.45** ეტალონი **19.05** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **20.15** იმედის გმირები **20.30** მუსიკალური ლიგა **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** **შეგირდი** **00.00** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **01.30** სერ. **"შუამავალი"** მე-**6**ს. **02.40** მხ. ფილმი **"რეალური სიყვარული"** (15) (ჰ. გრანტი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**09.00**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30** "დრო" **09.30**, **23.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.00** დილის ტალღა **12.00**, **21.00** სერ. **"მონტალბანო"** **13.00**, **19.30** სერ. **"ცნობილი ოჯახები"** **15.00**, **18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **19.30** სერ. **"სალომეა"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დოკ. ფილმი "დაგვიანებული ქორალი" **08.55**, **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00**, **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05**, **19.00**, **22.00** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "სოფიკო" **11.40** ქართული ალბომი **12.15** მხ. ფილმი **"ჩვენი ეზო"** **13.30** ქართული მულტფილმები **13.50** საქ. არქივიდან – ტალანტები და თაყვანისმცემლები **14.30** კარაბადინი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.35** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** სუფთა დაფა **16.50** დოკ. ფილმი "ღირსი მამა მღვიმელი" **17.15** სღვთისმეტყველო საუბრები **18.00** პატრიარქის ქადაგება **18.25** დროის ჩანაწერები **19.05** გზა, რომლითაც ვიარე **19.25** მხ. ფილმი **"რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** კვირიაკე **22.45** დოკ. ფ."წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.05** პატრიარქის ქადაგება **00.40** ოპერა

# ეჭვიანმა ქმარმა ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქცია



ამბობენ, რომ ეჭვიანობა ჭამს ადამიანის როგორც ორგანიზმს, ასევე ნერვებს და საბოლოოდ ფსიქიკური აშლილობისკენ მიყავს ნებისმიერი პიროვნება. ასე მოხდა რამაზის შემთხვევაშიც. მისმა გაუთავებელმა ეჭვიანობამ მისი ფსიქიკური აშლილობა გამოიწვია.

მისი მეუღლე ნათია არ მალავს, რომ ეჭვიანობის საბაბი მეუღლისთვის არასოდეს მიუცია, თუმცა მისი ქმარი ნებისმიერ დეტალშიც მისთვის არასასურველ მიზეზს ხედავდა და ეჭვიანობის სცენებსაც გაუთავებლად უწყობდა.

**ნათია:**

— თქვენ არც კი იცით რა საშინელებაა, როცა ქმარი ეჭვიანი გყავს. ეს ნამდვილი წყევლაა, რომელსაც ვერსად გაექცევი. ჩემთვის ის ხუთი წელი, რომელიც ჩემს ქმართან ერთად ვიცხოვრე, ნამდვილი ჯოჯოხეთია. საკმარისი იყო რამაზს რამე არ მოსწონებოდა, იმ წუთას არაფერს იტყოდა, მაგრამ გულში ჩახვევა იცოდა და მერე მთელ კონცერტებს აწყობდა.

ჩემი ქმარი მეგობართან გავიცანი. სტუმრად ვიყავი და იქ მოვიდა. თავიდანვე ძალიან მომეწონა, თუმცა ჩემმა მეგობარმა მირჩია, სჯობს მასზე სერიოზულად არ იფიქრო, პათოლოგი ეჭვიანია და ცხოვრებას დაგიმახინჯებსო. მისი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან ისედაც ძალიან მომწონდა მამაკაცები, რომლებიც შენ გამო იძაბებოდნენ, ან მუშტებზე იყურებოდნენ, ან ეჭვიანობის სცენებს აწყობდნენ.

რამაზის გაცნობიდან მალევე დავმეგობრდით, საერთო ენა ადვილად გამოვნახეთ. სულ ერთად ვიყავით, ხან კინოში, ხან კაფეში, ხან რესტორანში. მეგობრების წრეც საერთო აღმოგვაჩნდა და ამიტომ ერთმანეთს თითქმის არასოდეს ვშორდებოდით.

***— ამ დროის განმავლობაში რამაზს არ უეჭვიანია?***

— „ლაითი" ეჭვიანობები იცოდა, სულ მეკითხებოდა, ის ვინ იყო, ამ დროს სახლში რატომ არ იყავი, შენს ტელეფონზე დაკავება რატომ იყოო. სიმართლე რომ გითხრათ, ასეთი ყურადღება და დაკითხვის სცენები მომწონდა. მიმაჩნდა, რომ ამ ადამიანისთვის მნიშვნელოვანი პიროვნება ვიყავი. მხოლოდ ერთხელ მახსოვს მისი სერიოზული გაბრაზება. რესტორანში ვიყავით. ჩვენს გვერდით ვიღაც ბიჭები ისხდნენ. ისე მოხდა, რომ რამაზი ზურგით იჯდა, მე კი მათ პირდაპირ ვუყურებდი. რაღაცაზე რამაზიმ უკან მიიხედა და დაინახა, რომ ერთ-ერთი მე მიყურებდა. რომ წამოუხტა, არც კი უთქვამს, რას ერჩოდა იმ ბიჭს, რომ გაიგდო წიხლქვეშ, ძლივს გავაგლიჯეთ. აი, მაშინ შემეშინდა პირველად სერიოზულად და ბევრიც ვინერვიულე. აქეთ მამშვიდებდა, არა უშავს, ნერვებმა მიმტყუნა, თორემ ასეთი არანორმალურიც არ ვარ, როგორ იკადრეს, რომ ჩემს გვერდით მჯდომ ქალს თვალი დაადგესო. არადა, მსგავსი არაფერი ყოფილა. მაშინ ბევრი ვინერვიულე, მაგრამ შემდეგ მსგავსი შემთხვევა არ გვქონია და მეც გადამავიწყდა.

რამაზს ცოლად შეყვარებულობის ორი წლისთავზე გავყევი. არ მინდოდა ავჩქარებულიყავი და მერე ჩემი გადაწყვეტილება მენანა. კარგი ბიჭი იყო, სამსახური ჰქონდა, სახლი ჰქონდა და კარი და მეტი მეც არ მინდოდა. ჩვენმა მშობლებმა დიდი ქორწილი გადაგვიხადეს, ჯვარი სვეტიცხოველში დავიწერეთ. უბედნიერესი ვიყავი, მაშინ დავდე ფიცი, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, ყოველთვის მის გვერდით ვიქნებოდი. ფიცი კი დავდე, მაგრამ მისი შესრულება ვერ შევძელი. ჩემი მოთმინების ფიალა ხუთი წლის შემდეგ აივსო.

***— რამაზს ეჭვიანობის გამო დაშორდით?***

— კი, ამის ატანა აღარ შემეძლო. რომ დავქორწინდით, მისი ავადმყოფური ეჭვიანობა კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა. ყველა დეტალზე, ნიუანსზე ეჭვიანობდა. არც მასთან დაქორწინებამდე მიმუშავია, მაგრამ რომ დავქორწინდით, კატეგორიულად ამიკრძალა მუშაობა და სახლიდან დაუკითხავად გასვლა. შიშით ჩემს მეგობრებსაც ველარ ვეკონტაქტებოდი, მეშინოდა, გულში არაფერი ჩაედო და არ ეეჭვიანა. ბოლოს, რომ დავილალე, ვუთხარი, ასე ცხოვრება არ შემიძლია, შენი ცოლი ვარ და რაღა გაქვს საეჭვიანო-მეთქი. ამან სულ გააგიჟა, ასე რატომ იძახი, ისედაც მთელი დღე, სანამ სამსახურში ვარ, სულ იმაზე ვფიქრობ, როგორ ხარ და შენც რომ ასე მელაპარაკები, ალბათ აღარ გიყვარვარო. იმ დღეს ძალიან ვიჩხუბეთ. თუ აქამდე ხმას არ ვიღებდი, მისმა გაუთავებელმა ეჭვიანობამ დამღალა და სათქმელი ბოლომდე ვუთხარი. რამაზი კიდევ უფრო შეუვალი გახდა, მეზობელთანაც მიკრძალავდა სიარულს. ბავშვი რომ გვეყოლა, დახმარება მჭირდებოდა და დედაჩემთანაც კი არ გამიშვა, აქ მოვიდეს და ჩვენთან იცხოვროსო. მამაჩემი არ არის კარგად, ავადმყოფი კაცია, მიხედვა და პატრონობა სჭირდებოდა, ამიტომ დედაჩემს ჩვენთან მოსვლა არ შეეძლო. ჩემს ქმარს კი იმის გაგონება არ უნდოდა, რომ მისი სახლიდან დროებით წასვლას ვითხოვდი. ასეთი მესაკუთრე თუ იყო, ნამდვილად არ მეგონა.

***— ბავშვის დაბადებამ არ შეცვალა თქვენი ურთიერთობა?***

— არა, პირიქით, კიდევ უფრო დაგვეძაბა ურთიერთობა. მთელი დღე მარტო ვიყავი, თან პირველი შვილი იყო, წესიერად მოვლა და პატრონობა არ ვიცოდი, ამიტომ მიჭირდა ყველა საქმის გაძლოლა. იმის მაგივრად, რომ ჩემთვის ანგარიში გაეწია, ერთ რამეს არ მპატიობდა, თუ სადილს ვერ მოვასწრებდი, ან მისი სამსახურიდან მოსვლამდე ჩამეძინებოდა, ბრაზდებოდა, ალბათ არ გიყვარვარ და ყურადღებასაც იმიტომ არ მაქცევო. არ ესმოდა, რომ ვიღლებოდი და იმიტომ ვერ ვუცდიდი, თან სამსახურიდან საკმაოდ გვიან ბრუნდებოდა.

ბოლო პერიოდში რამაზმა სმა დაიწყო. თავიდან ოდნავ ნასვამი მოდიოდა, მაგრამ მაინც არ მომწონდა, რომ დალევას დაეჩვია. ერთადერთხელ, ყოველი შემთხვევისთვის ვუთხარი, რომ იცოდე, მაგ სასმელში კარგი და სასარგებლო არაფერია-მეთქი. ძალიან ეწყინა და ჩხუბი დამიწყო, ეგლა მაკლია, ცოლის დაკრულზე ვიარო და იმან მიკარნახოს, რა უფრო სასარგებლოა და რა არაო.

მასთან დალაპარაკების მეშინოდა. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ვშორდებოდით ერთმანეთს და აღარ გვესმოდა რა გვინდოდა. ერთი პერიოდი იმაზეც დავიწყე ფიქრი, კიდევ მიყვარდა თუ არა ჩემი ქმარი. ბევრი ვიფიქრე, ძალიან გამიჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ასეთ ტანჯვაში ცხოვრებას, რამაზისგან წასვლა ვამჯობინე.

ჩემი გადაწყვეტილების შესახებ რომ ვუთხარი, ნამდვილად ვიყავი მზად იმისთვის, რომ მაგრად ვიჩხუბებდით, იმისთვისაც კი შევემზადე, რომ ხელს აწევდა ჩემზე, მაგრამ მოვტყუვდი. ძალიან მშვიდად და ყურადღებით მომისმინა, არაფერი უთქვამს, მხოლოდ იტირა. იმ წუთას შემეცოდა, მაგრამ მეორე წუთში ჩემი თავი გამახსენდა, რომელიც არანაკლებ ცოდო იყო. ნამდვილად ახალგაზრდა ვიყავი იმისთვის, რომ ქმარს სახლში გამოვეკეტე და ყველანაირი ურთიერთობა მოესპო ჩემთვის. ჩემთვის აღარავინ არსებობდა — არც მეგობარი, არც ნათესავი, არც მშობლები, არც ახლობლები. ასე გამოკეტილს და განმარტოებულს ცხოვრება არ შემეძლო. ბავშვის გამო არც თეატრში და კინოში შეგვეძლო ერთად სიარული, ამიტომ ყველანაირად გავნადგურდი და მოვიშალე. მართალია, ფინანსურად არაფერი მაკლდა, ჩემი ქმარი ერთდროულად ორ სამსახურში მუშაობდა, მაგრამ ასეთი არც მისი სამსახური მინდოდა და არც ასეთი ურთიერთობა. მინდოდა ჩემი ოჯახი მხიარული, სტუმრებით სავსე და ბედნიერი ყოფილიყო, ასე ციხეში გამოკეტვა და მთელი დღე მარტო ყოფნა ნამდვილად არ შემეძლო.

რამაზმა პირობა მომცა შევიცვლებიო, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. ცდილობდა ვითომ რაღაცნაირად სხვა ურთიერთობა გვქონოდა, მაგრამ ხასიათი ჰქონდა ასეთი და რაღა შეცვლიდა? ამიტომ საბოლოოდ წამოვედი მისგან, რომ მთლად განდეგილად არ ვქცეულიყავი და ჩემი ცხოვრება საბოლოოდ არ დამემახინჯებინა. ვიცოდი, რომ ეჭვიანობა საშინელი რამ არის, მაგრამ ამდენ რამეში თუ შემზღუდავდა ჩემი ქმარი და ასე გამომაწყვდევდა ოთხ კედელში, ნამდვილად არასოდეს მიფიქრია.

თავიდან რამაზი ჩვენთან მოდიოდა, ბავშვსაც ნახულობდა, პატიებას მთხოვდა და ჩემი დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა, მაგრამ შემდეგ ჩვენთან ყველანაირი კავშირი გაწყვიტა. არც მე მომიკლავს თავი მისი მოძებნით. ახლა თითქმის აღარ მახსოვს, ოდესმე თუ ქმარი მყავდა. ჩემი მშობლები ყველანაირად მიწყობენ ხელს, რომ მიღებული ტრავმა მოვიშუშო. ჩემი შვილი უკვე ბაღში მივიყვანე, სამსახურიც ვიშოვე და სრულფასოვანი ადამიანი ვარ. ასე მგონია, სასჯელი მოვიხადე და თავისუფლება მოვიპოვე.

***— სად დაიწყეთ მუშაობა?***

— თავიდან ისე ვიყავი, ხალხის გარემოცვაში თავს ცუდად ვგრძნობდი, მათთან ლაპარაკიც კი მიჭირდა. როცა ჩემმა მშობლებმა მითხრეს, რომ შემეძლო სამსახური მეპოვა და ბავშვს ისინი მიხედავდნენ, ამის დაჯერება გამიჭირდა. პირველად ნებისმიერ სამსახურზე თანახმა ვიყავი, მაგრამ თანდათან ისეთი სამუშაო ვიპოვე, რომელიც სრულად მაკმაყოფილებს. ახლა თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ და მენანება ის დრო, რომელიც ჩემთვის დაკარგულია და რამაზის ცოლობის დროს თვალსა და ხელს შუა გამიქრა.

**თიკო ნინიაშვილი**

## სასარგებლო რჩევები

### hf fhbcuek-cbd[ k'fhqdsf lbcnjybf0

ეს დაავადება ვითარდება თანდათანობით და სერიოზულად შეგაწუხებთ მაშინ, როცა მისი დამარცხება უკვე საკმაოდ ძნელია. ამიტომ ნებისმიერმა ადამიანმა ყურადღება უნდა მიაქციოს მისთვის დამახასიათებელ სიმპტომებს. ესენია — ტკივილი გულის არეში, მოთენთილობა, სისხლის წნევის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა და ხშირად წონის დაკარგვაც კი. ამ დროს ქვეითდება ადამიანისთვის ჩვეული სასიცოცხლო ტონუსი, რაც იწვევს ძილის დარღვევას, დათრგუნულ განწყობილებას, გაღიზიანებას, საკუთარი თავითა და ირგვლივ მყოფებით, საკუთარი სამუშაოს შედეგებით უკმაყოფილებას.

გულ-სისხლძარღვოვანი დისტონია — ეს არის სიგნალი თქვენი ორგანიზმის ავადმყოფური მდგომარეობის შესახებ. ნუ იქნებით უყურადღებოდ, ნუ გამოიჩენთ სისუსტეს, არ დატოვოთ ყურადღების გარეშე ტკივილები გულისა და თავის არეში. ამ დაავადების დროს სამუდამოდ დაივიწყეთ თამბაქო, სპირტიანი სასმელები და ყველანაირი მავნე ჩვევა.

თუ დიაგნოზი გულ-სისხლძარღვთა დისტონია დადგენილია სწორად, მაშინ საჭიროა დაუყოვნებლივ მკურნალობის დაწყება და ორგანიზმის თანდათან „გარღვევიდან" გამოყვანა.

პირველ რიგში, ასეთი დაავადების მქონე ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ამ დროს კარგია, რაც შეიძლება მეტი დროით ყოფნა სუფთა ჰაერზე და ფეხით სიარული.

მეორე და მნიშვნელოვანი არის ასკილის ნაყენის ყოველდღიური მიღება. ასევე კარგია კრაზანას ნაყენის მიღებაც. თუ გაქვთ სურვილი, შეგიძლიათ დაიმატოთ სხვადასხვა თქვენთვის საჭირო და საყვარელი ბალახების დანამატებიც. ნუ დაივიწყებთ ჩაის მარწყვის, შავი მოცხარის, პიტნის ფოთლებისა და ვარდის ფურცლებისგან. ეს სასმელები გააუმჯობესებენ სისხლის შემადგენლობას, გაწმენდენ სისხლძარღვებს და შეავსებენ ორგანიზმს ვიტამინებით. ასეთი მკურნალობის დროს მოგემატებათ მადა, ამიტომ არ დააკლოთ საკუთარ თავს ბოსტნეული და ხილი. ძალიან სასარგებლოა, თუკი უზმოზე შეჭამთ ერთ კოვზ თაფლს ან რამდენიმე კაკალს. შეგიძლიათ ორივე ერთად მიიღოთ.

მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თქვენ მოგიწევთ ზრუნვა სუფთა სამედიცინო ნაყენებზეც, რომელიც დაგეხმარებათ გულის, თავის ტკივილების მოშორებაში. ისინი გააუჯობესებენ ძილს და ნორმაზე დაგიყენებენ სისხლის წნევას.

გთავაზობთ რეცეპტს, რომელიც თქვენს გულს უკეთესად მუშაობაში დაეხმარება:

აიღეთ თითო ჩაის კოვზი კუნელი, „პუსტირნიკი", კატაბალახას ძირები. თუ კატაბალახა არ გაქვთ, მაშინ იგი ჩაანაცვლეთ პიტნის ფოთლებით. ამ ყველაფერს დაასხით ერთი ჭიქა ადუღებული წყალი, კარგად დააყენეთ და გაწურეთ. დასაწყისში სვით სამჯერ დღეში, რამდენიმე კოვზი დილას და საღამოს. რაც დარჩება, მიიღეთ ძილის წინ. თქვენ აუცილებლად იგრძნობთ შემსუბუქებას, თქვენი სხეული დაიწყებს ძალითა და ენერგიით ავსებას. ამ შემთხვევაში არ შეწყვიტოთ ამ ნაყენის მიღება. სვით იგი კიდევ რამდენიმე ხანს, ამჯერად უკვე ნახევარი ჭიქა მხოლოდ საღამოობით. შეისვენეთ 2-3 კვირა და მკურნალობის ეს კურსი პროფილაქტიკის მიზნით ისევ გაიმეორეთ.

### cf[ bcybq,t,b



სახის კანის მოსავლელად ბევრი ძვირადღირებულ კრემს ოჯახურ პირობებში დამზადებულ ნიღბებს ამჯობინებს. გთავაზობთ რამდენიმე ნიღაბს სხვადასხვა ტიპის სახის კანისთვის:

1. ნიღბები ნორმალური კანისთვის:

თაფლის ნიღაბი — კვერცხის გულთან ერთად გათქვიფეთ თაფლი და ნიღაბი სახეზე წაისვით.

კვერცხის ნიღაბი — ამისთვის საჭიროა მხოლოდ კვერცხის გული. 10 წვეთი ზეითუნის ზეთი, 5 წვეთი ლიმონის წვენი და კვერცხის გული კარგად გათქვიფეთ და წაისვით სახეზე.

ხაჭოს ნიღაბი — ძალიან კარგია ხაჭოს ნიღაბი. მის დასამზადებლად დაგჭირდებათ მხოლოდ ერთი სუფრის კოვზი ხაჭო, რომელიც უნდა გახსნათ ერთ სუფრის კოვზ რძეში.

2. ნიღბები ცხიმიანი კანისთვის:

ვაშლის ნიღაბი — ერთ ჩაის კოვზ კარტოფილის ფქვილს დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი გახეხილი ვაშლი და გათქვეფილი კვერცხის ცილა. მიღებული მასა წაისვით სახეზე და შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

საფუარის ნიღაბი — ერთ კოვზს თბილ რძეში გახსენით ერთი ჩაის კოვზი საფუარი და მიღებული მასა სახეზე წაისვით.

3. ნიღბები მშრალი კანისთვის:

კიტრის ნიღაბი — ერთი ჩაის კოვზი ახალი რძე შეურიეთ ორ ჩაის კოვზ გახეხილ კიტრში. ნიღაბი სახეზე წაისვით და თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

თაფლის ნიღაბი — ცოტაოდენ რძეს დაუმატეთ ერთი ჩაის კოვზი თაფლი და კარგად გათქვიფეთ.

### xfbccbrtst



თუ გინდათ წლების განმავლობაში მხნედ და ჯანმრთელად იყოთ, დაუჯერეთ ამერიკელ სპეციალისტებს, უარი თქვით ყველანაირ ალკოჰოლზე — ღვინოზე, არაყზე, კონიაკზე თუ სხვადასხვა სპირტიან კოქტეილებზე და უპირატესობა წყალსა და წვენებს მიანიჭეთ. თუმცა მათზე სასარგებლო და დამამშვიდებელი საშუალებაა ჩაი.

ყველაზე კარგი ადამიანის ორგანიზმისთვის კი ამერიკელების დასკვნით საუკეთესოა სხვადასხვა ბალახისა თუ ფოთლებისგან დამზადებული ჩაი. რაც მთავარია, სასურველი არ არის ადამიანმა სულ ერთი და იგივე ჩაი მიიღოს — უკეთესია იგი მრავალფეროვანი იყოს. ძალიან სასარგებლოა მოცხარისა და ალუბლის ახალი ყლორტებისგან დამზადებული ჩაი. თუ უზმოზე დალევთ ჩაის თაფლით, თუ ვახშმის ნაცვლად დალევთ არომატულ, მკურნავ ჩაის ფოთლებისა და სხვადასხვა ბალახებისგან, მაშინ თქვენი ჯანმრთელობა მრავალი წლის მანძილზე გარანტირებულია.

### ahs[ bkfl7lbf,tnb=

დიაბეტით მრავალი ადამიანი იტანჯება. მისი პირველი ნიშნებია სისუსტე, შიმშილის მუდმივი გრძნობა, პირის სიმშრალე, კანის გაღიზიანება.

თუ თქვენ დიაბეტი დაგიდგინდათ, კვების რაციონიდან მოგიწევთ გამორიცხოთ ყველანაირი ტკბილეული, შაქარი, ღვეზელები, ფუნთუშები, კარტოფილი და ძალიან ცხიმიანი კერძები. იმისათვის, რომ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გართულდეს და დამძიმდეს, მიირთვით უცხიმო ხორცი, თევზი, ბევრი უმი ბოსტნეული, მოხარშული, შემწვარი ან მოშუშული ცოტაოდენ მზესუმზირას ზეთში. საჭიროა ჭამოთ ცოტ-ცოტა, ზომიერად და თან ხშირად. ძალიან კარგი იქნება თქვენი ჯანმრთელობისთვის, თუკი კვირაში ერთ დღეს იშიმშილებთ.

დიაბეტის დაავადებულთათვის ძალიან კარგია მოცვის ფოთლების ნაყენის მიღება, ან მდოგვის თესლის ნახარშის მიღება თბილ მდგომარეობაში ჭამის შემდეგ. თუკი თქვენი დიაბეტი ჯერ კიდევ გართულებული არ არის, ამ მეთოდებით მისგან განკურნებას აუცილებლად შეძლებთ. არ იჩქაროთ მიიღოთ წამლები, რადგან ორგანიზმი ეჩვევა მედიკამენტებს და ასეთ დროს რთულდება დაავადების დამარცხება.

ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი რჩევა, რომელსაც მედიკოსები დიაბეტით დაავადებულებს აძლევენ — ეცადეთ გქონდეთ რაც შეიძლება მეტი დადებითი ემოცია, რადგან დიაბეტი ვერაგი დაავადებაა და ის თრგუნავს ადამიანს. მასთან საბრძოლველად სიცილი და კარგი განწყობა აირჩიეთ და ყველაფერი კარგად იქნება.

**თიკო ნინიაშვილი**

## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● ვაკეთებ ეპილაციას ლაზერის აპარატით. მიღება ჩაწერით. მისამართი: ჩიტაიას 19 (ყოფილი საბჭოს ქუჩა). ტელ: 96-67-03; 895-35-64-13 ექიმი გულიკო ჩიკვილაძე.

● გახდომა-გასუქება სწრაფად და ეფექტურად 5-დან 20 კგ-მდე თვეში, შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე, ჯანმრთელობისთვის უვნებლად მხოლოდ მცენარეული საშუალებებით, ინდივიდუალურად შედგენილი უახლესი პროგრამებით, სტაბილური წონის შენარჩუნებით. შედეგი გარანტირებულია 100%-ით, უკუჩვენების გარეშე. მის: დიდუბე, სამთო-ქიმია, I სართული, ოთახი №6. ტელ: 893-44-58-65; 34-02-38 ექიმი ქ-ნი დეა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ქირავდება საბურთალოზე ოროთახიანი კეთილმოწყობილი, მაღალჭერიანი ნათელი ბინა, ავეჯით, მაცივრით, სარეცხი მანქანით, გარაჟით. თვეში 400 აშშ დოლარი. ტელ: 874-48-50-55 შორენა ფიფია; 879-89-00-01 გოგა ფიფია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

**ნათელმხილველი**
**მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**
**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**
**მის.: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**

## სხვისი ბინის მითვისების მცდელობაში ბრალდებულები დააკავეს

თაღლითობის ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: ემზარ შუბითიძე, ანნა ერაძე და ნოდარ კიბაბიძე.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულ პირებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ 2010 წლის 13 ივნისს გარდაცვლილი გიორგი ფურცხვანიძის საკუთრებაში იმყოფებოდა თბილისში ი.აბაშიძის ქ.68-ში მდებარე ორი და პ. იაშვილის 10-ში მდებარე ერთი საცხოვრებელი ბინა.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებისათვის ცნობილი გახდა, რომ გ. ფურცხვანიძე იყო მარტოხელა, არ ჰყავდა მემკვიდრეები და ნათესავები, ამიტომ ანნა ერაძემ და ემზარ შუბითიძემ ყალბი ანდერძის საფუძველზე განიზრახეს სამივე ბინის მათთვის სასურველი პირის ნოდარ კიბაბიძის სახელზე გადაფორმება, რაშიც მას 5000 აშშ დოლარს გადაუხდიდნენ. ბინების რეალიზაციიდან მიღებულ თანხას კი ორნი გადაინაწილებდნენ. ყალბი ანდერძის დამზადებაში ბრალდებულები 15 000 აშშ დოლარს იხდიდნენ.

ორგანიზებული ჯგუფის წევრები სამართალდამცველებმა მაშინ დააკავეს, როცა მათ აღნიშნული თანხის ნაწილი გადაიხადეს.

მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180 ე მუხლით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით.

**მედიანიუსი**

## ყურადღებიანი თუ ხართ?

ტესტი



ტესტის შეკითხვებს „დიახ" (1) ან „არა" (0) უპასუხეთ

1. უყურადღებობის გამო ხშირად აგებთ?
2. ხშირად გამასხარავებენ მეგობრები?
3. შეგიძლიათ თუ არა საქმეც აკეთოთ და ყურიც მიუგდოთ, რას ლაპარაკობენ თქვენს გარშემო?
4. თუ გიპოვიათ ოდესმე ქუჩაში ფული ან გასაღები?
5. ყურადღებით თუ იყურებით ქუჩაში გადასვლისას აქეთ-იქით?
6. შეგიძლიათ თუ არა დეტალურად გაიხსენოთ ორი დღის წინ ნანახი ფილმი?
7. არ გაღიზიანებთ, როდესაც ვინმე გაზეთის, წიგნის კითხვას ან ტელევიზორის ცქერას გაცდენთ?
8. სწრაფად თუ პოულობთ ბინაში საჭირო ნივთს?
9. თუ ყოფილა, რომ ქუჩაში ერთი ადამიანი სხვაში აგრევიათ?

**პასუხები**

***0-3 ქულა:*** ძალიან დაბნეული ბრძანდებით, რაც მრავალი უსიამოვნების მიზეზი ხდება. როდესაც ამის გამო გსაყვედურობენ ღიმილით პასუხობთ, რადგან მნიშვნელობას არ ანიჭებთ ამას.

***4-6 ქულა:*** საკმაოდ ყურადღებიანი ხართ, მნიშვნელოვანი არაფერი გავიწყდებათ, მაგრამ ხანდახან ამჟღავნებთ დაბნეულობას, ზოგჯერ რაღაც გავიწყდებათ. მიუხედავად ამისა, საჭირო მომენტში ახერხებთ ყურადღების კონცენტრირებას

***7-9 ქულა:*** თქვენ საოცრად ყურადღებიანი და გამჭრიახი ბრძანდებით, თქვენი მეხსიერება ნამდვილად შესაშურია.

## ლეიბორისტები კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლის სახლის მშენებლობას აპროტესტებენ

ლეიბორისტული პარტია კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მარლენ სისვაძის სახლის მშენებლობას აპროტესტებს.

როგორც მარლენ სისვაძის მშენებარე სახლთა გამართულ ბრიფინგზე ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, თბილისში ისან-სამგორის რაიონში, ზანდუკელისა და ხარაბაძის ქუჩების გადაკვეთაზე მარლენ სისვაძის სახლის მშენებლობა არის „ელიტარული კორუფციის ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითი, რომელზეც დგას სააკაშვილის რეჟიმი".

— ხედავთ, მიხეილ სააკაშვილი მკვლელებსა და არჩევნების გამყალბებლებს როგორ აჯილდოვებს?! ეს არის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მშენებარე ხუთსართლიანი სასახლე, მანამდე იგი მუშაობდა სანაკოევის ადმინისტრაციაში ბუღალტრად, საიდანაც მოხსნა არაერთი მილიონი, — აღნიშნა პაატა ჯიბლაძემ.

მისი თქმით, მშენებლობა დარეგისტრირებულია მარლენ სისვაძის მეუღლე მანანა შუბითიძეზე, რომელმაც პირდაპირ დაატერორა მეზობლები და შეიჭრა ერთ-ერთი მეზობლის წითელ ხაზებში. აღნიშნული სახლის მშენებლობის შედეგად ერთ-ერთი დაზარალებულის მანანა სახლთხუციშვილის განმარტებით, მშენებლობამ გაანადგურა ბაღი და მისი საცხოვრებელი სახლს სახურავის ნაწილიც ჩამოაჭრეს, როცა სახლის სახურავიცა და ბაღიც მისი კუთვნილი ტერიტორიის საზღვრებში იყო მოქცეული. ასევე, მშენებლობამ დააზიანა მისი ბინის კედლები და 15-მეტრიანმა შენობამ სრულიად დაჩრდილა მისი საცხოვრებელი სახლი. როგორც „მედიანიუსს" სახლის მფლობელმა მანანა შუბითიძემ განუცხადა, მისი მშენებლობა წითელ ხაზებში, აბსოლუტური კანონის დაცვითაა მოქცეული.

— ვაშენებ ჩემს კუთვნილ სახლს აბსოლუტური კანონის დაცვით. თვითონ არიან ჩემს ტერიტორიაზე გადმოსულები. მე ეს მიწა ვიყიდე 4 წლის წინ წითელ ხაზებში და ამ წითელ ხაზებში მოვაქციე ჩემი სახლის მშენებლობაც, — აღნიშნა შუბითიძემ.

**მედიანიუსი**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. ნახევარკუნძული ევროპაში; 3. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 4. კაპიტალის დამბანდებელი პირი რაიმე საქმეში, პროექტში; 5. სამხედრო შენაერთი; 6. ღომში ჩახარშული სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 8. სისხლის თეთრი ბურთულაკების წარმომქმნელი შინაგანი ორგანო; 11. რაიმე ცნების, იდეის, სიდიდის პირობითი ნიშანი; 14. ცეკვის მასწავლებელი; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 16. ბუნებრივი ნაკრძალის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 17. ფრანგული საიუველირო ფირმა; 19. ლირიკული სიმღერა; 21. კავკასიის ალპურ ზონაში გავრცელებული გარეული თხა; 22. ცხოველთა სამყარო.

**თარაზულად:** 1. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ბრაზილიური ყავა; 7. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 9. ქართველი ფიზიოლოგი, აკადემიკოსი; 10. ჰოლანდიური ლუდი; 12. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 13. გეგმა, განზრახვა; 16. ძვირფასი, სამახსოვრო ნივთი; 17. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 18. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 20. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 22. კუთხე საქართველოში; 23. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 24. ჯარების საზეიმო მსვლელობა, პარადი; 25. გემთმშენებელი საწარმო.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

### ბექა ოხანაშვილის ხსოვნას



ტკივილი ულევი, კაეშანი გაუსაძლისი, ფიქრი გაუხარელი, შენი ნახატები, აცმადახუნძლული მოგონება, რომელიც შენ ირგვლივ ტრიალებს და გულში ღრმა იარას ტოვებს. ეს იარა მოურჩენელი, მარადიულია.

დრო გავიდა, უშნოდ გაიწელა, მაგრამ შენი სხივნათელი, ღვთიური სახე ჩემ გვერდითაა, არასდროს მტოვებს, ჩემო ჭკვიანო ბიჭო. ამბობენ, დრო მკურნალიაო. არა, ტყუილია... შენი წასვლის ტკივილი არასდროს წაშლის ნაჭდევს ჩემს გულში. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ შენი წრფელი სული ზეციურ სასუფეველშია დავანებული და იქიდან უმზერს ცოდვილ დედამიწას.

სიწმინდე, სიყვარული, ერთგულება — შენი სულის მასაზრდოებელნი იყვნენ და იმქვეყნად გზას საუკუნოდ გაგინათებენ.

**გაუსა ლისი ტკივილით, დიდი სიყვარულით ია ჭოჭუა**

უახლოესი მეგობრები რევაზ გოგოხია, რეზო გორდეზიანი, ნუგზარ პაიჭაძე, ხიმურ რუხაია, როინ ქუტიძე, შოთა ძნელაძე, თემურ ხომერიკი დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**გრიგოლ სიმონის ძე თოდუა**

პანაშვიდი: 14 მაისს, 16 საათზე;
დაკრძალვა: 15 მაისს, 14 საათზე;
მისამართი: თბილისი, საბურთალოს IV კვარტალი, IX კორპუსი.

### გრიგოლ თოდუა



ქართველ სწავლულ ეკონომისტთა რიგებს, ქართულ საზოგადოებას გამოაკლდა დიდი მეცნიერი და ბრწყინვალე პიროვნება – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი გრიგოლ სიმონის ძე თოდუა.

იგი დაიბადა 1928 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფ. ნაკადულში. 1946 წელს მედალზე დაამთავრა კოხნარის საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. მისი წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1951წ.) სწავლობდა ასპირანტურაში, რომლის სრული კურსის დამთავრებისთანავე დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამ პერიოდიდან იწყება გრიგოლ თოდუას ნაყოფიერი სამეცნიერო–პედაგოგიური მოღვაწეობა. 1968 წელს მან წარმატებით დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1970 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

პროფესორი გრიგოლ თოდუა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო–სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1976–1981 წლებში მუშაობდა თსუ ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე, ხოლო 1995–2004 წლებში იყო საერთაშორისო ეკონომიკის და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის გამგე.

განსაკუთრებით დიდია ბ–ნი გრიგოლის დამსახურება ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის პრობლემების დამუშავებაში. მან ჯერ კიდევ XX საუკუნის 80–იან წლებში გამოსცა „XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხების" ორტომეული, ხოლო 2004 წელს დიდმნიშვნელოვანი კაპიტალური ნაშრომი „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია". პროფ. გრიგოლ თოდუას დიდი დამსახურებაა ისიც, რომ იგი იყო ეკონომიკის ფილოსოფიის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი და ამ მეცნიერული მიმართულების საფუძვლების ჩამყრელი საქართველოში.

პროფ. გრიგოლ თოდუას, როგორც ღრმად განსწავლული და დიდი შემოქმედებითი დიაპაზონის მეცნიერის მოღვაწეობა ორგანულადაა შერწყმული მის პედაგოგიურ საქმიანობასთან. იგი იყო საყოველთაოდ აღიარებული, მაღალი კულტურის და ერუდიციის ლექტორი–სხარტი და მიმზიდველი მეტყველებით, რკინისებური ლოგიკით. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების უმნიშვნელოვანესი მიმართულება იყო ახალგაზრდობა. პროფ. გ. თოდუას ხელმძღვანელობით ათეულობით ახალგაზრდამ დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პროფ. გრიგოლ თოდუას სახით საქართველომ დაკარგა უმაღლესი დონის მეცნიერეკონომისტი. მისმა გარდაცვალებამ არა მარტო მის ნათესავებსა და მეგობრებს, არამედ მთელ ქართულ საზოგადოებას დაწყვიტა გული. მან მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე თავისი ძალა შეალია ახალგაზრდობასა და ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეს. ამიტომ, ამ გამოჩენილი მეცნიერისა და ნათელი პიროვნების ხსოვნა მარად დარჩება ჩვენში.

პროფ. გრიგოლ თოდუას ნათელი სახელი სამარადჟამოდ იცოცხლებს მისი აღზრდილების, კოლეგებისა და ნაცნობ–მეგობრების მეხსიერებაში.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატი, ეკონომიკის პრინციპების კათედრა, ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის" რადაქცია.**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ორფოლო; 2. გინზა; 3. სპაზმი; 4. იყალთო; 6. ყარაუნი; 9. ნუბია; 11. ნაცნობი; 15. ტრიკოტაჟი; 16. წყნეთი; 17. არტანუჯი; 19. ისრაელი; 21. გალილეი; 22. ნაბობი.

**თარაზულად:** 1. პროგნოზი; 7. რუსთავი; 8. საღამო; 10. გულჩარა; 12. თლაშო; 13. ურალი; 14. ტრიკოტაჟი; 18. ცენტი; 20. ჭყურტი; 23. იადონი; 24. ლორი; 25. მეთუნე; 26. ბაჟე; 27. ცემენტი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. ოჯალეში; 3. სტატისტი; 4. იუვენტუსი; 5. პალმა; 6. ალმასი; 8. მაიორი; 11. შპალერი; 14. ორნიტოლოგი; 15. ვაშგერდი; 16. კალანდაძე; 17. რობაია; 18. ლატავრა; 20. ბინგო; 21. პოემა.

**თარაზულად:** 1. ფორსინგი; 5. პუმა; 7. შამანი; 9. ბარათაშვილი; 10. მუშაითი; 12. ესკადრა; 13. ქლუხორი; 16. კარერასი; 17. რახი; 18. ალილო; 20. პოტომაკი; 22. პირეი; 23. გამბიტი; 24. ასკერი; 25. განგი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**14 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6766

ევრო — 2,4901

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7672

რუსული რუბლი — 0,0612

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-21, ღამით — 19-12
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-17, ღამით — 19-13
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 15-16, ღამით — 4-19

## ამინდის პროგნოზი 14 მაისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## ნბა-ს დრაფტზე გიორგი შერმადინიც იქნება



2011 წლის ნბა-ს დრაფტზე მონაწილეობის სურვილი ოცმა ევროპელმა კალათბურთელმა გამოთქვა, რომელთა შორის საქართველოს ნაკრების წევრი თორნიკე შენგელიაც შედის. თუმცა, ამ ოცეულში არ გახლავთ საქართველოს ნაკრებისა და ლუბლიანის „ოლიმპიას“ ცენტრი გიორგი შერმადინი, რადგანაც მას ნბა-ს დრაფტი ავტომატურად უწევს. შეგახსენებთ, რომ დრაფტზე „დადგომა“ 18-დან 22 წლამდე ნებისმიერ ახალგაზრდას შეუძლია, რომელიც ნბა-ს ადმინისტრაციას საკუთარი სახელის შეტანის თხოვნით მიმართავს. 22 წლის კალათბურთელებს კი ეს არ სჭირდებათ, რადგან, ნბა-ს კანონმდებლობის მიხედვით, ისინი ნბა-ს დრაფტზე გუნდების სიაში ავტომატურად ხვდებიან.

შესაბამისად, ნბა-ს გუნდებს არაფერი უშლით ხელს, ლუბლიანური „ოლიმპიას“ 22 წლის ქართველი ცენტრი დრაფტზე აიყვანონ. შერმადინმა დასამახსოვრებელი სეზონი ჩაატარა ევროლიგაში, რის შემდეგაც ის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საკალათბურთო ვებ-გვერდის მიერ 2010-11 ევროლიგის სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო კალათბურთელად იქნა დასახელებული. ნბა-ს დრაფტში მონაწილეობა კალათბურთელმა თავადაც დაადასტურა.

— წლევანდელი დრაფტის შემდეგ მასში მონაწილეობის უფლება აღარ მექნება, რადგან მისაღებ ასაკს გადავაბიჯებ. ორი წლის წინ განაცხადი გამოვიტანეთ. მაშინ გარანტია არ მქონდა, რომ დრაფტზე სასურველი პირობებით ამიყვანდნენ. წლეულს განაცხადის გაკეთების აუცილებლობა აღარ არსებობს, რადგან, თუკი მსურველი იქნება, ისედაც ამიყვანს. მომავალი სეზონიდან კი დრაფტი აღარ მჭირდება, ნებისმიერ ნბა-ს გუნდს შეუძლია, კონტრაქტი პირდაპირ შემომთავაზოს. რომელი გუნდები არიან ჩემით დაინტერესებული, ვერ გეტყვით. ამის შესახებ ჩემს აგენტს უფრო ზუსტი ინფორმაცია აქვს. მე ამაზე ნაკლებათ ვფიქრობ, რადგან ამ მომენტისთვის ჩემი მთავარი საფიქრალი სლოვენიის ჩემპიონატის მოგებაა.

## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 14 მაისი — საინტერესო დღეა

**ვერძი** — ეს დღე საინტერესოდ წარიმართება, სიახლის განცდა დაგეუფლებათ. **კურო** — არ აჩქარდეთ, საქმე მშვიდად აკეთეთ. **ტყუპები** — საქმის ფინალი მოგეწონებათ, ამდენს ნამდვილად არ ელოდით. **კირჩხიბი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ გუნებაზე დაგაყენებთ. **ლომი** — ან ახალ ბინაში გადახვალთ, ან დიდი შენაძენი გაგახარებთ. **ქალწული** — დაისვენეთ, შემდეგ მეგობრებს ეწვიეთ. **სასწორი** — ფულს შოულობთ, ახალ საქმეს წამოიწყებთ. **ღრიანკალი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **მშვილდოსანი** — დაგეგმეთ ხვალინდელი დღე, დრო არ დაკარგოთ. **თხის რქა** — თქვენი საქმე წინ მიდის, მთავარია არ მოდუნდეთ. **მერწყული** — ყურადღების ცენტრში ხართ, თავში არ აგივარდეთ. **თევზები** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი.

### 15 მაისი — ეს დღე ახლობლებს დაუთმეთ

**ვერძი** — საკუთარი საქმე დროებით გვერდზე გადადეთ. **კურო** — ეს დღე მეგობრებთან გაატარეთ, მათგან ახალ ამბავს გაიგებთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — მეტი დრო გაატარეთ ოჯახის წევრებთან, მათ თქვენი რჩევა სჭირდებათ. **ლომი** — ყურადღების ცენტრში ხართ და ეს ძალიან გსიამოვნებთ. **ქალწული** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **სასწორი** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის საჩუქარი ჩამოაქვს. **ღრიანკალი** — მეგობრები სიურპრიზს გიმზადებენ. **მშვილდოსანი** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **მერწყული** — ახალი საქმე დაგაინტერესებთ, ნუ დაივიწყებთ ახლობლებს. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, შეხვდით მეგობრებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 16 მაისიდან

# იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

# სუპერპროექტის

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 5**

## სერვანტესი

**გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი**


## იუმორი



— თქვენი საყვარელი საქმიანი აქსესუარი?

— რეზინი.

— რეზინი?

— ჰო, ბანკნოტებს ზემოდან რომ შემოვუჭერ ხოლმე...

* * *

— წარმოგიდგენია, გუშინ ჩემი სამი წლის ბიჭმა ახალი რომანის ხელნაწერი ბუხარში შემიგდო.

— როგორ, უკვე იცის კითხვა?

* * *

მიდის მგელი ტყეში, ყვავილებს აგროვებს. მელა შემოხვდა.

— რაო, რუხო მგელი, ყვავილებით ტკბები?

მგელმა ცერად გადახედა და ეუბნება:

— მე რუხი უკვე აღარ ვარ...

* * *

— ამბობენ, ძველ საბერძნეთში ხალხი ზეწრებში გახვეული იმიტომ დადიოდა, რომ სადაც დაუღამდებოდათ, იქ იძინებდნენ...

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მტაცებელი ფრინველი; 2. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 3. მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 4. აქლემის ნაშიერი; 6. ბოლესლავ პრუსის რომანი; 9. სპირტიანი სასმელი; 11. უცნაური, სასაცილო სასეირო შემთხვევა; 15. მე-17 საუკუნის ფრანგი მწერალი, მორალისტი; 16. დამატებითი ჯილდო, პრემია; 17. ქიმიური ელემენტების ნაერთი ჟანგბადთან; 19. შინაგანი ბიძგი, მისწრაფება რაიმე მოქმედების შესასრულებლად; 21. მდინარე პალესტინაში; 22. ღომში ჩახარშული სულგუნისგან მომზადებული მეგრული კერძი.

**თარაზულად:** 5. ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართველი დრამატურგი; 7. სახელმწიფო ევროპაში; 8. ცხენის მოსართავი; 10. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 12. სვლის მიმართულება; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კორპორაცია; 14. სურსათ-სანოვაგის ბაზარი ძველ თბილისში; 18. ხორცის შესაწვავი მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი; 20. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 23. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 24. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 25. ისრაელის დაზვერვა; 26. ქართული სპორტული რადიო; 27. ბრიტანეთის ნაწილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

